ვ. ჩანტლაძე

# ფულის, კრედიტის და ფინანსების ისტორია

## ფული, კრედიტი და ფინანსები საქართველოში

(ლექციების კურსი ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის)

ნაკვეთი მეოთხე

ნაწილი მესამე

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1987

65.9(2) 26
ჩ 213

ფულის, კრედიტის და ფინანსების ლექციების კურსის მეორე ნაკვეთი "ფული, კრედიტი და ფინანსები საქართველოში" შედგება რვა ლექციისაგან: 1. ფული, კრედიტი და ფინანსები საქართველოში მონათმფლობელურ ხანაში (ძვ. წ. VI - ახ. წ. IV საუკუნეებში), 2. ფული, კრედიტი და ფინანსები საქართველოში ადრეფეოდალურ ხანაში (IV - X სს.), 3. ფული და კრედიტი საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (XI-XV სს.), 4. ფინანსები საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში (XI-XV სს.), 5. ფული და კრედიტი საქართველოში გვიანფეოდალიზმის ხანაში (XVI-XVIII სს.); 6. ფინანსები საქართველოში გვიანფეოდალიზმის ხანაში (XVI-XVIII სს.) 7. ფული და კრედიტი საქართველოში რუსეთთან შეერთებიდან ოქტომბრის რევოლუციამდე (1801-1917 წწ.), 8. ფინანსები საქართველოში რუსეთთან შეერთებიდან ოქტომბრის რევოლუციამდე (1801-1917 წწ.).

მოცემული მესამე ნაწილი განკუთვნილია ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

რედაქტორი პროფ. ავთანდილ იოსელიანი

რეცენზენტები: პროფ. ძდევან ხელაია

დოც. თამარ ციცქიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987

ც $\frac{0604020104}{М\ 608(06)-87}$

# ლ ე ქ ც ი ა   მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე

## ფული და კრედიტი საქართველოში რუსეთთან შეერთებიდან ოქტომბრის რევოლუციამდე /1801-1917 წწ./

### 1. ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში 1801-1917 წწ

რეფორმამდელ საქართველოში წარმოებრივი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენდა მიწის ფეოდალური საკუთრება. ფეოდალურ კლასებს ჰქონდათ სრული საკუთრება წარმოების საშუალებებზე- მიწა-წყალზე, ტყეზე, წიაღზე და არასრული საკუთრება ადამიანზე, როგორც მუშაძალაზე. ისინი იყენებდნენ გარეშე ეკონომიკურ იძულებას თავიანთი ეკონომიკური ძალაუფლების განსამტკიცებლად.

ფეოდალურ მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ მემამულე-მებატონე, ეკლესია და სახელმწიფო.

რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა ფეოდალიზმის დაშლის პროცესი. გარკვეული ზომით და მასშტაბით ეს პროცესი ხდებოდა რუსეთთან შეერთებამდეც, მაგრამ შეერთების შემდეგ მან უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

იმხანად, უშუალო მწარმოებლის ზედმეტი შრომა ან შრომით შექმნილი პროდუქტი რენტის სამივე ფორმით გვევლინებოდა: შრომამიგებითი რენტის, პროდუქტადი რენტისა და ფულადი რენტის ფორმით. ამასთანავე, ფულადი რენტა რეფორმამდელი პერიოდის მთელ მანძილზე თანდათანობით იზრდებოდა.

ფულადი რენტა, როგორც პროდუქტადი რენტის გარდაქმნილი ფორმა, გულისხმობს საქონლურ-ფულადი მეურნეობისა და ქალაქების განვითარებას. რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოს

ღებიბა პროდუქტის ერთ ნაწილს ახარშოებდა როგორც საქონელს და ეს ნარჩენება თანდათანობით იზრდებოდა.

ამასთანავე ვითარდებოდა სავაჭრო კაპიტალი და სავახშო კაპიტალიც. რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში ქალაქების ზრდა აღმავლება ფეოდალიზმის დაშლის პროცესებს და აჩქარებ-და ქალაქების მიერ სოფლების ეკონომიკურად დამორჩილების სა-ერთო წანამძღვრებს.

ეს მკაფიოდ ჩანს ქალაქ თბილისის ტერიტორიული გაფართო-ებისა და მოსახლეობის ზრდის მიხედვით.

თბილისი, ვახუშტის მიხედვით, შედგებოდა ნაწილებისა-გან: "კალა-ტფილისი, ტფილისი-სეიდაბადი და ისნი და გარეთ-უბანი"[1] ამგვარად, მაშინდელი თბილისის ტერიტორია შემოიფარ-გლებოდა - მინერალური აბანოებით /იმ ვანით, რომელსაც ახლა ძველ თბილისს ვუწოდებთ/, ავლაბრით და ქალაქის ზღუდის გარშემო-რსა-გარეთუბნით /რუსთაველის პროსპექტის მარცხენა მხარეზე ვ.ი.ლენინის სახელობის მოედნამდე/. ამრიგად, ქალაქის ტე-რიტორიაში არ შედიოდა ნავთლუღი, დიდუბე, კუკია, ჩუღურეთი, ვერა; კრწანისი.

1830-იანი წლებისათვის ა.გრიბოედოვის ცნობით, ქალა-ქი თბილისი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: ჩრდილოეთ გარეთუ-ბნის, ნამდვილი ქალაქის ანუ კალას და ავლაბრისაგან[2].

1800 წლის კუკია თბილისიდან დაშორებული იყო ერთ კი-ლომეტრით, 1804- 1805 წლებში დასახლებას იწყებენ ქალაქის კედლების გადაღმაც, ხევის მახლობლად, სადაც ამჟამად ლენინის სახელობის მოედანია. 1807 წელს შენობები აიგეს იმ დროისათვ

- - - - - - - - - - - - -

1 ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა... გვ.54.

2 А. Г р и б о е д о в, Записки... 1827.

ქალაქგარეთ ქაშვეთის ეკლესიის სასაფლაოსთან. 1819 წელს თბილისს შემოუერთეს სოფლები კუკია და ჩუღურეთი[1] ნავთლუღი 1836 წელსაც კი ქალაქიდან დაშორებული იყო 4 კილომეტრით. 1846-1847 წლებში თბილისსა და გარეუბან ნავთლუღს შორის თავისუფალ მიწებზე დაასახლეს სამხედრო პირები ოჯახებით.

სწრაფად გაშენდა და ერთნაირად გაიზარდა სოლოლაკი, რომელიც ერთ დროს მხოლოდ ბაღებით იყო დაფარული. რეფორმამდელი პერიოდის დასასრულისათვის იქ ბაღების ნიშან-კვალიც კი გამქრალიყო. წარსულში აქ არსებული ბაღების მაგონებლად დარჩენილიყო ერთი ქუჩის სახელწოდება " Садовая " /ამჟამად ენგელსის ქუჩა /.

ორმოციან წლებში ძალიან ბევრი განცხადება შედიოდა ქალაქის სამმართველოში საცხოვრებელი ნაკვეთების გამოყოფის შესახებ; ქალაქში ცარიელი ადგილები აღარსად იყო. ორმოცდაათიანი წლებისათვის კუკია ქალაქის გაშენებულ ნაწილს წარმოადგენდა.

1862 წელს გერმანელთა ახალშენიც /დიდუბეში/ თბილისს შემოუერთეს.

ამგვარად, რეფორმამდელი პერიოდის დასასრულს თბილისის მიერ დაკავებული სივრცე იწყებოდა ვერიდან და აღწევდა ნავთლუღის ბოლომდე. ქალაქის სივრცე სიგრძით შეადგენდა 8,5 კილომეტრამდე, სიგანით-3 კილომეტრს. მტკვრის მარჯვენა მხარეზე იმყოფებოდა "პირველი და მეორე საპოლიციო ნაწილები სახელწოდებით: ვერა, მოსკოვისა და კოლიუბაიას ხევები, არტილერიისა და მესანგრეთა უბნები, მთაწმინდა, გარეუბანი, სოლოლაკი, აბანოს კარები, სეიდაბადი, ხარფუხი, ორთაჭალისა და კრწანისის ბაღები; მტკ-

- - - - - - - - - -

1 АКТИ, т.IV, ч.I, с.470.

რის: მარცხენა მხარეზე- გერმანული ახალშენი, როგორც მეოთ-ხე საპოლიციო უბანი, მალაკანთა უბანი, ძველი და ახალი კუკია, ჩუღურეთი, როგორც მესამე საპოლიციო; რიყე, ავლაბარი, მაჟისოფელი, ანუ ძირის უბანი, ახალსამება და ნავთლუღი- გან-საკუთრებული კომისრის მმართველობის ქვეშ.

მე-19 საუკუნის დასაწყისში თბილისის ტერიტორიას დაახ-ლოებით ეჭირა 250 ჰა. 1830-იანი წლებისათვის თბილისის ფარ-თობი გარეუბნებით და ბაღებით შეადგენდა 658.598 კვ.საჟენს, რაც მეტრულ ზომაში დაახლოებით იქნება 300 ჰა.

1850-იან წლებში ქალაქის ფარგლებში მოქცეული იყო 1 394 200 კვ.საჟ., მეტრულ ზომაში დაახლოებით იქნება 635 ჰა.

ამგვარად, თბილისის ფართობი მე-19 საუკუნის 50-იან წლებში დასაწყისთან შედარებით გაზრდილა 2,5-ჯერ.

1876 წელს ქალაქის ფართობი მოიცავდა 1 776 377 კვ.საჟ., ანუ 808,5 ჰას. აქედან, დასახლებული სივრცე შეადგენდა 1 463 677 კვ.საჟ., დაუსახლებელი-312 700 კვ.საჟ.

დასახლებული სივრცე განაწილებული იყო შემდეგნაირად: შენობებსა და ეზოებს ეჭირათ 817 958 კვ.საჟ., ქუჩებსა და შე-სახვევებს 244 326 კვ.საჟ., მოედნებს- 47 326 კვ.საჟ., ბა-ღებს- 289 477 კვ.საჟ., სასაფლაოებს - 64 590 კვ.საჟ.

დაუსახლებელი სივრცე ნაწილდებოდა: მტკვრის ქვეშ მოქ-ცეული იყო 210 700 კვ.საჟ., მადათოვის კუნძულს ეჭირა 28 800 კვ.საჟ., კუნძულს, კოლონიის პირდაპირ, 6 000 კვ.საჟ., ქვემოთ, მტკვრის ნაპირზე, 67 200 კვ.საჟ..

შენობისა და ეზოების ფართობი შეადგენდა მთელი ფართო-ბის 55%, ქუჩებისა და შენობებისა- 17%, მოედნების - 4%, ბა-ღების -20%, სასაფლაოების- 4%.

მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა მთელი სივრცის 14,07 კვ. საჟ. და იმ სივრცის, რომელიც შენობებსა და ეზოებს ეჭირათ-7,86 კვ.საჟ.

1913 წელს თბილისის ფართობი გახდა 6 782,400 კვ.საჟ., ანუ 3 091,5 ჰა. ქალაქის ახალი სივრცის პერიმეტრი შეიქმნა 37 კილომეტრი.

როგორც ვხედავთ, თბილისის ფართობი 1913 წელს მე-19 საუკუნის დასაწყისთან შედარებით გადიდებულია 12-ჯერ.

მე-19 საუკუნის მანძილზე თბილისმა ფეოდალური ელფერი მნიშვნელოვნად შეიცვალა. რეფორმის შემდგომ პერიოდში თბილისი ჩამოყალიბდა როგორც კაპიტალისტური ქალაქი. კაპიტალისტური ქალაქების კლასობრივი ხასიათის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ქალაქის დანაწილება არისტოკრატიულ უბნებად და მუშათა უბნებად, ქალაქის ბურჟუაზიული კვარტალი, ცენტრი კეთილმოწყობით დიდად განსხვავდება მუშათა უბნებისაგან. ფ.ენგელსი წერდა, რომ ყველა დიდ ქალაქში არის ერთი ან რამდენიმე "ცუდი" კვარტალი", რომლებშიაც ცხოვრობენ მუშები და მეფობს სიღატაკე. ასეთი კლასობრივი ხასიათი მიიღო უბნების განლაგებამ თბილისშიც.

რეფორმამდელი პერიოდის დასასრულისათვის გოლოვინის /ამჟამად რუსთაველის/ პროსპექტი, სოლოლაკი, ერევნის /ამჟამად ვ.ი.ლენინის სახელობის/ მოედნის მარჯვნივ, მთაწმინდისა და სოლოლაკის ხეობაში მოქცეული ქალაქის ნაწილი წარმოადგენდა ქალაქის არისტოკრატიულ უბანს. აქ იყო სწორი და განიერი ქუჩები, დიდი სახლები ფასადებით. აქ იყო ნამესტნიკის სასახლე და რიგი სახაზინო შენობები. აქ ცხოვრობდა თბილისის მოსახლეობის არისტოკრატიული ნაწილი. ესენი იყვნენ თავადაზნაურობა,

მდიდარი ვაჭრები, დიდი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები და სხვ. ეს უბანი შედარებით უფრო სუფთა და კეთილმოწყობილი იყო.

"ცუდ უბანს" წარმოადგენდა "ერევნის მოედნიდან სამხრეთით მტკვარამდე და სოლოლაკის მთის ჩრდილო დაქანები-დან მდინარე წავკისამდე /აბანოებთან/ და შემდეგ მტკვრის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ ერევნის საყარაულობამდე. აქ ქუ-ჩები და მოედნები ვიწრო და უსწორო იყო, შესახვევები შემჭიდ-როებული, ტალახითა და ნაგვით აღსავსე. ქუჩაში იყო გამართული ბაზრები, მწვანილით და ხილით ვაჭრობა; დუქნების წინ კლავ-დნენ საქონელს. ყოველივე ეს კიდევ უფრო მეტად ავიწროვებდა ისედაც ვიწრო ქუჩებსა და შესახვევებს. ზოგიერთ ადგილას ქუ-ჩის ნაცვლად კედლებში გამოჭრილი იყო წვრილი კიბე, ამ მიდამოე-ბში გაშენებული იყო უვარგისი, ძველი ჭუჭყიანი სახლები; მიწის /ბრტყელი/ ბანიანი სახურავით". ეს ბინები მეტად ნოტიო, დახ-შული, მიწიდან და გარედან გაბინძურებული და მობინადრეებით გაჭედილი იყო. ეზოების დიდი უმრავლესობა ნაგვითა და ნარეცხი წყლის გუბეებით იყო სავსე. აქ ცხოვრობდა თბილისის მოსახლეო-ბის ღარიბი ნაწილი. ყველაზე უღარიბესნი ცხოვრობდნენ ბოტანი-კური ბაღისა და მუსლიმანური სასაფლაოს ქვემოთ, ერევნის დიდ ღზამდე: კუკია, ჩუღურეთი, ავლაბარი, და ნავთლუღი 50-იანი წლებისათვისაც კი სახლების უწესრიგო გროვას წარმოადგენდა. აქ მცირე შეძლებისა და არამქონეთა ნაწილი მოსახლეობდა და ქალაქის სამმართველო ამ ნაწილებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა კრიტიკულ პირობებში ცხოვრობდა დაბალი წრის მოსახლეობა და იზრდებოდნენ დაბალი წრეების ბავშვები.

რეფორმის მერმინდელ პერიოდში თბილისის ასეთ "ცუდ უბნებს" წარმოადგენდნენ ავლაბარი, ნავთლუღი, დიდუბე, ნახალოვკა.

1900-იან წლების შემდეგაც ავლაბარი და ნავთლუღი მიგდებულ რაიონებს წარმოადგენდნენ. ქალაქის გამგეობა მათ კეთილმოწყობას ყურადღებას არ აქცევდა, თუმცა ეს რაიონი ყველა ბეგარას იხდიდა და მოსახლეობა 40000 სულისაგან შედგებოდა. ქალაქის გამგეობა ამ რაიონისათვის უმნიშვნელო სახსრებს ხარჯავდა.

1803 წ. აღწერის თანახმად, თბილისის კომლთა რაოდენობა შეადგენდა 2800-მდე. მკვიდრი მოსახლეობა ამ დროისათვის 14-15 ათას სულზე მეტი არ იქნებოდა, თუ კომლზე საშუალოდ 5 სულს ვიანგარიშებთ, მაგრამ ამას უნდა დავუმატოთ ჯარის ნაწილები, მოხელეები და ქალაქად ჩამოსული მრავალი მოხეტიალე, რომელთა უდიდესი ნაწილი აღწერაში არ მოხვდებოდა. ყველა მათგან ერთად ამ დროისათვის თბილისში შესაძლებელია ვივარაუდოთ 20 000-მდე სული.

1803 წლიდან მოყოლებული თბილისის მოსახლეობა იზრდებოდა. 1807-1808 წლებში მკვიდრი მოსახლეობა, კლაპროთის ანგარიშით, შეადგენდა 18 000 სულს. თუ ამას დავუმატებთ გარნიზონს, ჩამოსულებსა და სხვ., შესაძლებელია ვივარაუდოთ 22 000-მდე სული.

გამბას ანგარიშით, თბილისის მოსახლეობა 1820 წლისათვის შეადგენდა 24 000 სულს, 1825 წლისათვის - 27 000, მოხელეებისა და გარნიზონის დამატებით - 33 000 სულს.

1843 წლისათვის ჰაქსტჰაუზენის, ყოფიანისა და ჭრელაშვილის ანგარიშით, დაზუსტებული ციფრით, თბილისის მოსახლეობა აღწევდა 50 000-მდე. 1862 წელს თბილისის მკვიდრი მოსახლეობა შეადგენდა 60 080 სულს, ჩამოსულები-11-12 ათასამდე სულს:

ამგვარად, მკვიდრი და არამკვიდრი მოსახლეობა რეფორმამდელი პერიოდის დასასრულისათვის თბილისში აღწევდა 72 000-მდე.

მამასადამე, რეფორმამდელი პერიოდის დასასრულს თბილისის მოსახლეობა ამავე პერიოდის დასაწყისთან შედარებით გადიდებულია ოთხჯერ. თბილისის მკვიდრი მოსახლეობა შეადგენდა აღმ.საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ორ მესამედს და მთელი მოსახლეობის მეათედს[1]

რეფორმის შემდგომ პერიოდში სწრაფად იზრდებოდა საქართველოს ქალაქები, მათ შორის პირველ რიგში თბილისი, რაც ნიშნავდა, რომ ამ პერიოდში ინდუსტრიული /არამიწისმოქმედი/ მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მიწისმოქმედი. 1917 წლისათვის საქართველოში ქალაქის მოსახლეობის ზრდის პროცენტი შეადგენდა 323% , სოფლისა- 208%.

ქალაქ თბილისის მოსახლეობა 1865 წელს იყო 67 770; 1897 წელს- 160 645, ხოლო 1917 წელს- 231 141 სული. ამგვარად, თბილისის მოსახლეობა 1917 წელს 1865 წელთან შედარებით გადიდებულია თითქმის ოთხჯერ /ზუსტად 3,8-ჯერ/ 1803 წელთან შედარებით კი - 12-ჯერ.

თბილისის მოსახლეობა 1917 წელს შეადგენდა საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ნახევარზე მეტს,/ზუსტად 57,8%/ და მთელი მოსახლეობის მეათედზე ცოტა მეტს /10,4%/.

საქართველოს ქალაქებისა, კერძოდ კი თბილისის მოსახლეობის ზრდას აპირობებდა სამრეწველო-კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება. ამ პერიოდში ხდებოდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. მიწათმოქმედებას თანდათან ეთიშებოდა სხვადასხვაგვარი დამუშავება, ჩნდებოდა მრეწველობის დამოუკიდებელი დარგები მიწათმოქმედებაში, მანუფაქტურულ და ფაბრიკულ წარმო-

---

1. ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ფინანსები რეფორმამდელ აღმ.საქართველოში, გვ. 342-360.

ებაში. იზრდებოდა სამთამადნო მრეწველობა, რკინიგზებისა და გზატკეცილების მშენებლობა. ამასთანავე, დიდი მიწათმოქმედებაც საქონლის ხასიათს იღებდა და იქაც ხდებოდა სპეციალიზაციის პროცესი. სავაჭრო და სავახშო კაპიტალის მოგების გადიდებისა და სოფლად ფულადი გადასახადების გავრცელების გამო რენტის დიდი ნაწილი ფულადზე მიდიოდა.

ფულადი რენტის არსებობის გამო ზედმეტი პროდუქტის ერთი ნაწილი გლეხს უნდა გადაეხადა ფულადი ფორმით. მაშასახამე, ზედმეტი პროდუქტის ეს ნაწილი გადახდამდე გლეხის მეურნეობაშივე საბაზრო მზადდებოდა და, ამდენად, საქონლის ხასიათს ატარებდა. ამასთანავე ნაწილობრივ საქონლად იქცეოდა ზედმეტი პროდუქტის ის ნაწილიც, რომელსაც გლეხობა ფეოდალთა კლასს ნატურალური ფორმით აძლევდა, რამდენადაც ფეოდალური კლასები ამ ნატურალური ზედმეტი პროდუქტის ერთ ნაწილს საბაზრო დანიშნულებას აძლევდნენ.

ქალაქის სამრეწველო პროდუქტების შესაძენად გლეხობა აუცილებელი პროდუქტის ერთ ნაწილსაც საბაზრო ამზადებდა. საქონლურმა წარმოებამ რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში მოამზადა ზოგიერთი პირობა კაპიტალისტური წარმოებისათვის, მაგრამ კაპიტალიზმი არ შექმნა.

ვაჭრულმა და ვახშურმა კაპიტალმა ხელი შეუწყეს მიწათმფლობელისაგან დამოუკიდებელი ფულადი კაპიტალის შექმნას, ფეოდალიზმის დაშლას.

გლეხთა მდგომარეობა გააუარესა სოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობისა და მოსავლიანობის შემცირებამ. ყოველივე ამის შედეგად რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში იქმნებოდა პირობები, რომლებიც ხელს უწყობდნენ წვრილ მწარმოებელთა

გათიშვას წარმოების საშუალებებისაგან. წარმოება დიფერენციაცია ერთ ლუხობის მიცნიაც. სამხედრო ტექნიკის განვითარებამ თავადაზნაურობა ჩამოაქვეითა და მისი წინააღმდეგობა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ უშედეგო გახადა. ფეოდალურმა თავადაზნაურობამ დაკარგა მონოპოლია სამხედრო საქმეში, რაც რუსეთთან შეერთების შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა, რადგან ქვეყანას რუსეთის ჯარი იცავდა. ფეოდალიზმის დაშლის შედეგებით გამოწვეულ მშრომელთა ექსპლოატაციას აძლიერებდა ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა.

## 2. ფულადი მიმოქცევა

მე-18 საუკუნეში ქართული ფულის მონეტები იყო: ვერცხლის აბაზიანები, უზალთუნები და შაურიანები. აბაზიანი უდრიდა ორ უზალთუნს, ანუ ოთხ შაურს. რუსულ საზომში გამოხატული მისი სინჯი იყო 93 2/3, ლიგატურული წონა 60 წილი, წმინდა წონა – 48 წილი. უზალთუნი უდრიდა ნახევარ აბაზს, ანუ ორშაურიანს. მისი სინჯი იყო 93 1/3, ლიგატურა– 33 წილი, წმინდა წონა– 32 წილი; შაური უდრიდა 2,5 ბისტს, 10 ფულს, ანუ 50 ფულად ერთეულს. მისი სინჯი იყო 94 ლიგატურული წონა–17 წილი, წმინდა წონა– 16 წილი[1].

გიორგი მეთორმეტის შემდეგ ქართული ფული მოჭრა დავით ბატონიშვილმა, მაგრამ თავისი სახელი ვერ წააწერა. წელი და მოჭრის ადგილი ადასტურებს მის კუთვნილებას. ამის შემდეგ იყო ერთგვარი გარკვეული პერიოდი. 1804 წლიდან თბილისში

---

[1] Б а р а т а е в М., Нумизматические факты Грузинского царства, СПб, 1844; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 101-103.

ფულის მოჭრა ქართული და რუსული წარწერით დაიწყო რუსეთის მმართველობამ...[1]

მუსინ-პუშკინის პროექტით, თბილისის ზარაფხანაში მოიჭრებოდა ვერცხლისა და სპილენძის წვრილი მონეტები. ზარაფხანის მოწყობა 4000 მანეთზე მეტი არ დაჯდებოდა.

1808 წლის აპრილში მხოლოდ 1 381 მანეთი მოიჭრა. შემდეგ მონეტის მოჭრამ იმატა. საშუალოდ თბილისის ზარაფხანაში ვერცხლის მონეტა წლიურად იჭრებოდა 35 000 მანეთამდე. სულ 30 წლის მანძილზე /1804 წლიდან 1834 წლამდე/ ზარაფხანამ გამოუშვა ნახევარაბაზიანები 4743 მან.30 კაპ., აბაზიანები – 37 189 მან 80 კაპ. და ორ აბაზიანები – 1 017 801 მან.20 კაპ. სულ 1 059 734 მან[2].

საქართველოს სამთო უფროსმა ეიხფელდმა წამოაყენა წინადადება ამიერკავკასიაში შემოღებულიყო მუდმივი მონეტური სისტემა. მისი პროექტის თანახმად საქართველოში არსებული რუსული ვერცხლის მონეტა, ამასთანავე ჯარის შესანახად პეტერბურგიდან გამოგზავნილი მონეტა უნდა გადაკეთებულიყო ორაბაზიანებად და უფრო წვრილ ერთეულებად. ადგილობრივ ხელმძღვანელობასა და ხაზინას უნდა შეესყიდა აგრეთვე აზიური მონეტები და გადაეკეთებინა რუსულ-ქართულ ფულად. ეიხფელდი ემყარებოდა იმ მოსაზრებებს, რომ ჯერ ერთი რუსეთის მანეთიანი ტრიალში კარგავდა 17 კაპ. ვერცხლს, მეორე, ირანისა და თურქეთის ვაჭრებს დიდი რაოდენობით გაჰქონდათ საზღვარგარეთ რუსეთის მანეთიანები, მესამე, რუსეთის ქვეშევრდომი სახანოები: ყარაბაღის,

- - - - - - - - - - - - - -

1 პ.გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ფულის ნიშნები და ტრიალი საქართველოსა და ამიერკავკასიაში მე-19 ს-ში, თბ., 1937; ე.ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქ-ში/1801–1864 წწ./, გვ.241-278.

2 ЦГИА ГССР, ф.1, д.78, п.7; С. Г у л и ш а м б а р о в. Очерк ф..., с.197-199.

შირვანის, შაქის და სხვ. რომლებიც მონეტებს ჭრიდნენ, ანადგურებდნენ რუსული ვერცხლის მანეთიანებს თავიანთ დაბალი ღირსების ფულებად გადაკეთებისათვის.

გაითვალისწინეს აგრეთვე ქართული აბაზიანების ტრიალის შეწყვეტა და მათი რუსულ მონეტებზე გადაცვლისათვის გარკვეული დროის დაწესება. ამასთანავე, ოქრო-ვერცხლის ნაკეთობათა, ზოდებისა და უცხო მონეტების მისაღებად, აბაზიანების რუსულ მონეტებზე ან ასიგნაციებზე გადასაცვლელად თბილისში უნდა დაარსებულიყო სასინჯი პალატა. როგორც ჩანს, უნდა დადგენილიყო ლითონების ის შესყიდვა ასიგნაციებით და მათი გადაგზავნა პეტერბურგის ზარაფხანაში. საქართველოსათვის კი სპილენძის ფული უნდა მოჭრილიყო ეკატერინბურგში- ფუთიდან-40 მანეთი. ამ დადგენილებას ალ. ერმოლოვი დაეთანხმა და 1823 წლის 22 ივნისს კანკრინს აცნობა, რომ აბაზიანების ხმარებიდან ამოსაღებად საკმარისია დაწესდეს 2 წლის ვადა. ერმოლოვი მოითხოვდა, რომ საქართველოში გამოსაცვლელ ფულში მესამედი ყოფილიყო წვრილი მონეტა 10 და 20 კაპიკიანების სახით, წინააღმდეგ შემთხვევაში აბაზიანების ამოღება წვრილ ვაჭრობას დიდად ხელს შეუშლისო. იმპერატორი არ დაეთანხმა საბჭოს დადგენილებას და მისი 1824 წლის ბრძანებით თბილისის ზარაფხანა კვლავ წინანდელ მდგომარეობაში დარჩა[1]

მთავარსარდალ რიბენს არ მიაჩნდა საჭიროდ ქართული და ყველა სხვა აზიური მონეტების ტრიალიდან ამოღება. მისი აზრით, ეს მონეტები გაცვლებული იყო. ამიტომაც მათ ხალხი ადვილად თმობდა და რუსულ მონეტებს უფრთხილდებოდა ლითონის კარგი ღირსებისა და სახელმწიფოს ტიტულების გამო. მაგრამ

- - - - - - - - - - - - - - -

[1] Акты, т.VI, ч.I, с. 165-166, 171-172.

საერთოდ მისი აზრით, ხურდა ფულის ნაკლებობა მოითხოვდა ტრიალში 10 და 5 კაპიკიანების გადიდებას. მთავარსარდლის, რობენის აზრით, ქართველი მეფეების დროს მოჭრილი შინაური აზიური მონეტა და აგრეთვე ყარაბაღის, შაქის, შირვანის, ყუბანის, ბაქოს, განჯისა და სხვ. ხანების მიერ მოჭრილი მონეტები სრულიად უნდა ამოღებულიყო ხმარებიდან. თურქეთისა და ირანის მონეტები ტრიალში უნდა შემცირებულიყო. ამასთანავე, აზიური მონეტები ხაზინას გადასახდელებში არ უნდა მიეღო. მონეტების გაცვლა უნდა მინდობოდა ადგილობრივ მთავრობას შემდეგი საჭირო ინსტრუმენტების გამოყენებით: სასინჯი ურბოქვის, წემსისა და სხვ. ამ ოპერაციისათვის უმთავრეს ქალაქებში უნდა მოწყობილიყო დროებითი სასინჯი კარვები.

რობენი ასკვნიდა:"... იმპერიის ინტერესები მოითხოვენ, რომ ამიერკავკასიაში მხოლოდ რუსეთის მონეტის სისტემა იყოს"[1] მიუხედავად ყოველივე ამისა, რობენის აზრით, რუსულ-ქართულ მონეტებში ვერცხლის რაოდენობა ხუთ'აბაზში უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ვერცხლის რუსულ მონეტებში. ამ სხვაობით ფარავდნენ თბილისში ზარაფხანის ხარჯებს. მისი ხელახლა მოჭრა ნიშნავდა ვერცხლის დამატებით დაკარგვას და მოჭრის ხარჯის გადიდებას. რუსულ-ქართულ მონეტებში ყალბი მონეტები არ იყო, ძველ მონეტებში კი იგი დიდი რაოდენობით იყო. ამიტომ რობენის აზრით, სამი წლის განმავლობაში ტრიალიდან მთლიანად უნდა ამოღებულიყო ქართველი მეფეების დროისა და ხანების მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტები.

- - - - - - - - - - - - -

[1] З у б о в Пл. Картина..., стр.228-229.

რიგენის ანგარიშით, აზიური მონეტების გამოცვლას დასჭირდებოდა არანაკლებ 557 736 მან. ვერცხლით. სურდა კანკრინს, რომ გადაცვლის შემდეგ უკანასკნელი ქართველი მეფეებისა და ხანების მონეტები სულ გაქრება. რაც შეეხება ირანულსა და თურქულ მონეტებს, მათი გადაცვლა ძნელი არ იქნება, ვინაიდან შესაძლებელია ნაკლები კურსის დადგენა, სპეკულაციისა და მორიგმოქმედების წინააღმდეგ ადმინისტრაციული ღონისძიების მიღება. აზიური მონეტა საერთოდ მაღალი სინჯისაა, ყალბი ბევრი არ არის და გამოცნობაც არც თუ ისე ძნელია. მაგრამ ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა შესაძლებლად არ მიიჩნია აზიური მონეტების რუსულზე გადაცვლა. ის ამბობდა, რომ აზიური მონეტები ტრიალებენ არა მარტო ამიერკავკასიის ოლქებში, არამედ ირანთურქეთის სამფლობელოებშიც. ამიტომ თუ დაუშვებდნენ განსაზღვრულ გადახურდავებას, მისი დაკმაყოფილება შეუძლებელი იქნება. აზიური მონეტა დაბალი სინჯისაა, ამიტომ განზრახადაც დაიწყებენ ამ მონეტის გადაცვლას რუსულ კარგ მონეტებზე. საქმეს გააძნელებს ყალბი მონეტები, რომელთა გამოცნობა ძნელი იქნება, ანდა ამისათვის საჭირო გახდება სრული სასინჯო კარვების მოწყობა. თუ გადაცვლა მოეწყობოდა ტიფლისში, ყველა მონეტა უნდა ჩაიზიდის ტიფლისში, რაც ხაზინისათვის გაძვირდება და ლითონის დანაკლისიც იქნება[1].

კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებლის გენერალ გრ. ორბელიანის აზრით, რუსულ-ქართული მონეტების ამოღება ხაზინას ზარალს მისცემდა, ვინაიდან ცნობა 329 000 მანეთის რაოდენობაში დამყარებული იყო ვარაუდზე. შემდეგ მის გადაგზავნას დასჭირდებოდა აგრეთვე ხარჯიც. რუსულ-ქართული მონეტა

- - - - - - - - - - - - - -

1 Акты, т.УШ, с. 80–81, 70.

რუსული ვერცხლის მონეტაზე ნაკლები იყო 22%-ით, ამიტომ და-კვეთებისას დასჭირდებოდა შევსება. ლითონი დაიკარგებოდა გადადნობაზე. ორბელიანი არასწორად თვლიდა იმ აზრს, თითქოს ეს მონეტა თავისუფლად არ ტრიალებდა. თბილისის ბაზრის ხაზინაში ეს მონეტა იყო 40 000 მან. რაოდენობით. 1861 წლის თებერვალში დარჩა 6147 მან. ამგვარად დაიხარჯა 33 853 მან. ამის საფუძველზე ორბელიანი ასკვნის, რომ ხალხში მონეტა დაუბრკოლებლად ტრიალებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი მას უკანვე არ წაიღებდა. საბჭომ უარი თქვა ამოღებაზე, როგორც ხაზინისათვის წამგებ ოპერაციებზე.

ამ მონეტების ამოსაღებად წამოყენებულ იქნა მეორე ხერხი - ეს მონეტა მიღებულიყო ხაზინის მიერ სახაზინო გადასახადებსა და მოსაკრებლებში დანაკლისის ნამატებით, დაწინებით და შემდეგ ტრიალში აღარ გამოშვებულიყო. შერყვნილი და გადალესილი მონეტა, რომელსაც ფასი აღარ ჰქონდა, უნდა მიღებულიყო გადასაცვლელად ასიგნაციებისა და რუსულ ჩხრიალა მონეტებზედაც, ოლონდ ნამატებით, უნდა დაწესებულიყო ვადა და ამოღება მოხდებოდა თანდათან. ამგვარად, ტრიალში დარჩებოდა კარგი მონეტა. კომიტეტმა ეს წინადადება მიიღო და 1861 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულების მიხედვით რუსულ-ქართული მონეტები, რომლებსაც შერყვნილად ცნობდა, ხაზინას მიმოქცევიდან უნდა ამოეღო[1].

მთავარსარდალ ტორმისოვის ცნობით, საზღვრებისა და საკარანტინოების დაწესებულობის გამო რუსეთიდან შემოტანილი ვერცხლის მონეტა ირანსა და თურქეთში გადიოდა. ამიერკავკა-

- - - - - - - - - - - - - -

1 Акты, т.XII, стр. 74, 78.

სიის სახაზინოებში რუსულ მონეტებს მაღალი ღირსების გამო და-ბალი სინჯის მონეტებად აქცევდნენ, რითაც დიდ ზიანს აყენე-ბდნენ ფულის ტრიალს[1].

1830 წლის ბრძანებულებით, შემოიღეს რუსეთიდან საზ-ღვარგარეთ მონეტების უბაჟოდ გაზიდვა. დასაწყისში მონეტების ამიერკავკასიიდან გაზიდვა დიდი არ იყო, მაგრამ 1835 წლიდან გაიზარდა[2].

მონეტები შემოიზიდებოდა ამიერკავკასიაში მანეთობით:

| წლები | ოქროსი | ვერცხლის | სულ |
|---|---|---|---|
| 1837 | 10 862 | 14 560 | 25 422 |
| 1842 | 3604 | 5886 | 9490 |
| 1847 | 22440 | 81 012 | 103 452 |
| 1852 | 23 077 | 17 083 | 40 100 |
| 1857 | 81 507 | 9069 | 90 571 |

მონეტები გაიზიდებოდა ამიერკავკასიიდან მანეთობით:

| წლები | ოქროსი | ვერცხლის | სულ |
|---|---|---|---|
| 1837 | 450 832 | 182 936 | 633 769 |
| 1842 | 1572 159 | 918 324 | 2490 483 |
| 1847 | 1612 417 | 1086 901 | 2699 318 |
| 1852 | 2408 036 | 5496 | 2413 532 |
| 1857 | 3562 575 | 3704 | 3566 280[3] |

როგორც ვხედავთ, ამ ხუთი სხვადასხვა წლისათვის მო-ნეტების შემოზიდვა უდრიდა 269 035 მან., გაზიდვა-11 803 382 მან. ამგვარად გაზიდვა 44-ჯერ აღემატებოდა შემოზიდვას. მაგ-

---

1 Акты, т.II. стр.I4-I5, т.У, с.267.
2 Акты, т.X, стр.I87.
3 Кавк. кал.на I853 г.,с.438 на I856, стр.522, на I857 г., стр. 418, на I859 г., стр.357, на I860 г. стр.52.

რამ ეს არ იყო დამახასიათებელი საერთოდ იმპერიისათვის.

1846 წელს რუსეთიდან საზღვარგარეთ გაიზიდა ოქრო და ვერცხლი მონეტებად და ზოდებად 4 299 582 მან. ვერცხლით. მათ შორის ევროპის საბაჟოებიდან 1706 096 მან. ვერცხ., აზიის საბაჟოებიდან - 2 523 486 მან. ვერცხლი.

ამავე წელს რუსეთის იმპერიაში შემოიზიდა 9 842 741 მან. ვერცხ. მათ შორის ევროპის საბაჟოებიდან - 9 740 872 მან., აზიის საბაჟოებიდან - 101 869 მან[1]

აქედან ჩანს, რომ რუსეთის იმპერიის მასშტაბით, პირიქით, შემოზიდვა გაზიდვასთან შედარებით ორჯერ უფრო მეტი იყო, მაგრამ აზიის საბაჟოებიდან გაზიდვა ევროპის საბაჟოებიდან გაზიდვის ერთ ნახევარს შეადგენდა.

ეს აიხსნება იმით, რომ აზიის მიმართ რუსეთი ატარებდა განსაკუთრებულ პოლიტიკას, რომლის შესაბამისად, როგორც ვნახეთ, პირველ ნაკვეთში ბაჟების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, შემუშავებული იქნა შეღავათიანი საბაჟო ტარიფი. ამიტომ აზიის საბაჟოებიდან შემოიზიდებოდა ევროპული საქონლის დიდი ნაწილი, რომელიც გაურბოდა ევროპული საბაჟოების მაღალ ტარიფს. აზიის საბაჟოებიდან საქონლის დიდი რაოდენობით შემოზიდვა ნიშნავდა ამავე საბაჟოების გზით ფულის დიდი რაოდენობით გაზიდვას. რაც შეეხება აზიის საბაჟოების გზით ფულის შემოზიდვის სიმცირეს, ეს აიხსნება იმით, რომ რუსეთის სამრეწველო საქონელი მცირე რაოდენობით გაიზიდებოდა, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო იმით, რომ მას კონკურენციას უწევდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, ხოლო ევროპის საბაჟოების გზით ფულის დიდი რაოდენობით შემოზიდვა გამოწვეული იყო რუსეთიდან ნედლეულის გაზიდვით.

1 Акты, т.X, с. 181.

ლიტვინოვის მოხსენებაში /1807 წლის 15 იანვრის თარი-ღით/ ნათქვამია, რომ "ვერცხლის მონეტა, რომელიც ყველგან სხვა ლითონზე მეტფასებულია, როდესაც ჭეშმარიტ თავის ღირ-სებას მიიღებს, აუცილებლად ჩერვონეცსაც ასწევს, ვინაიდან ხალხი თავის ნაჭარბს ქცევის ვერცხლის მონეტაზე, ე.ი. აბა-ზებზე და მანეთებზე, ხოლო ჩერვონეცებს, როგორც მერყევს ბაზრის". თვით ვერცხლის მანეთს, რომელიც შეიცავდა 6 აბაზ-სა და 4 კაპ., ვერცხლს, მოქალაქეები, მოხელეები და კერძო პირე-ბი 5 აბაზად აძლევდნენ. თბილისის ზოგიერთი მცხოვრები ყიდუ-ლობდა მანეთებს, ბიდებად აქცევდა და ვერცხლად ყიდდა ზარაფ-ხანაში, როგორც წიაღიდან მოპოვებულს. იქრომჭედლები მანეთებს ყიდულობდნენ და აბაზებად ჭადარწოვისას 1/6 იღებდნენ, ბი-დებად ნაყიდ ვერცხლთან შედარებით.

ჰოლანდიური ჩერვონეცის კურსი დაეცა რუსეთთან საქართ-ველოს შეერთების დასაწყისშივე, რაც აღნიშნული აქვთ საქართვე-ლოს მმართველს კოვალენსკის, გენ. კნორინგსა და მუსინ-პუშ-კინს. ამ უკანასკნელის ცნობით ჩერვონეცის კურსი დაეცა 3 მან. 30 კაპიკიდან 2 მან. 60 კაპიკამდე, ამ კურსით ცვლილების გამო, ჯარი და ყველა ჯამაგირის მიმღები მესამედს კარგავდა.

გენ.ლაზარევი გენ. კნორინგს აცნობინებდა, რომ დღეში ორი-სამი ჩერვონეცის მეტის გაცვლას ვერ ახერხებდა. ამიტომ ის წინადადებას აძლევდა სურსათის დამზადება საქართველოში ხაზინას ვერცხლით ეწარმოებინა- ჩეტვერტი ხორბალი 3 მან. 62 1/2 კაპიკზე მეტი არ დაჯდებაო![1]

ჩერვონეცისა და ვერცხლის პარიტეტისა და კურსის შე-

- - - - - - - - - - - -

1 Акты, т.I, с.498, 522, I39–I40.

სახემ საქართველოს მმართველი ლიტვინოვი 1807 წლისათვის იძლევა შემდეგ გაანგარიშებას: ჩერვონეცი 93 სინჯისა შეიცავს წმინდა ოქროს 75 წილსა და 65 5/8 წილთა წილს. ეს წონა ოქროსა და ვერცხლის შედარების საფუძველზე, მრავლდება 15-ზე, რაც შეადგენს 11 მისხალს, 79 წილს და 24 3/4 წილთა-წილ ვერცხლს. ამ ვერცხლის ფასი 83 1/3 სინჯიანი რუსული მანეთის მონეტაში ურის 2 მან. 80 5/48 კაპ., ქართული აბაზების სახით- 3 მან. 48 7/8 კაპ.

ნამდვილად ჩერვონეცი იყიდებოდა 3 მან 40 კაპიკიდან 3 მან. 60 კაპიკამდე ვერცხლით. ამგვარად, ჩერვონეცი მონეტის სახით ნაყიდი რუსული მანეთობით კარგავდა 20 5/8 კაპ. რუსულ-ქართული აბაზებით ყიდვისას- 88 7/8 კაპ. ჩერვონეცი ლითონის სახით ნაყიდი რუსული მანეთობით კარგავდა 23 კაპ., ხოლო აბაზებით ყიდვისას- 1 მან. 14 3/8 კაპ.[1]

საქართველოს მთავარსარდალი ტორმასოვი აცნობებდა პოლიციის მინისტრს ბალაშოვს, რომ საქართველოს მცხოვრებნი სახანოებში და ირანში ბამბას, აბრეშუმსა და სხვა ნაწარმს ყიდულობენ ნაღდი ოქროთი და ვერცხლით, ამიტომ, მართალია, ეს ფული უსათუოდ საზღვარგარეთ გადის, მაგრამ ამის თავიდან აცილება არ შეიძლება. საქართველოში მყოფ ჯარის ნაწილებისა და მოსამსახურეების მიერ მიღებული ჯამაგირები, რომლებიც მათ ოქროთი და ვერცხლით ეძლევათ, ვაჭართა ხელში გადადის. ესენი ამ ფულით მეზობელ სახელმწიფოებში ყიდულობენ საქონელს, რომელთა ნაწილს თავისი საჭიროებისათვის იტოვებენ, დიდ ნაწილს კი ბამბისა და აბრეშუმის სახით გზავნიან რუსეთში და რუსეთის საქო-

- - - - - - - - - - - - - - - - - -

1 Актн, т.I, с. I3-I4.

წელზე ცელიან. ამ საფუძველზე გენ. ტორმოსოვი ასკვნიდა, რომ საქართველოში ოქროსა და ვერცხლის გადმოგზავნის აკრძალვა ხელს შეუშლიდა აქაურ ვაჭრობას[1]

1819 წელს ეიხფელდი ურჩევდა მთავრობას, საქართველოში ჯარისათვის დანიშნული 187 000 ჩერვონეცი გამოგზავნილიყო არა ოქროს, არამედ რუსულ-ქართული ვერცხლის მონეტების სახით, რაც მთავრობას წლიურად 100 000 მანეთის მოგებას მისცემდა, იგი შეადგენდა 561 000-მდე მანეთის ვერცხლს. მისი შეცვლა შეიძლებოდა 450 000 მანეთის აბაზიანებით. აბაზიანები იმავე ფასად გადის, ვინაიდან ხუთი აბაზი უდრის რუსულ მანეთს, ამნაირად ვერცხლი 600 000 მანეთზე და ოქროს 187 000 ჩერვონეცზე მოგება მიიღებოდა 200 000 მან. ვერცხ. ან 800 000 ასიგნაციით.

იმისათვის, რომ საქართველოსა და რუსეთს საერთო მონეტა ქონოდეთ, უნდა დაარსდეს ერთგვარი ბანკი, რომელიც უნდა შეუერთდეს თბილისის ზარაფხანას და ჩაბარდეს განსაკუთრებულ მოხელეს სამთო უფროსის გამგებლობით. აქაურ ვაჭრებს სჭირდებოდათ დაახლოებით 170 000 მან. ვერცხ. რუსეთთან ვაჭრობისათვის ხმელეთით და კასპიის ზღვით საჭიროა 300 000 მანეთამდე ასიგნაციით, რაც ვერცხლად 75 000 მან. შეადგენს, საგარეო ვაჭრობისათვის 80 000 მანეთს. გარდა ამისა, ირანთან ვაჭრობისათვის – 25 000-მდე ჩერვონეცი, ანუ 75 000 მან. ვერცხლი და თურქეთთან ვაჭრობისათვის – 5 000 ჩერვონეცი, ანუ 15 000 მან. ვერცხ. არის საჭირო. ამგვარად სულ 170 000 მან. ვერცხ[2].

- - - - - - - - - - - - - - - -

1 Акты, т.IУ, с.52–53.

2 Акты, т.IУ, ч.I, с.I56–I57.

ეინფელის აზრით, ჰოლანდიური ჩერვონეცი უნდა დარჩენილიყო საქართველოსა და რუსეთისათვის საერთო ფულად, რუსულ-ქართული აბაზიანები მოჭრილიყო პეტერბურგში, თბილისის ზარაფხანა კი დარჩენილიყო იმისათვის, რომ გადაემუშავებინა თურქეთისა და სხვა აზიური მონეტები, რომლებიც ვაჭრობის გზით საქართველოში მოხვდებოდნენ[1]

1829 წლის იანვარში მთავარსარდალმა პასკევიჩმა კვლავ აღძრა შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრ კანკრინთან, რუსული მონეტები გადაკეთებულიყო რუსულ-ქართულ აბაზებად ნაწილობრივ თბილისის ზარაფხანაში, ნაწილობრივ კი პეტერბურგში. ეს ხაზინას მისცემდა მოგებას 25 კაპიკამდე. აბაზში ნამდვილი ვერცხლი იყო 16.06 კაპ.ვერცხ.რუსული მონეტებით, აბაზი კი უთანაბრდებოდა 20 კაპ.ვერცხლს.

აქედან გამოდიოდა, რომ ხაზინა 25% მოგებას მიიღებდა, თუ მას გამოაკლებთ გადაკეთების ხარჯებს 10%-ს ხაზინას 15% მოგება მაინც დარჩებოდა. კანკრინს ეს შეუძლებლად მიაჩნდა, ვინაიდან ასეთი განსხვავება მიიღებოდა იმის გამო, რომ ტრიალებდა ორგვარი ფული- სხვადასხვა სინჯისა და წონისა და აბაზიანები ერთგვარად ხურდა ფულის როლში გამოდიოდნენ. თუ ყველა ფული აბაზიანებად გადაკეთდებოდა, ასეთი აბაზიანების რიცხვი ტრიალში გაიზრდებოდა და საქონლის ტრიალის მოთხოვნას გადააჭარბებდა /ეს კი აუცილებლად მოხდებოდა, ვინაიდან კავკასიის კორპუსის შენახვას, შენობების აგებასა და სხვ. მილიონები სჭირდებოდა/ და აბაზიანების ფასი დაეცემოდა. ამასთანავე ეს ფასდაცემა აბაზიანებად გადაკეთებას მოასწრებდა.

---

1 Акты, т.УI, ч.I.,с.I45-I46.

კანკრინის აზრით, გადაკეთებას ტექნიკური დაბრკოლებაც ეღობებოდა. ეს იყო რუსული და რუსულ-ქართული მონეტების სხვადასხვა სინჯი. რუსულ-ქართული აბაზები 88 სინჯისა იყო, ხოლო რუსული 83 1/3 სინჯისა. ამიტომ საჭირო იყო არა უბრალო გადადნობა და ერთი მონეტიდან მეორეს მოჭრა, არამედ ლითონში მაღალი ვერცხლის შენარევების ჩართვა სინჯის ასამაღლებლად. კანკრინმა უმჯობესად მიიჩნია ზარაფხანის იმავე მდგომარეობაში დატოვება, მაგრამ საცდელად მაინც ნება დართო რუსული მონეტებიდან მოეჭრათ რუსულ-ქართული აბაზიანები და პრაქტიკულად ენახათ, თუ რა სარგებლობას მოიტანდა ეს ოპერაციები. კანკრინს აზრად ჰქონდა მოეჭრა რუსულ-ქართული აბაზიანები პეტერბურგში რუსული ვერცხლის მონეტების სინჯით, ე.ი. 83 1/3 სინჯით და სამაგიეროდ წონაში გაეზარდა.

1810 წელს გენ. ტორმასოვი მოითხოვა, რომ ღერბისა და თამასუქის ქაღალდი გაცვლილიყო ვერცხლისა და სპილენძის ფულზე. ვერცხლის მანეთი- სპილენძის 1 მან. 75 კაპ. ანგარიშით[1]

1812 წლის 17 ოქტომბერს გამოვიდა ბრძანებულება სახელმწიფო ბანკის ასიგნაციების იმპერიის მთელ ტერიტორიაზე მიმოქცევაში შემოღებისა და გამოსაღებთა და მოსაკრებელთა ასიგნაციებით აკრეფის შესახებ. მაგრამ 1813 წლის 2 ივლისის ბრძანებულებით, წინა ბრძანებულების მოქმედება შეჩერდა, ყველა გამოსაღები და მოსაკრებელი საქართველოში უნდა გადაეხდევინებინათ უწინდელი დებულების მიხედვით; ე.ი. ვერცხლით. ხაზინას ევალებოდა სახელმწიფო შემოსავლის აკრეფის დროს ფულის შეძლებისამებრ მიეღო რუსული მონეტები და სადაც ეს საკმარისი არ იყო სხვა მონეტებითაც, მაგრამ იმ ვარაუდით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო

[1] Актн, т.II, о.32, т.IУ, с.52.

ამ უკანასკნელთა იმავე ადგილებში დახარჯვა. ხარჯებიც უნდა გაეღო ამ მონეტებით[1]

ამ შემთხვევაში საყურადღებოა კანკრინის ფულადი პოლიტიკა, მიმართული ფულის მოწესრიგებისა და სახაზინო გადასახდელების ჩხრიალა მონეტების გადართოვებისა. 1827 წელს ფინანსთა მინისტრმა ზოგიერთ სახაზინო პალატას ნება მისცა გამოსაღებში ვერცხლის მონეტა მიეღო 500 000 მან.თანხამდე იმ გუბერნიებში, სადაც ასიგნაციებზე ვერცხლის დახურდავება უკვე წარმოებდა. ამავე წლის ბრძანებულებით 11 ნოემბერს ნებადართულ იქნა გლეხთა და მეშჩანთა პასპორტის და წვრილი სამოებრი მისაღებლის გადახდისას შრიალში სპილენძის მონეტის შენარჩუნების მიზნით ხაზინას მიეღო ვერცხლი შემდეგი კურსით - ვერცხლის 1 მანეთი. 3 მან.70 კაპ. ასიგნაციებით, ხოლო საბირჟო კურსის შეცვლისას იმ კურსით, რომელსაც ფინანსთა მინისტრი დანიშნავდა. 1829 წელს საბირჟო კურსი მართლაც შეიცვალა. გაიაფდა ვერცხლი 3 მან. 67 კაპიკამდე ასიგნაციით, ასიგნაციის მანეთმა აიწია 27 2/7 კაპ.ვერცხ.

ამის შემდეგ სახაზინო გადასახდელებში ვერცხლის მიღება სახელმწიფოსათვის წინანდელი კურსით /3 მან.70 კაპ./ არახელსაყრელი შეიქმნა. ამ დროიდან 10 წლის მანძილზე წარმოებდა საკითხის შესწავლა და კამათი ფინანსთა მინისტრსა, სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტსა და სახელმწიფო საბჭოს შორის.

1838 წლის 9 დეკემბერს გამოვიდა ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომლის თანახმად ოქროს, ვერცხლისა და პლატინის

- - - - - - - - - - - - - - -

1 ЦГИА ГССР, ф.254, оп.2, л.4,л.I82; Акты, т.У, о.I7.

მონეტები უნდა მიეღო ხაზინას დაწესებული სახაზინო კურსით. ხაზინა იღებულობდა ახალსა და ძველ გაცვეთილ მონეტებსაც, მაგრამ უკეთუ ორივე მხრიდან ბეჭდის ნიშნები ეტყობოდა, არ მიიღებოდა გადასახდელებში სრულიად გაცვეთილი მონეტები ან აშკარად დაზიანებული. ასეთი მონეტებისათვის საგუბერნიო ქალაქების სამაზრო ხაზინებში უნდა გამოეცვალათ დანიშნით. შეცვლილ ვერცხლის მონეტაზე ხაზინა აძლევდა სპილენძის ან ვერცხლის მონეტით სამისაოები კურსით და არა საბაზრო კურსით.

გარდა სასმელების იჯარა-შესყიდვების გადახდისა, ამ დროიდან აიკრძალა გამოსაღებებისა და სხვა გადასახდელებში უცხოური მონეტების მიღება. მსურველებს შეეძლოთ გადაეცვალათ სპილენძის მონეტები ქაღალდის ფულზე-მანეთი მანეთზე[1]

1839 წლის 1 ივლისს გამოსული მანიფესტის მიხედვით, ვერცხლის მონეტა გამოცხადდა სახელმწიფო საგადასახადო მონეტად, ვერცხლის მანეთიანი - მონეტის ერთეულად, სახელმწიფო ასიგნაციები- დამხმარე ნიშნებად, რომელთა კურსი განისაზღვრებოდა შემდეგნაირად: ვერცხლის 1 მან.- ასიგნაციის 3 მან.,50 კაპ. გადამხდელებს უფლება ეძლეოდათ ყველა გადასახდელი შეეტანათ ხაზინასა და საკრედიტო დაწესებულებაში როგორც ვერცხლის მონეტით, ისე ასიგნაციებით. ხაზინაც სამცაცო ხარჯებს ასევე გასცემდა ვერცხლის მონეტითა და ასიგნაციებით.

1839 წლისათვის გამოსაღები, ბეგარა, საბაჟო მოსაკრებელი და სამცაცო გასავლები ხაზინიდან უნდა წარმოებულიყო ამ წლისათვის დადგენილი კურსით /3 მან.60 კაპ./ ამ დროიდან ყოველგვარი ანგარიშები და ყოველგვარი გარიგება როგორც ხაზინასთან, ისე კერძო პირებს შორის უნდა მომხდარიყო მხოლოდ და

---

1 ЦГИА ГССР, ф.254, д. 18974, л.7.

მხოლოდ ვერცხლის მონეტით. რაც შეეხება წინანდელ დარიგებებს, ისინი უნდა გადახდილიყო ვერცხლითაც, ხოლო დაწესებული კურსით, ხაზინადარებს ევალებოდათ ვერცხლი დაეცვათ ასიგნაციებზე, და პირიქით. საერთოდ აიკრძალა ფულს სხვა კურსი მინიჭებოდა, გარდა დაწესებულისა, აგრეთვე ვერცხლისა და ასიგნაციებზე რაიმე ლაჟის წამატება.

სასმელების აქციზის გადახდა, ვერცხლის ნაცვლად, შეიძლებოდა უცხოეთისა და რუსეთის ოქროთ /ჰოლანდიის ჩერვონეცებითა და იმპერიალებით და სხვადასხვა ღირსების პოლუიმპერიალების მონეტებით, აგრეთვე ასიგნაციებით - დაწესებული კურსის მიხედვით./ ვერცხლზე იყო გადაანგარიშებული ყველა გამოსაღები, შემოსავლიანი მოსაკრებლები, ასიგნაციები 3 მან 50 კაპ. ანგარიშით. ფინანსთა სამინისტრომ დაუგზავნა სახაზინო პალატებს ტაბელები დაწვრილებითი გამოსაღებითა და ბეგარათა შესახებ, რაც 1840 წლიდან ვერცხლით უნდა გადახდილიყო[1]

1840 წლის 22 იანვრის კანონით უკანასკნელი ქართველი მეფეების დროს მოჭრილი ქართული ვერცხლის მონეტა მიიღებოდა გადასახადში და ყველა სხვა სახაზინო გადასახდელში ნომინალური ფასით. მაგრამ სამაზრო ხაზინებიდან ეს მონეტა მიმოქცევაში აღარ გადიოდა და უკლებლივ ყველა იგზავნებოდა პეტერბურგის ზარაფხანაში გადასაკეთებლად. ჰოლანდიური ჩერვონეცები ფოსტის მოსაკრებლისა და სხვა სახაზინო შემოსავალში მიიღებოდა წონით, თითეულ სრულფასიან მონეტას ხაზინა იღებდა 2 მან. და 93 1/3 კაპ. რუსული ვერცხლის მონეტის ანგარიშით. ასევე გადასახდელებში მიიღებოდა რუსულ ქართული მონეტა. გახ-

- - - - - - - - - - - - - - -

[1] ЦГИА ГССР, ф.254, д.18972, л.3-22, д.18998, л.31-34, Мин.фин. ч.I, с.233-249.

ჭრეჭილსა და გალესილ ვერცხლის მონეტებს სამაზრო ხაზინები იღებდნენ დანაწონი ფულის გადახდევინებით[1]

1850-იან წლებში თბილისისა და კაზახის უბნის მცხოვრებნი ხაზინას გამოსაღებსა და საერობო ბეგარას უხდიდნენ საკრედიტო ბილეთებით, ნაწილობრივ რუსული და ქართული ვერცხლის მონეტებით. როგორც ადგილობრივ ხელისუფალთა მოხსენებით ბარათებშია აღნიშნული, 1850 -იანი წლებიდან გახშირდა გამოსაღებთა გადახდა უკანასკნელ ქართველ მეფეთა დროის აბაზიანებით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ თბილისელი დამხურდავებლები ქვაში უხდებოდნენ გამოსაღებთა გადამხდელებს, რომელთაც საკრედიტო ბილეთებსა და ვერცხლს უცვლიდნენ ქართულ აბაზიანებში; ხაზინიდან უკანვე მისი მიღება ბოძს არ სურდა იმის გამო, რომ მას თავისუფლად არ ღებულობდნენ. ამიტომ დამხურდავებლები ქართულ აბაზებში 15 კაპ. ვერცხ. მეტს აძლევდნენ. ამასთანავე სოფლის მამასახლისებსა და ნდობით აღჭურვილ პირებს ევალებოდათ გამოსაღები და სხვ. მოსაკრებელი ხაზინაში იმავე მონეტით ან საკრედიტო ბილეთით წარედგინათ, რომლებითაც შეგროვილ იქნა გამოსაღები მცხოვრებთაგან. ასევე ყველას აეკრძალა უარი ეთქვა ქართველი მეფეების დროინდელ აბაზიანების მიღებაზე, თუ კი ეს მონეტები ვარგისი იყო[2].

1851 წელს ხაზინას გამოეგზავნა ცირკულარი, რომლის მიხედვით მას რუსეთის ვერცხლის მონეტა, აგრეთვე მონეტა რუსული და პოლონური წარწერებით უნდა მიეღო აუწონლად ნომინალური ფასით. ყველა გადასახადში და მოსაკრებელში,

---

1 Свод.ЗРИ т.УП, с.172, изд.1857 г.

2 ЦГИА ГССР, ф.255, д.529, л.43–45, 517.

თუ ამ მონეტას ჰქონდა ბეჭდის გარეგნული გამოსახულება, ხოლო ჩამოჭრილი გახვრეტილი და გაცვეთილი მონეტები, რომლებზედაც ნიშნები მხოლოდ ერთ მხარეს სულ წაშლილი იქნებოდა, ხოლო მეორე მხარეზე ექნებოდა ბეჭდის მცირე გამოსახულება, უნდა მიღებულიყო დაწონით. გარდა ამისა საჭირო იყო პოლიციის ღონისძიება მცხოვრებლებს უარი ეთქვათ ვერცხლის წვრილი მონეტის მიღებაზე, რომელზედაც ბეჭდის გამოხატულება ორივე მხარეზე გარკვეულად ჩანდა. უვარგისად იქნებოდა მონეტები მიჩნეული, რომლებზედაც ნიშნები ორივე მხრიდან წაშლილი იყო ან ერთ მხარეზე სრულიად წაშლილი, ხოლო მეორეზე ბეჭდის მცირე ნიშნები ჩანდა[1]

ასეთი იყო რუსული ვერცხლის წვრილი ფული- ხუთშაურიანები, აბაზიანები, უზალთუნები და შაურიანები. იყო ხურდა ფული ნამდვილი მნიშვნელობითაც: ვალუტის ლითონისაგან, მაგრამ დაბალი სინჯით მოჭრილი მონეტები, ასეთები იყო ჯერ თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი რუსულ-ქართული აბაზიანები და შემდეგ 1859 წელს პეტერბურგში მოჭრილი 72 სინჯიანი ვერცხლის წვრილი ფული. იყო ვალუტის ლითონთან შედარებით უფრო დაბალი ღირებულების ლითონისაგან- სპილენძისაგან მოჭრილი მონეტები. ასეთები იყო თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი სპილენძის მონეტები მცირე რაოდენობით და უფრო მეტი რაოდენობით რუსეთიდან მოზიდული სპილენძის მონეტები. როგორც აღნიშნული გვქონდა, რუსეთის მმართველობის მიერ გახსნილმა ზარაფხანამ მოჭრა რუსულ-ქართული ფული- ვერცხლის აბაზიანები უფრო დაბალი სინჯით, ვიდრე რუსული ვერცხლის მონეტა. რუსულ-ქართულ მონეტებს უნდა შეესრულებინათ ხურდა ფულის როლი.

- - - - - - - - - - - - - -

[1] ЦГИА ГССР, ф.255, д.570, л.23-24,71.

1810 წლის მანიფესტამდე რუსეთში შემოღებული იყო ვერცხლის რუბლი, მასთან ერთად დაწესებული იყო საბანკო და სავაჭრო მონეტების განსხვავება, როგორც მაშინ უწოდებდნენ სრულფასიან მონეტასა და ხურდა მონეტას. განსხვავება მათ შორის არ იყო: ორივე ერთისა და იმავე სინჯის მეტალიდან იჭრებოდა. ხურდა მონეტა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით შემოღებულ იქნა 1859 წელს, როდესაც 83 1/2 სინჯის ნაცვლად მოიჭრა ვერცხლის წვრილი მონეტა 72 სინჯით[1]

რეფორმამდელ პერიოდში კიდევ შემცირდა ვერცხლის შინაგანი ღირსება. 1860 წელს გამოვიდა ბრძანებულება, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად ვერცხლის წვრილი მონეტის გადიდებული რაოდენობით გამოშვებისა, მიმოქცევაში ყველგან მაინც ჩანს მისი ნაკლებობა. ამის მიზეზია მონეტების გადადნობა ნაკეთობად და მისი საზღვარგარეთ გაზიდვა.

ამ დასაბუთებით მთავრობამ შეამცირებინა წვრილი ვერცხლის მონეტის შინაგანი ღირსება.

სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით დარჩა ძირითადი ვერცხლის მონეტა: მანეთიანები, ათშაურიანები და ხუთშაურიანები ძველი სინჯითა და წონით. გამოიცა ახალი ვერცხლის ხურდა მონეტა - აბაზიანები, სამშაურიანები, უპალთუნები და შაურიანები 72 სინჯისა. ამ უკანასკნელთა ღირსება შემცირდა 15%-ით მის ნომინალურ ფასთან შედარებით.

ასეთი მონეტა, უპირველეს ყოვლისა, როგორც ერთ-ერთი დოკუმენტით დასტურდება, უნდა გამოშვებულიყო 6 მილიონი მან. ვერცხ. რაოდენობით, ხოლო ხაზინა გადასახდელებში მიიღებდა ყოველგვარი თანხის ოდენობით[2].

---

[1] М а н у и л о в А.А. Учение о деньгах...,стр. 129.
2 ЦГИА ГССР, ф.255, д.703, л.31.

ზარაფხანამ მოჭრა სულ 966 მან.60 კაპ. გენ. რტიშჩევის ანგარიშით, მისი რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში 15 000 მანეთს არ აღემატებოდა[1] ის სპილენძის ხურდა ფულის საჭიროებას ამიერკავკასიისათვის ნახევარი მილიონი მანეთის რაოდენობით ვარაუდობდა. განსაკუთრებით ეს საჭირო იყო ამიერკავკასიაში ქაღალდის ფულის გადაცვლებისათვის საჭიროებისათვის, რაც რუსეთიდან უნდა ჩამოზიდულიყო.

რუსეთიდან სპილენძის ფულის შემოზიდვის ხარჯების თავიდან ასაცილებლად მთავარსარდალი რტიშჩევი თვლიდა თბილისის ზარაფხანას მოეჭრა ფული იმ სპილენძიდან, რაც საქართველოს სამთო ექსპედიციას გაუსაღებელი რჩებოდა. რტიშჩევი სპილენძის მონეტის საჭიროებას ვარაუდობდა ნახევარი მილიონი მანეთის რაოდენობით.

ეს საკითხი განიხილა სამთო და მარილის საბჭომ და დაადგინა, საქართველოსათვის მოჭრილიყო უფრო მსუბუქი მონეტები, ფუთიდან 40 მანეთი. ეიხფელდი და ერმოლოვიც ამ აზრისა იყვნენ[2].

დასაკვირველია, ეიხფელდის ეს მოთხოვნა ვერ განხორციელდა, რადგანაც ცარიზმის ეკონომიკური პოლიტიკა მოითხოვდა არა რუსეთის სამხრეთ გუბერნიების საქართველოს ბაზრად გადაქცევას, არამედ თვით საქართველოს რუსეთის ბაზრად გამოყენებას.

თბილისის ზარაფხანაში მონეტების მოჭრა სახელმწიფოს შემოსავალს თუ არ აძლევდა, არც საზარალო იყო, ხოლო ვინც მოჭრის ზარალზე მიუთითებდა, ის მხედველობაში არ იღებდა ლითონის დაბალ სინჯს და წონაში დაკლებას, რაც თავისთავად

- - - - - - - - - - - - - -

1 Акты, т.У, с.237; ЦГИА ГССР, ф.254, д.234, л.83.

2 იქვე, გვ. 298-299.

შემოსავალს წარმოადგენდა და ყოველ შემთხვევაში, მონეტის მოჭრის ხარჯებს მაინც ფარავდა.

აღმოსავლეთ საქართველოში მიმოიქცეოდა რუსული სპილენძის მონეტები, ასეთი მონეტები იყო ორგვარი. ერთი, რაც იჭრებოდა ეკატერინე მეორის დროიდან 1849 წლამდე - ფუთიდან 16 მან. ოდენობით. ვერცხ. ამ ღირსების მონეტის ნიშნები იყო 3 კაპიკიანი, 2 კაპიკიანი, 1 კაპიკიანი, 1/2 კაპიკიანი. მეორე, 1849 წლიდან 1868 წლამდე "- ფუთი სპილენძიდან 32 მან. რაოდენობით. ამ კატეგორიის მონეტის ნიშნები იყო: შაურიანი, 3 კაპიკიანი, 2 კაპიკიანი, 1 კაპიკიანი, ნახევარკაპიკიანი და მეოთხედკაპიკიანი[1]

რაც შეეხება სასინჯ კარებს, 1840 წლის 27 ნოემბრის იმპერატორის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად ოქრომჭედლებს უფლება არ ჰქონდათ ძვირფასი ლითონების დამუშავება ეწარმოებინათ, თუ ნებართვა არ ექნებოდათ აღებული, 15 კაპიკიანი ღერბის ფურცლით, სახელოსნო გამგეობიდან ან ქალაქის გამგეობიდან და, განსაკუთრებით თუ ჩაწერილი არ იქნებოდნენ სასინჯ კარავში.

ოქროსა და ვერცხლის ნაწარმზე წესიერი ზედამხედველობისათვის თბილისში არსებობდა ოქროს სასინჯი კარავი, რომელიც სახაზინო პალატის გამგეობას ექვემდებარებოდა. სინჯის დადების შემოსავალი რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოში წლიურად აღწევდა 700-750 მანეთს, რაც ნამესტნიკის ანგარიშების მიხედვით, ხარჯებსაც ვერ ფარავდა. ხარჯები 1845 მან. შეადგენდა[2]. ამგვარად, სამონეტო და, საერთოდ, ზოგადი

---

1 Кавк. кал.,а 1859 г.,с.172; Я н ж у л И.Осн. н.ф.науки, с.211.

2 Обозрение..., ч.IУ, с.582-583, ЦГИА ГССР,ф.192,оп.I,д.3, л.225-226;ф.254,д.362, 618,619,1558; Кавк.кал. на 1855 г. с.624; Отчет наместн.кавк. с.381.

ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა ფე-ოდალიზმის რღვევისა და ცარიზმის წინააღმდეგობრივი ფინან-სური პოლიტიკის საფუძველზე. ცარიზმის იმპერიალისტური მერკან-ტილისტური პოლიტიკა, რუსული მონეტების დაცვა საზღვარგარეთ გაზიდვისაგან, საქართველოში მყოფი რუსის ჯარისა და მოხელე-თათვის ფულის დახურდავების დიდი საჭიროებისა და სხვ. გამო, აუცილებელი იყო რუსულ-ქართული მონეტების მოჭრა. მეორე მხრივ, ასეთი ფულის შემოღება ქმნიდა თავისთავად ფულად სისტემას საქართველოში და ამ უკანასკნელს რამდენადმე და-მოუკიდებლობას ანიჭებდა ეკონომიკურ ვითარებაში, აფერხებდა მეფის რუსეთის ერთიანი ფულადი სისტემის განმტკიცებას და ცარიზმის თვალსაზრისით, პოლიტიკურადაც გაუმართლებელი იყო. ამიტომ რეფორმამდელი პერიოდის მეორე ნახევრიდან ცარიზმი შეეცადა ქართული ფულისა და რუსულ-ქართული ფულის მონეტები ამოეღო ტრიალიდან. ეს პროცესი გაგრძელდა რეფორმამდელი პე-რიოდის დასასრულამდე.

რუსეთში ქაღალდის ფული შემოღებულია 1768 წლის 29 დეკემბრის მანიფესტით. 1869 წელს დაარსდა საემისიო ბან-კები მოსკოვსა და პეტერბურგში.

ასიგნაციების გამოშვებას იმთავითვე საემისიო შემო-სავლის დანიშნულება ეძლეოდა და ომის ხარჯების დასაფარავად უნდა გამოეყენებინათ[1].

1814 წლის 10 იანვარს მიღებული იმპერატორის ბრძანე-ბის თანახმად სამხედრო ხარჯები /ჯარის ჯამაგირი, რაციონი და სხვ./ საქართველოში ასიგნაციებით უნდა გაეცათ. მთავარსარდალ რტიშჩევს ებრძანა ზომები მიეღო საქართველოში ასიგნაციის გა-სავრცელებლად. ამის შემდეგ არაკრევმა დაწესებით აცნობა რტიშ-

- - - - - - - - - - - - -

[1] Х о д с к и й  Л.В. Основы госуд. Хозяйства,1901,стр.393.

ჩვენ ბრუნვაში ასიგნაციების აუცილებლად შემოღების შესახებ. 1814 წლის 14 იანვარს ტორმასოვმა სთხოვა რტიშჩევის უწყობებია მისთვის თუ ჩხრიალა მონეტების კურსთან შედარების როგორი ლაქით უნდა გადმოეგზავნა ასიგნაციები ჯარის ჯამაგირებისათვის და სხვ.[1]

რუსეთში ასიგნაციების რაოდენობა ტრიალში 10 წლის მანძილზე 2,5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. საქართველოს შეერთებისას რუსეთში იყო 221 მილიონი მან., 1810 წელს ასიგნაციის 4 მან. უდრიდა ვერცხლის 1 მან., მაგრამ შეუძლებელი შეიქნა ასიგნაციების გამოშვების შეწყვეტა, განსაკუთრებით 1812-1815 წლების სამხედრო ხარჯების გამო, და ასიგნაციების რიცხვმა ბრუნვაში 836 მილიონ მან. მიაღწია. ასიგნაციის კურსი დამყარდა 5:1, ე.ი. ასიგნ. 5 მან. ვერცხლის 1 მან.[2]

ამასთან დაკავშირებით, რტიშჩევს მიზანშეწონილად მიაჩნდა, ასიგნაციისადმი ნდობის გასამტკიცებლად, ასიგნაციები ხაზინასაც მიეღო. ამიტომ მისი აზრით, აუცილებელი იყო თბილისში ბანკის კანტორის გახსნა, რისთვისაც საჭირო იქნებოდა რუსეთიდან გამოეგზავნილიყო ან ადგილზე საქართველოს შემოსავლიდან გადადებულიყო 250 000 მან. მონეტა სპილენძის ფულის სათანადო რაოდენობის შემცველობით, რომ მიწათმოქმედთ და ყველა სხვა დაბამხრელს შესაძლებლობა ჰქონოდა გადასახადების შეტანისას ასიგნაცია ბანკის კანტორაში გადაეცვალა ოქროსა და ვერცხლზე, ასიგნაციის არაუმეტეს 10 მან., ან მაზრის მცხოვრებლებს, რომლებიც თბილისიდან დაშორებული იყვნენ უფლება მისცემოდათ ხაზინაში გადასახადი შეეტანათ ასიგნაციითა და სპილენძის ვერცხლის კურსის მიხედვით.

---

1 Акты, т.У, стр.233,235,265-270.

2 Акты, т.У, стр.233,235,265-270

დასასრულ, რეიშჩევი მოითხოვდა, რუსეთის ვაჭრების გა-ეფართოებინათ ვაჭრობა საქართველოში, რაც ძალიან სასარ-გებლო იქნებოდა ასიგნაციების გავრცელებისათვის, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასიგნაციებს მიიღებდნენ მოსახლეობიდან თავისი ფასით, მეორე, საჭირო აღარ იქნებოდა ოქროსა და ვერცხლის საზღვარგარეთ გაზიდვა საქონლის შესაძენად[1]

დასაწყისში, როგორც ვიცით, ქალაქის ფული ემყარებოდა სპილენძის ვალუტას, მაგრამ კურსი შეფასებულ იყო ვერცხლით. 1839 წლის რეფორმით მოხდა ასიგნაციების დევალვაცია 1810 წლის შემოღებული ვერცხლის ვალუტის საფუძველზე. ასიგნაცია დაქვემდებარებული დარჩა. კანკრინის რეფორმით შემოღებული იქნა საკრედიტო ბილეთები.

1839 წლიდან ყველა სახელმწიფო ხარჯი გადაიანგარი-შეს ვერცხლზე. ასიგნაციის 100 მან. შეუფარდეს ვერცხლის 28 მან. 60 კაპ. სპილენძის მონეტების გასავრცელებლად სამაზრო ხაზინებს ებრძანათ სპილენძის მონეტებზე გადაე-ხურდავებინათ ასიგნაციები ვერცხლისა და სპილენძის მონე-ტები შემდეგი კურსით: ვერცხლის მანეთი-სპილენძის 3 მან. 50 კაპ., ოქრო - სამი პროცენტის დამატებით ვერცხლის კურ-სთან შედარებით[2]

ამის საფუძველზე ფინანსთა მინისტრი აცნობებდა ამიერკავკასიის მხარის მთავარსარდალს, რომ მისი მიწერილო-ბით სურსათის დეპარტამენტი ელოდება ეს ბილეთები ამიერკავ-კასიაში შეძლებისდაგვარად ნაკლები რაოდენობით გადმოეგზავ-ნოს, მეორე მხრივ, ვინაიდან უხერხულია ამიერკავკასია გამო-ნაკლისს წარმოადგენდეს იმპერიის სხვა ნაწილთან შედარებით,

---

1 Акты, т.У, стр.237-243.
2 ЦГИА ГССР, ф.254, д.18971,л.1,д.18972,л.14,15.

ნთავარსარდალი თავის მხრივ, უფრო ცდილობდა ეს ბილეთები ბრუნვაში დაენერგა. 1840 წელს სამხედრო სამინისტრომ ამიერ-კავკასიაში გადმოაგზავნა სახელმწიფო ხაზინის ბილეთები 75 000 მან. და დეპოზიტური სალაროსი – 185 363 მან. რაოდენობით. ფინანსთა მინისტრის 1841 წლის 5 ნოემბრის ბრძანებით თბილისის სამაზრო ხაზინაში მოეწყო სახაზინო ბილეთებისა და დეპოზიტური ბი-ლეთების ჩხრიალა მონეტებზე გადახურდავება – თითო ხელში 500 მან. რაოდენობით[1] მინისტრთა კომიტეტის 1847 წლის 3 ივნისის დებულებით დეპოზიტური ბილეთები ამოღებულ იქნა მიმოქცევიდან და 1848 წლიდან შეწყდა დეპოზიტური სალაროს მოქმედება[2].

1843 წელს საკრედიტო ბილეთები გამოშვებული იყო 30 მილ. მან. ოდენობით. შემდეგში სახელმწიფო ხარჯების გადიდებამ გამოიწვია საკრედიტო ბილეთების ემისიის გადიდება. 1848 წელს საკრედიტო ბილეთების რაოდენობა შეადგენდა 307 მილიონ მანეთს. იმხანად საერთოდ გაიზარდა მოთხოვნა ჩხრიალა მონეტებზე და საგრძნობლად დაეცა რუსეთის სათამასუქო კურსი: ამან გამო-იწვია ზოგიერთ გუბერნიაში ლაჟის დაწესება და საკრედიტო ბი-ლეთების გაძლიერებული წარდგენა გადასახურდავებლად. მთავრობამ აკრძალა რუსეთის ოქროსა და ვერცხლის მონეტების საზღვარგარეთ გაზიდვა.

1853 წელს დაიწყო ყირიმის კამპანია, რასაც თან მოჰყ-ვა სამხედრო ხარჯების ზრდა. მთავრობამ თავიდან არ გამოსცა დამატებითი საკრედიტო ბილეთები ხარჯების დასაფარავად და საბ-რუნავი სახსრები ისესხა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებები-დან, მაგრამ 1855 წელს იძულებული გახდა ახალი საკრედიტო ბი-

1 ЦГИА ГССР, ф.254, д.18972, л.4,34-35,37-38, Мин. фин. ч.I, стр.249-251.

2 ЦГИА ГССР, ф.254, д.570, л.62-63.

ლეთები გამოეშვა. 1854 წელს საკრედიტო ბილეთების რაოდენობა 356 მილიონ მანეთს უდრიდა. 1858 წელს 735 მილიონ მანეთს მიაღწია, რამაც გამოიწვია საკრედიტო მანეთის გაუფასურება და საკრედიტო ბილეთების გადახურდავებაც შეწყდა[1] ამრიგად, საკრედიტო ბილეთები რეფორმამდელი პერიოდის მთელ მანძილზე ფულადი მიმოქცევის მერყევ იარაღს წარმოადგენდა.

მთელ იმპერიაში 1852 წლისათვის მიმოქცევაში დარჩენილი იყო 1841 წლის გამოშვების 50 000 მანეთამდე საკრედიტო ბილეთი. აქედან ერთი მცირე ნაწილი იყო ამიერკავკასიაშიც. მის არსებობას ადასტურებს ის მიმოწერა, რომელიც გაიმართა სამხედრო უწყებაში ორი ცალი 50 მანეთიანი საკრედიტო ბილეთის შესახებ. კავკასიის მხარის სამოქალაქო მმართველობის უფროსმა 1852 წლის 31 ოქტომბერს განმარტა, რომ საკრედიტო ბილეთებს /1841 წლის გამოშვება/ ფულის მნიშვნელობა არ დაუკარგავთ და რომ ისინი არ უნდა აირიონ დეპოზიტურ ბილეთებში. ამასთანავე, განკარგულება მიეცა სამაზრო ხაზინებს, გადაეცვალათ ეს საკრედიტო ბილეთები ჩხრიალა მონეტებზე ან სახელმწიფო საკრედიტო ბილეთებზე, თუ მათ ვინმე წარმოადგენდა.

აღმოსავლეთ საქართველოში არსებული საკრედიტო ბილეთების რაოდენობის შესახებ მიახლოებით წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი მონაცემები. 1862 წელს დასახურდავებლად და გადასაცვლელად წარმოადგინეს საკრედიტო ბილეთები თბილისის მაზრაში 300 000 მანეთისა- მსხვილი საკრედიტო ბილეთები წვრილზე გადასაცვლელად, 100 000 მანეთისა- წვრილი საკრედიტო ბილეთები მსხვილზე გადასაცვლელად; შემდეგ 34 241 მან. საკრედიტო

- - - - - - - - - - - - -

[1] Мин.фин.,ч.I,с.259-262; Кауфман И.И.Статистика, СПб, 1886 г.с.46-47; Мануилов А. Учение о деньгах..., стр.123-129.

ბილეთები- ვერცხლზე გადასაცვლელი, 3700 მანეთისა- სპილენძზე გადასაცვლელი, თელავის მაზრაში 467 მანეთისა- ვერცხლზე გადასაცვლელი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საკრედიტო ბილეთები ტრიალში გაცილებით უფრო დიდი რაოდენობით იყო, ვიდრე ის 1862 წელს გადასახურდავებლად იქნა წარმოდგენილი. აღმოსავლეთ საქართველოში რეფორმამდელი პერიოდის დასასრულისათვის ქაღალდის ფულის ტრიალის გავრცელების უტყუარ მომასწავებელია შემდეგი ცნობა: 1862 წლის გადასახდელებსა და მოსაკრებლებში წარმოდგენილ იქნა დაძველებული საკრედიტო ბილეთები 231 011 მან. და გადასაცვლელად 15 000 მან[1]

რეფორმამდელი პერიოდის ქაღალდის ფულის კურსი იყო:

ა/ ასიგნაციებისა

1811-1814 წლებში- 1:3     1825 წელს - 1:4

/ვერცხლის 1 მან. უდრიდა/ ასიგნაციის 3 მანეთს/.

1815-1818 წლებში- 1:4

1820 წელს - 1:2,6     1830 წელს - 1:4

უფრო ზუსტად, 100 მან. ასიგნაციისა უდრიდა 26 მან. 85 კაპ. ვერცხლით; 99 მან. და 25 კაპ. სპილენძით; 9 ჩერვო-ნეცი და 3 კაპ. ოქროთი[2]

ბ/ სახელმწიფო საკრედიტო ბილეთებისა

1842 წელს - 1:1,02     1857 წელს - 1:1,04

1847 წელს - 1:1,01     1852 წელს - 1:1,10[3]

როგორც ვხედავთ, ქაღალდის ფულის კურსი ცვალებადი იყო.

---

1 ЦГИА ГССР,ф.255,д.570, л.62-63,д717, л.65,69.
2 Мин.фин, ч.I, с.622, Акты, т.I, стр.76.Примечание.
3 К а у ф м а н И.И. Статистика... ,стр.46-47.

ქაღალდის ფულის კურსზე უთუოდ რამდენადმე გავლენას ახდენდა ყალბი ფულების შეჭრაც, რაც ზრდიდა მიმოქცევაში ქაღალდის ფულის რაოდენობას. ამიერკავკასიის სახაზინო პალატის საქმეებში მოიპოვება ზოგიერთი ცნობა ყალბი ქაღალდის ფულის შესახებ. განსაზღვრა იმისა, თუ რამდენი იყო ასეთი ფული მიმოქცევაში საერთოდ იმპერიაში და, კერძოდ, საქართველოში ძნელია, მაგრამ როგორც ჩანს, იგი დიდად გავრცელებული ყოფილა, ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ დაბალი ღირსების, მაგალითად, მანეთიან ნიშნებსაც აყალბებდნენ. ამზადებდნენ აგრეთვე 3,5,10,25,50 და 100 მანეთიან ყალბ საკრედიტო ბილეთებსაც. გაყალბების სიხშირისა და გავრცელებულობის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ყოფილა რამდენიმე სხვადასხვაგვარი ყალბი ქაღალდის ფული; ასე, მაგალითად, როგორც საბუთებიდან ჩანს, იყო ყალბი მანეთიანები- მე-4 გვარის, ყალბი სამმანეთიანები 24-ე გვარის, 5 მანეთიანები- 14-ე გვარის, ათმანეთიანები მე-15 გვარის, 25 მანეთიანები .- მე-2 გვარის და სხვ.[1].

სიყალბის გვარეობის აღმნიშვნელი რიცხვები აქ მოყვანილია მაგალითისათვის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყალბი ნიშნები ბევრად უფრო მეტი იქნებოდა, მაგრამ ზოგი იმ დროისათვის ხელისუფლებისათვის შეუმჩნეველი დარჩა, ზოგის საბუთები დაიკარგა და ზოგიც, ჩვენ გამოგვრჩა.

## 3. კრედიტი

რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა

---

[1] ЦГИА ГССР, ф.255, д.529,570,687,703,717.

მევახშეობაც მისი დამახასიათებელი ორი ფორმით [1]

პირველი იყო მევახშეობა, რომელიც სესხს აძლევდა მფლობელებს, თავადაზნაურობას. იგი ანადგურებდა მიწის მესაკუთრეებს, მათართმევდა მიწას და ამგვარად, ხელს უწყობდა ფეოდალიზმის დაშლას.

უამრავი ცნობა და განცხადებაა მოთავსებული 1819 და 1820 წლების „საქართველოს გაზეთში", აგრეთვე, სხვა წყაროებში, იმის შესახებ, თუ როგორ იყიდებოდა ვალში ქართლ-კახეთის თავად აზნაურების მამულები, სახლ-კარი და ყმები.

მოვიყვანოთ რამდენიმე განცხადება:

1. "ორი ვენახი თავადის მაჩაბლის მეუღლის როდამისა და მისი შვილის მიხაილისა გორის უეზდის სოფელს თამარაშენში იმ ვალის პასუხის გასაცემად, რომელიც მართებთ მათ გორის იოსებ ელიაშვილისა და მისის ძმებისა, იმათის დასწრებით ვადა დანიშნული არის მარტის კთ. და აპრილის იდ. და თე." 2. "ერთი დღის სახნავი მიწა აზნაურის იოსებ მაღალოვისა და გორის უეზდის სოფელს მეჯვეხს იმ ვალში, რომელიც ემართებს მას გორის მოქალაქის სოლომონ ყუბანოვისა, იმის დამოსწრებით ვადა დანიშნული არის მარტის ლ.ა. და აპრილის იი. და იე.". 3. "სამი დღის სახნავი მიწა აზნაურის ლუარსაბ მირზაშვილისა გორის უეზდის სოფელს შინდისს იმ ვალში, რომელიც ემართებს მას გორელის ბაბალოვისა იმისის დამოსწრებით ვადა დანიშნული არის მარტის კე. და აპრილის იე. და ით." 4. "ძველი თავადის ლახა ყორჩიბაშვილის იასე ხულიაშვილი თავისის ცოლშვილითა და ქონებით თელავის უეზდში იმ ვალის პასუხის გასაცემად, რომელიც ემართებს მას

[1] ფულადი ფორმის კრედიტი განვითარებული იყო მე-18 საუკუნის საქართველოშიაც, იხ. ნ. ქ ო ი ა ვ ა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII ს. ქართლ-კახეთში, 1963.

*თელაველის თეიმურაზ ბალასანოვისა* იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის აპრილისა კა და მაისის ე. და ცე."[1] 5 "გარდაცვალებულის *თავადის ლოქია მაჩაბლის* ყმები გორის უეზდის სოფელს ვაჩიანში მცხოვრებნი ხიზანიშვილები მათის მამულით იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას *ნადვორნის სოვეტნიკის თავადის ბიოძ თუმანოვისა* იმათის გამოსყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის კვ. და აპრილის იზ. და ით". 6. "ორი ვენახი და ვენახის ადგილი *თავადის ცორჩიბაროვისა* თელავის უეზდში იმ თერის მოურავობისათვის, რომელიც ჰმართებს მას *ხაზინისა*. იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის ლა და აპრილის ით. და კა.". 7. ორი კომლი ყმა *თავადის როსტომ ამირეჯიბოვისა* გორის უეზდის სოფლებს ავლებსა და თიღეს მცხოვრებნი იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას *მეთორმეტე კლასის სტეფანე ანტონოვისა*, იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის აპრილის ბ. კა და კბ". 8. "სახლი *აზნაურ წოწია და იოანე არეშოვთა*, რომელიც არის თბილისის ქალაქის ბეორეს ჩასცვის პირველს კვარტალში იმ ვალის პასუხის გასაცემად, რომელიც ჰმართებს მათ *რეკანიჩის ტერმელიქსეთოვისა*, იმისის გამოსყიდვის ვადა დანიშნული არის მარტის კა და აპრილის იდ. და იე." 9. "მეექვსედი ნაწილი *თავადის გურგენიძის* მეუღლის სოფიასი ბაღის თბილისის უეზდში სოფელს კუკიას იმის ვალში, რომელიც ჰმართებს მას *იმერლის რაფთელასი*, ვადა იმისის გასყიდვისა დანიშნული არის მარტის კ. და აპრილის იდ. და იე."[2].

ეს ამონაწერი ამტკიცებს, უპირველეს ყოვლისა, იმას

---

1 "საქართველოს გაზეთი". 1819. მარტის იდ. იღეს ჩვეთ წელსა, № 2,3,4.

2 "საქართველოს გაზეთი", 1819, 4,3,2. /კურსივი ყველგან ჩვენია- ვ.ჩ./

რომ ფეოდალები წარმოების საშუალებებს და მუშახელს კარგავენ, მათ მიწა და ყმები ხელში იყიდება, ისინი საკუთრებისაგან თავისუფლდებიან, მეორე, ყველა კრედიტორი, როგორც ებ-დაეთ, ქალაქის მცხოვრებია /თბილისელი, გორელი, თელაველი/. ამგვარად, მეთორმეტე აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქები ექსპლოატაციას უწევდნენ მევახშეობით სოფლებს და ამით ხელს უწყობდნენ ფეოდალიზმის დაშლას.

კრედიტორები იყვნენ როგორც ვაჭრები /ებრაელი იოსებ ელიაშვილი, სომხები: მიქალაძე ყუბანოვი, გორელი ბაბალოვი, თელაველი ბაიდასაროვი/, ასევე მოხელეები, სასულიერო პირები. მარქსი ამბობს: "სავახშო კაპიტალის განვითარება დაკავშირებულია ვაჭრის კაპიტალის განვითარებასთან და სპეციალურად ფულად-სავაჭრო კაპიტალის განვითარებასთან"[1] კრედიტორებად გამოდიოდნენ აგრეთვე შეძლებული მოხელეები, მაგალითად, ნადვორნი სოვეტნიკი თუმანოვი. მეთორმეტე კლასის მოხელე სტეფანე აწყინოვი და სხვ. აგრეთვე შეძლებული სასულიერო წოდების პირები, მაგალითად, დეკანოზი ტერმელიქსეთოვი. კრედიტორების რიცხვში აგრეთვე ხაზინაც; ისიც ხელს უწყობდა ფეოდალიზმის დაშლას გადაუხდელობისათვის ფეოდალთა ქონების გაყიდვით.

მეთორმეტე აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება მევახშეობის მეორე ფორმაც, ეს იყო სესხის გაცემა წვრილ მწარმოებლებზე თავიანთი შრომის პირობათა მფლობელებზე: ხელოსნებსა და გლეხებზე. მევახშეობა მათაც უწევდა ექსპლოატაციას და ამ უშუალო მწარმოებლებს წარმოების საშუალებებს აცლიდა ხელიდან.

---

1 კ. მ ა რ ქ ს ი , კაპიტალი, ტ.III, ნ. 2, 1959, გვ.168.

განსაკუთრებით ფართოდ იყენებდა მევახშე ფულის, როგორც გადახდის საშუალებას, ფუნქციას, ვინაიდან ყოველგვარ გადასახდელთა ფულადი ბეგარა, გამოსაღები, გადასახადი და სხვ. გადახდათა დაკავშირებულია განსაზღვრულ ვადასთან და გადამხდელს სწორედ ამ დროისათვის უნდა ქონდეს ფული. ამიტომ ეს გადასახდელი წვრილმწარმოებელს აგდებს მევახშის ხელში. განსაკუთრებით უარესდება ეს მდგომარეობა, როდესაც ნატურალური ბეგარა-გამოსაღები და ილა ფულადად გადაქცეული. "მებატონის და სახელმწიფოს სასარგებლო ნატურალურ გადასახდელთა გარდაქმნა ფულად რენტად და ფულად გადასახადად აქ დიდ როლს ასრულებს[1].

გლეხები /ინ.მანორში/ მევახშეობის გამო ხორბალსა და ღვინოს მეტად არახელსაყრელ ფასებში ასაღებდნენ. ისინი იძულებულნი იყვნენ მოსავალი წინასწარ გაეყიდათ და ამის გამო მესამედსა და ხშირად ნახევარსაც კარგავდნენ. ტირის მანორში მევახშეები წლიურად 6-დან 36%-მდე იღებდნენ, სარგებლის აღება ხდებოდა როგორც ფულით, ასევე პროდუქტებითაც /პურით, ღვინით/. ასეთ შემთხვევაში 10 მან-ზე იღებდნენ 2-დან 2,5 კოდამდე პურს ან 1-დან 2-მდე კოკა ღვინოს.

როგორც პირველი, ისე მეორე ფორმის მევახშეობა ფეოდალური წარმოების წესს არღვევდა და მსხვილი ფულადი კაპიტალების დაგროვებას ხელს უწყობდა. მაგრამ წარმოების წესის შეცვლა, რასაკვირველია, მევახშეობას არ შეეძლო[2].

---

1 კ.მ ა რ ქ ს ი , კაპიტალი, ტ.III, ნ.2, 1959, გვ.174.

2 კ.მ ა რ ქ ს ი , კაპიტალი, ტ.III, ნ.2, გვ.171; ქართული მხატვრული ლიტერატურა იცნობს ლ.არდაზიანის მიერ აღწერილ რეფორმამდელი პერიოდის ვაჭარ-მევახშის ტიპს-სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს.

მევახშეობა მშრომელების მდგომარეობას აუტანლად აუარესებდა; დავალიანებული ფეოდალი კიდევ უფრო მეტ ექსპლოატაციას უწევდა მშრომელებს. ვალში გაცრდილი ფეოდალის ქონება ხელში უვარდებოდა მევახშეს, რომელიც მიწათმფლობელი ხდებოდა, რაც კიდევ უფრო აუარესებდა მშრომელთა მდგომარეობას " ძველი ექსპლოატატორის ადგილას, რომლის ექსპლოატაციას მეტნაკლებად პატრიარქალური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან უმთავრესად პოლიტიკური ძალაუფლების იარაღს წარმოადგენდა, დგება სასტიკი, ფულხარბი ვიგინდარა. მაგრამ თვით წარმოების წესი არ იცვლება"[1]

ვახშური და ვაჭრული კაპიტალი რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოში ხელს უწყობდა ფეოდალიზმის დაშლას, ქალაქების ზრდას და მიწათმფლობელობისაგან დამოუკიდებელი ფულადი საკუთრების შექმნას. ამას თან სდევდა ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერება ფულადი მეურნეობის ზრდასთან დაკავშირებით.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არ არსებობდა არც კერძო და არც სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებები და როგორც ვნახეთ, კრედიტორები იყვნენ მევახშეები. გენ. რტიშჩევი 1810-იან წლებში მიზანშეწონილად თვლიდა ასიგნაციების წრობის განსამტკიცებლად თბილისში გაეხსნილიყო ბანკის კანტორა. გენ. ტორმასოვმა წამოაყენა იდეა დაარსებინა საქართველოში სამადლო დაწესებულება, რის შესახებაც 1810 წ. 13 თებერვალს სწერდა ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრს კურაკინს. 1810 წლის უმაღლესი ბრძანებულებით დაარსდა საქართველოში საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი[2]. ეს იყო პირველი სა-

- - - - - - - - - - - - - - -

1 კ. მ ა რ ქ ს ი , კაპიტალი, ტ.III, წ.2, გვ.172.
2 Акты, т.IУ, № 32, с.34.

კრედიტო დაწესებულება საქართველოში და არა მარტო საქართველოში, არამედ ერთადერთი საკრედიტო დაწესებულება ამიერკავკასიაში. პრიკაზი მსესხებლით პროცენტებს ახდევინებდა ვახტანგ VI კანონების მიხედვით წლიურად 10%-25-30%-მდე. პრიკაზი სარგებლით ინახავდა სამადლო და სამზრუნველო დაწესებულებებს.

ამიერკავკასიის საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზმა, რომელიც დამტკიცდა 1818 წლის 10 მაისს, მოქმედება დაიწყო 1849 წლიდან.

1860 წლის 1 იანვრიდან პრიკაზები ლიკვიდირებულ იქნა რუსეთში და ამიერკავკასიაშიაც. 1859 წლის საკრედიტო რეფორმას მოყვა ახალი საკრედიტო დაწესებულებების დაარსება, რომელთაც ნება დაერთოთ გამოეშვათ პროცენტიანი სახელმწიფო ბილეთები.

1860 წლის 3/X დადგენილებით აღდგენილ იქნა ამიერკავკასიის პრიკაზი, რომელმაც იარსება 1885 წლამდე.

1867 წლის თბილისში თავისი განყოფილება გახსნა რუსეთის სახელმწიფო ბანკმა.

1872 წლის გაიხსნა ორი კერძო ბანკი: კომერციული ბანკი და ურთიერთკრედიტის თბილისის საზოგადოება.

1884 წლის 11/X-დან შეწყვიტა თავისი მოქმედება საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზმა საქართველოში და ამიერკავკასიაში.

პირველი თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი დაარსდა 1864 წლის, იარსება 1918 წლამდე. ი. ჭავჭავაძემ ბანკს მისცა საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათი. დამაარსებლებს და მთავრობას მიაღებინა წესდება, რომლის მიხედვით ხარჯებისა და ზარალის შემდეგ 25% მოგებიდან დახმარება გაეწია თბილისის გუბერნიის მიწათმფლობელებისა და მიწათმოქმედთათვის,

დაენიშნათ სტიპენდიები, გამოეყენებინათ გზებისა და არხე-
ბის გასაყვანად და სხვ. ილია ჭავჭავაძე ბანკს მართავდა
1875-1905 წლებში.

1875 წელს დაარსდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკი, რომელმაც იარსება 1917 წლამდე. ეს ბანკი ნაღდ ფულს კი არ იძლეოდა სესხად, არამედ საგირავნო ფურცლებს.

1898 წლის ბოლოს თბილისის და ქუთაისის ბანკებმა სამინისტროდან მიიღეს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება.

უკანასკნელ ხანებში ბანკს გაუჩნდა მეტოქეები. ესენი იყვნენ სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილება, სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილება, ურთიერთკრედიტის თბილისის საზოგადოება და სხვ.

## ლ ე ქ ც ი ა  მ ე ო ც ე

## ფინანსები საქართველოში რუსეთთან შეერთებიდან ოქტომბრის რევოლუციამდე / 1801-1917 წწ./

### 1. სახელმწიფო ხარჯები

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს ფინანსები შედგებოდა სახელმწიფოებრივ, საქალაქო და საერობო ფინანსებისაგან.

ფინანსების ამ სამ სახეობას შორის, მშრომელთა ჩაგვრის თვალსაზრისით, პრინციპული განსხვავება არ იყო და ერთმანეთის საქმეს აძლიერებდნენ.

[illegible] დაბეგრილი იყვნენ სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებით და საერობო ბეგარა-გამოსაღებითაც, ან საქალაქო გა-

დასახლებით და სახელმწიფო ბეგარა-გამოსაღებითაც, ანდა სამიეული ერთად... მეურნეობის ნატურალური ფორმა რეფორმამდელ პერიოდში აპირობებდა ფინანსების ნატურალურ ხასიათს. მეფის რუსეთის გადაწყვეტილება - ყველა გადასახადი ფულით ყოფილიყო გადახდევინებული- განუხორციელებელი დარჩა. ის განხორციელდა მხოლოდ 1849-იანი წლებიდან, როდესაც საქონლად განვითარდა ფულადი რენტა, საქონლურ-ფულადი მეურნეობა, თუმც მაშინაც აჯანყების ერთ-ერთ საბაბად იქცა მოქერთ კუთხეში, მაგალითად, გურიაში.

მოცემული პერიოდის ფინანსებისათვის დამახასიათებელია ის თავისებურება, რომ ნაციონალური შემოსავლისა და ნაციონალური სიმდიდრის ერთ ნაწილს ფინანსურად ორგანიზებდა, ერთი მხრივ, სახელმწიფო, მეორე მხრივ, ეკლესია და ქალაქის თვითმმართველობანი სახელმწიფოს ხელმძღვანელობით. განაწილების პროცესში მათ გარეშე ეკონომიკური იძულებით ცვლილებები შეჰქონდათ ან ახალ განაწილებას ახდენდნენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გარეშეეკონომიკური იძულება ფეოდალიზმის პირობებში დამახასიათებელი იყო არა მარტო ფინანსური ურთიერთობებისათვის, არამედ მას, მიწის ფეოდალური საკუთრების საფუძველზე, მემამულე-მებატონეებიც იყენებდნენ ძირითადი ექსპლოატაციის პროცესში ეკონომიკური ძალაუფლების განსამტკიცებლად.

იმ დროის ფინანსებს ახასიათებს ის თავისებურებაც, რომ ხშირად ერთსა და იმავე სახელწოდებით, ზოგჯერ ერთსა და იმავეზე განაწესებითაც კი, ახდენდნენ თავიანთ ლებებს გამოსაღებს სახელმწიფო, ეკლესია და მემამულე-მებატონეები. ასეთები იყო, მაგალითად, კულუხი, კოდის პური, საბალახო, საქრიეო, გასაშვრელი, თავის გასამტეხლო და სხვ. ამასთანავე, ბაჟების გადა-

ხელფასების ფულებით სარგებლობდნენ არა მარტო სახელმწიფო და ეკლესია, არამედ კერძო პირებიც – ფეოდალები.

მეფის რუსეთის მმართველობა იძულებული იყო ანგარიში გაეწია ქვეყნის ეკონომიკური პირობების და საერთო პოლიტიკური ვითარებისათვის. ამიტომ დასაწყისშივე და ერთბაშად არ შეუცვლია არსებული ფინანსური სისტემა. გადასახადების შემოსავლის დარგში, რაც უმთავრესად დარჩა რეფორმამდელი პერიოდის პირველ ნახევარში. ცვლილებების შეტანას უკადა მაშინდელი ვითარება შინაგანი ბაჟების გაუქმების საქმეში და ისიც განხორციელებული დარჩა 1830-ან წლებამდე. ცვლილება იმთავითვე შეტანილ იქნა გასავლის ნუსხაში.

ნატურალური მეურნეობის პირობებში უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა შემოსავლის ნუსხის შედგენას, ვიდრე გასავლის ნუსხისა, ვინაიდან ნატურალური ხასიათის შემოსავალი, ვალის ნატურალურობის გამო ერთგვარად თვით აპირობებდა შემოსავლის გამოყენების შესაძლებლობას, მის დანიშნულებას. ამიტომ გასავლის ნუსხის შედგენას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს და უფრო აუცილებელია ფულადი მეურნეობის პირობებში. ფულად შემოსავალს შესაძლებელია ნაირნაირი დანიშნულება მიეცეს. ამიტომ ეს ასე რომ არ მოხდეს და სახსრები გარკვეული მიზანდასახულობის მიხედვით დაიხარჯოს, ადგენენ გასავლის ნუსხას.

იმხანად გასავლის ნუსხის შედგენის მნიშვნელობას ამცირებდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ნატურალური მეურნეობის პირობებში სახელმწიფო ხარჯების ერთი ნაწილი შემოსავლის სახით იყო წარმოდგენილი, მაგალითად, თანამდებობის პირთა ჯამაგირები, სასამართლო მისაღებელი და სხვ. იმის მაგიერ, რომ სახელმწიფოს აეკრიბა სახსრები და მერე გასავლის ნუსხაში გატარებით ხარჯებად

ძალთ თანამდებობის პირთა და სხვ. შესანახად, სახელმწიფო წინდაწინვე აკანონებდა მათ შემოსავალს, რომელსაც ისინი თვითონვე კრებდნენ თავიანთ სასარგებლოდ.

ცარიზმმა დასაწყისშივე თავისი პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრა გასავლის წესი, სახსართა მოცულობა და სახსართა დანიშნულება.

სახელმწიფო ხარჯთა ძირითად სახეობას წარმოადგენდა მმართველობის აპარატის შენახვა, რომლის ხვედრიწონამ რეფორმამდელი პერიოდის დასაწყისში შეადგინა 90,4%, პერიოდის დასასრულს - 39,7%.

რეფორმამდელი პერიოდი საქართველოში მეფის რუსეთმა გაუნუწყვეტელ ომებში გაატარა. აქედან ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენად დიდი იქნებოდა სამხედრო ხარჯები საქართველოში. მაგრამ აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმხანად სამხედრო ხარჯების გაღება ძირითადად იმპერიის სახელმწიფო ფინანსების ანგარიშით ხდებოდა. საქართველო ამ ხარჯებში ნაწილობრივ ღებულობდა მონაწილეობას ცოცხალი ძალით და მატერიალურად-ნატურალური და ფულადი ბეგარის სახით. ეს იყო: 1/ ჯარის სურსათით და ფურაჟით მომარაგება, 2/ საზიდი ბეგარა, 3/სამხედრო მიმოსვლის გზებისა და ხიდების შენება-შეკეთება, 4/სამხედრო ნაწილების ბინებში ჩაყენება, 5/ ჯარისათვის ბინების აგება, 6/ საწვავით მომარაგება და 7/ საპოლიციო ბეგარა.

სამხედრო ხარჯების სიმძიმეს აპირობებდა ცარიზმის ჩაგვრა, მაგრამ ამ სამხედრო ხარჯების გაწევისას მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ რუსეთმა საქართველო დაიცვა მტერთა შემოსევებისაგან, საქართველოს დაუბრუნა მტრის მიერ წართმეული მიწა-წყლის დიდი ნაწილი და გააერთიანა საქართველო.

იმდროის სახელმწიფო ხარჯთა წესით ითვალისწინებდა გაბატონებულ კლასთა დაფინანსების ხარჯებსაც. ასეთ ხარჯებს ეწეოდნენ საქართველოს სახაზინო ექსპედიციის ანგარიშით საქართველოს სამეფო სახლის წევრთა მატერიალურ უზრუნველსაყოფად, აგრეთვე იმ მოხელეების უზრუნველსაყოფად, რომელთაც მნიშვნელოვანი თანამდებობები ეჭირათ ქართველი მეფეების დროს და რომელთა თანამდებობები გაუქმდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. ასეთები იყვნენ სამოქალაქო და სამხედრო მოხელეები, აგრეთვე უკანასკნელი ქართველი მეფეების მიერ სიგელით დაჯილდოებული პირები. ასეთი სიგელები იყო რამდენიმე სახისა: ა/ თანამდებობასთან დაკავშირებით ამა თუ იმ პირისათვის ხარისხისა და შემოსავლის მინიჭებაზე, ბ/ გამოსაღებისა და ბეგარისაგან განთავისუფლებაზე, გ/სახელმწიფო გამოსაღებისაგან განთავისუფლებაზე და მონასტრებისათვის გამოსაღების დადგენაზე, დ/ საზოგადოებრივ გამოსაღებისა და ბეგარისაგან განთავისუფლებაზე და განსაკუთრებული გამოსაღებით ან მომსახურებით დაბეგვრაზე ყოფილი სასახლის სასარგებლოდ, ე/ ბაჟებისაგან განთავისუფლებაზე.

სახელმწიფო ხარჯთა წესის ანგარიშით წარმოებდა აგრეთვე ვაჭარ-მრეწველთა კლასის დაფინანსება პირდაპირი და არაპირდაპირი გზით. დაფინანსებულ იქნენ აგრეთვე მემამულეები ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფოს მიერ გაბატონებულ კლასთა დაფინანსება მშრომელთა ექსპლოატაციის ანგარიშით ხდებოდა.

რელიგიის ხარჯები საყურადღებოა როგორც იმდროინდელ სახელმწიფო ხარჯთა ერთ-ერთი დიდი დარგი და როგორც მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება. რელიგია სახელ-

ნიჭის სჭირდებოდა ექსპლოატაციური მიზნებისათვის. რელიგი-ას დაჩაგრულთა მასებისათვის უნდა დაედასტურებინა ამქვეყ-ნიური სიღარიბის და სიბეჩავის აჟანა იმქვეყნიური "სამო-თხისა და ნეტარი" ცხოვრების იდეით. ამიტომ ეკლესიას სა-ხელმწიფო ან უშუალოდ აფინანსებდა სახაზინო სახსრებით, ან აკანონებდა მის უფლებას მოსახლეობის შემოსავლის ნაწილზე, რაც ეკლესიას თვითონ უნდა აეკრიფა სხვადასხვა გადასახადე-ბისა და ბეგარის სახით და თავის მეხედურეებისაგან გამოეყე-ნებინა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. დასასრულ, ეკლე-სიას სახელმწიფო აფინანსებდა და თანაც მოსახლეობისაგან გადასახადების აკრეფის უფლებასაც უტოვებდა.

ამგვარად, რელიგიის ხარჯები საზოგადოებრივი თვალსა-ზრისით და ნაციონალური შემოსავლის განაწილებისა და გადანა-წილების თვალსაზრისით არ განისაზღვრებოდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით. იგი იკვებებოდა აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, თვით ეკლესიის მიერ მოსა-ხლეობაზე შეწერილ სხვადასხვა გადასახდელებით და საკუთარი საეკლესიო სამონასტრო მეურნეობრივი შემოსავლით. ამიტომ რე-ლიგიის ხარჯები ნაციონალური შემოსავლის განაწილების თვალსა-ზრისით განიხილება არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის მიხედვით,/რაც თავისთავად ეკლესიისათვის შემოსავლის წარმოად-გენდა/, არამედ ეკლესიის სხვა შემოსავლთა მიხედვითაც.

მეფის რუსეთთან შეერთების წინა პერიოდში ეკლესია დიდი ქონებრივი უფლებებით და შემოსავლით სარგებლობდა. იმ-ხანად იგი ძირითადად სამეფო ნუსხის გასავლის მუხლს არ შეად-გენდა და მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდა საკუთარი ძალების

ექსპლოატაციით და მოსახლეობაზე გაწერილი ბეგარა-გადასახადებით.

1811 წლამდე საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციულსა და ფინანსურ წყობილებაში რუსეთის მმართველობა არსებითად არ ჩარეულა. საქართველოს ეკლესია ნაციონალური ქონების დიდ ნაწილს ფლობდა და ნაციონალური შემოსავლის დიდ ნაწილს ღებულობდა. საეკლესიო ძლებები ეკლესიის სასარგებლოდ გამოსაღებს იხდიდნენ შემდეგი სახელწოდებით: ღალა, ნახდა და კულუხი. გარდა საეკლესიო სოფლებიდან მიღებული შემოსავლისა, ეკლესია შემოსავალს ღებულობდა მოსახლეობისაგანაც გადასახადების სახით, როგორიც იყო: დრამა, სახური, საქურიკო, ნიშანი, დაკისგასამცებლო და საკანონო.

1811 წელს გაუქმდა საქართველოში კათალიკოსობა და ეკლესიის მსახურნი გადაყვანილ იქნენ სამშტატო სისტემაზე. შტატის ეკლესიისათვის განსაზღვრულ იქნა სამრეკლო კომლი. თითოეულ კომლს უნდა გადაეხადა მღვდელ-მსახურისათვის თითო კოდი ხორბალი, ნახევარი კოდი ქერი, ერთი თუნგი ღვინო, აბაზიდან სამ აბაზამდე ფულად და თითოეულ ხუთ კომლს ერთი ცხვარი. გარდა ამისა მას ჰქონდა სხვა შემოსავალიც.

საეკლესიო წაყი და იჯარა-შესყიდვები მეტად მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას, იგი ამასთანავე აფერხებდა ვაჭრობა-მრეწველობასაც. ვაჭრობა მრეწველობის განვითარება და საკრედიტო ურთიერთობის გაფართოება შეეწინააღმდეგა ეკლესიის ინტერესებს. ვაჭრობის განვითარება მოითხოვდა საეკლესიო ძლებების მიერ დაკავებული ქონების განკარგვის თავისუფლებას, გასხვისების შესაძლებლობას. საკრედიტო ურთიერთობისათვის საჭირო იყო ქონების დაგირავების თავისუფლება და გადაუხდელობის შემთხვევაში საჯარო ვაჭრობით გაყიდვის უფლება.

თუ საკითხს საერთო საგადასახადო ტვირთის მიხედვით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, მაგალითად, ყოველ 65 სამრევლო კომლს უნდა შეენახა ერთი ეკლესია და ერთი საკრებულო. თვით საეკლესიო გლეხთა დატვირთულობის მიხედვით სურათი კიდევ უფრო მძიმე იყო. აქ ყოველ თერთმეტ კომლს უნდა შეენახა 1 ეკლესია და 1 საკრებულო. ეს იმ დროს, როდესაც საეკლესიო გლეხები მთელი სამრევლო მოსახლეობის 17,2% შეადგენდნენ. აქედან შეიძლება იმის გათვალისწინება, თუ რაოდენ დიდ ხარჯს წარმოადგენდა რელიგიის ხარჯი ნაციონალური შემოსავლის მწარმოებლურად გამოყენების მხრივ. მთელი სამრევლო მოსახლეობის /ცოტა ნაკლები/ უშუალოდ და მთლიანად ეკლესიას ემსახურებოდა, როგორც საეკლესიო გლეხები. გარდა ამისა, ხარჯებში მონაწილეობდა მთელი მოსახლეობა სხვადასხვა საეკლესიო გადასახადებისა და გადასახდელთა შორის.

1852 წლის 5 ნოემბრის უმაღლესი ბრძანებულებით საქართველოს ეკლესიის დასახლებული და დაუსახლებელი მამულები და გლეხები ხაზინას გადაეცა, თუმცა საკუთრების უფლება ისევ ეკლესიას დარჩა. იმიერიდან საეკლესიო უწყებას ხაზინა აფინანსებდა. რელიგიის ხარჯი სახელმწიფო ნუსხით 1862 წლისათვის 1800-იან წლებთან შედარებით გადიდებულია 58-ჯერ.

რელიგიის ხარჯი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მარტო სახელმწიფო ნუსხით არ გაიღებოდა, ამიტომ სახელმწიფო ნუსხით გათვალისწინებული რელიგიის ხარჯი მხოლოდ ნაწილია ნაციონალური შემოსავლისა და ნაციონალური ქონების იმ ნაწილისა, რომელსაც ეკლესია და მისი მსახურნი ითვისებდნენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რელიგიის ხარჯის ხვედრითი სახელმწიფო

ხარჯთა ნუსხაში აჭარბებდა განათლების ხარჯთა ხვედრწონას, საშუალოდ 3,8%-ით.

სოციალურ-კულტურული ხარჯები შედარებით უფრო ახალი მოვლენაა. ფეოდალიზმის ხანაში და კაპიტალიზმის დასაწყის პერიოდში ასეთ ხარჯებს სახელმწიფო ან სულ არ ეწეოდა, ან მეტად უმნიშვნელო რაოდენობით. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად აშკარად ამგვარმა ხარჯებმა რამდენადმე იმატა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებში. მაგრამ სრულ თავის გაშლას ისინი იქაც ვერ აღწევენ.

განათლების ხარჯებიც საქართველოში, ისევე როგორც სხვა ხარჯები, ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიურ პოლიტიკას გამოხატავდნენ და მის განხორციელებას ემსახურებოდნენ. ცარიზმის მიზანი იყო მოემზადებინა თავისი სამხედრო-ბიუროკრატიული მმართველობის აპარატისათვის შესაფერისი კადრები ქართველი თავადაზნაურობის წრიდან. იგი ცდილობდა ეს წოდება თავისი დასაყრდენ ძალად გადაექცია საქართველოში.

ცარიზმის ამგვარი წინასწარ განზრახულობის მიუხედავად ამ სასწავლებლებმა და საერთოდ, სოციალურ-კულტურულმა ხარჯებმა ობიექტური ვითარების გამო, მაინც ითამაშეს პროგრესული როლი საქართველოს კულტურულ განვითარებაში. ამ სასწავლებლებში აღიზარდნენ ცნობილი ქართველი მწერლები, მოღვაწეები და მეცნიერები, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ ორ მეგობარ ხალხთა კულტურულ ურთიერთობაში.

თბილისს ცარიზმის პირობებში მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს ეღირსა თეატრი. რუსულმა თეატრმა თბილისში მუშაობა დაიწყო 1845 წლის 20 სექტემბერს, ხოლო ქართული თეატრი გაიხსნა 1850 წლის 2 იანვარს.

ნამესტნიკმა ვორონცოვმა საქართველოს რუსეთთან კულტურული დაახლოების, რუსული ენის გავრცელების, სამოქალაქო და სამხედრო მოხელეებისა და მაღალი წრეების გართობის მიზნით მოაწყო თბილისში თეატრი. თბილისში დაიწყო ქართული წიგნების დასტამბვა და სხვ.

თბილისს რუსეთთან შეერთებამდე ჰქონდა მდიდარი წიგნთსაცავები, რომლებიც არაერთხელ განადგურდა შემოსეული მტრის მიერ. მაგრამ ქართული სულიერი კულტურის ამ ძვირფასი განძის დიდი ნაწილი მაინც გადარჩა ხელნაწერებისა და ბეჭდური წიგნების სახით საქართველოში და ასევე უცხოეთში დაცულ ქართულ საეკლესიო-სამონასტრო დიდ ცენტრებში. რუსეთთან შეერთების შემდეგ იყო რამდენიმე ცდა მოეწყოთ ბიბლიოთეკა. განსაკუთრებით იღვწოდნენ სოლომონ დოდაშვილი, ნ.ბარათაშვილი და გრიბოედოვი, მაგრამ მათ ხელს უშლიდა უსახსრობა. ცარიზმის ხელისუფლება ბიბლიოთეკისათვის სახსრებს არ იმეტებდა. შემდეგ დიდის გაჭირვებით 1830-იანი წლებიდან თბილისში მოეწყო პატარა ბიბლიოთეკა. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა დამტკიცდა 1850 წლის 25/IV უმაღლესი ბრძანებით. ბიბლიოთეკას ნამესტნიკის განკარგულებაში მყოფი თანხებიდან დაენიშნა წლიურად 1061 მან. ვერცხ. შემდეგ მისი დაფინანსება წარმოებდა ადგილობრივი შემოსავლის, კერძოდ, საქალაქო შემოსავლის ანგარიშით.

სტამბა თბილისში არსებობდა ქართველი მეფეების დროიდან. რუსეთის მმართველობა ეცადა მის განახლებას 1804 წელს თბილისში დაარსებულ ქართულ სკოლასთან. იგი აღდგენილ იქნა 1830-იან წლებში დოდაშვილის თაოსნობით, რომელიც გაძლიერდა 40-50-იან წლებში პ.იოსელიანისა და გ.ერისთავის და სხვ. მზრუნველობით. დაარსებულ იქნა აგრეთვე მეტეოროლოგიური და მაგნიტური ობსერვატორია.

მართალია სახელმწიფო ხარჯები დანადგებისათვის თანდათან იზრდებოდა, მაგრამ ის მაინც უმნიშვნელო თანხას შეადგენდა, ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 12 კაპიკს აღწევდა. ეს ხარჯები თავიანთ სიმცირით დიდად ჩამოუვარდება პოლიციის აპარატისა ან რელიგიის ხარჯებს.

როგორც ცნობილია, ცარიზმი ცოტას ხარჯავდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე თვით შიდა რუსეთშიაც კი, მით უმეტეს განაპირა მხარეებში. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა გარკვეულ ფარგლებში მაინც იყო საქართველოშიაც. სამხედრო ინტერესები /საქართველოში მყოფი ჯარების ჯანმრთელობა/, ბიუროკრატიული მართვა-გამგეობის აპარატის ინტერესები/ სამოქალაქო მოხელეების და მათი ოჯახების ჯანმრთელობა/, მრეწველობის ინტერესები /სამთო მრეწველობაში ჩაბმულ ხელოსანთა და მუშათა ჯანმრთელობა/ და, დასასრულ, თვით გაბატონებულ კლასთა ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები აიძულებდნენ მთავრობასა და გაბატონებულ კლასებს ეზრუნათ ჯანმრთელობის დაცვაზეაც.

მოცემულ პერიოდში საქართველოს მოსახლეობას მრავალჯერ თავს დაატყდა ეპიდემიური ავადმყოფობა /შავი ჭირი, ხოლერა, მუცლა, ყვავილი და სხვ./, რამაც მრავალი სიცოცხლე შეიწირა, ასეთი ავადმყოფობანი საქართველოში ვრცელდებოდა თურქეთისა და ირანის მხრიდან.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებს შორის აღსანიშნავია პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ხარჯები. ამ მხრივ საყურადღებოა კარანტინების მოწყობა და აცრის ჩატარება. ნატურალური ყვავილის წინააღმდეგ აცრა დიდი ხნიდან ცნობილი იყო საქართველოში, სადაც არამიანის ყვავილს უწოდნენ

ადამიანს. როდესაც გენ. პ. ციციანოვს დაევალა საქართველოში ძროხის ყვავილის აცრის დანერგვა, მან 1805 წელს კრუზეის შეატყობინა, რომ საქართველოში აცრა ცნობილი ყოფილა რამდენიმე საუკუნის წინათაც. მასთან აცნობინებდა, რომ საქართველოში აცრა წარმოებს არა ძროხის ყვავილით, არამედ ადამიანის ყვავილით, რასაც არავითარი ცუდი შედეგები არ მოსდევსო. პ. ციციანოვი შეეცადა დაენერგა ძროხის ყვავილის აცრა და დაავალა კომენდანტებსა და მაზრის პოლიციის უფროსებს ხალხისათვის გაეცნოთ ამ აცრის სარგებლობა. როგორც ანგარიშგებებში აღნიშნულია, ქართველობა სიხარულით შეეგება აცრას და ფართოდაც გავრცელდა[1]

რევიზორები კუტაისოვი და მეჩნიკოვი თავიანთ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში კარანტინებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამიერკავკასიის და თვით რუსეთის ეპიდემიებისაგან დაცვის თვალსაზრისით.

ამგვარად, კარანტინის ხარჯები მოემსახურებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ რუსეთის იმპერიას, რადგან ამ უკანასკნელსაც იცავდნენ ავადმყოფობათა შეჭრისაგან.

1820 წლამდე თბილისში ქალაქის საავადმყოფო არ იყო[2].

1837 წელს გამოვიდა ბრძანება, ამიერკავკასიაში ყველგან ეთო საოკრუგო საავადმყოფოები. მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ ეს არ შეასრულა, რაც გენ. ბარონ-როზენმა იმით დაასაბუთა, რომ დაავადებულებს სურვილი არა აქვთ საავადმყოფოებში

---

1 ყვავილის მკურნალობის შესახებ იხ. აგრეთვე ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. ყვავილის მკურნალობა საქართველოში. /კრებული-მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი/. 1977.

2 გიულდენშტედტის ცნობით, თბილისში საავადმყოფო მოქმედებდა 1770-იანი წლებიდან, სადაც ქალაქის გამოჩენილი ექიმნი მკურნალობდნენ.

დაწოლისათ. ამიტომ დაკმაყოფილდნენ იმით, რომ თბილისში ააგეს ერთი საავადმყოფო 50 საწოლით და თითეულ მაზრაში დანიშნეს თითო მკურნალი.

თბილისში სახაზინო აფთიაქის მოწყობა გამოწვეული იყო იმ აუცილებლობით, რომ რუსეთიდან წამლების ჩამოზიდვა იმდროინდელი ტრანსპორტის პირობებში დიდ ხარჯებს იწვევდა. მეტადრე ძნელი იყო სითხის ჩამოზიდვა, მთელი ჭურჭელი თითქმის ადგილამდე არასდროს არ ჩამოდიოდა. ამავე დროს, საქართველო მდიდარი იყო სხვადასხვა სამკურნალო მცენარეებით. საქართველოში მყოფი რუსის ჯარი მედიკამენტების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. ადგილობრივ მკურნალებისაგან წამლების შეძენა ხაზინას ძვირი უჯდებოდა. ყოველივე ეს იმას იწვევდა, რომ ავადმყოფთა მეტი წილი უწამლოდ კვდებოდა. სამხედრო ჰოსპიტლებთან არსებული აფთიაქები წამლებს ყიდდნენ სამოქალაქო მოხელეებსა და მცხოვრებლებზე. აქედან შემოსავლის მესამედს აფთიაქი თავისთვის იტოვებდა, დანარჩენს საექიმო გამგეობას უგზავნიდა. სახაზინო აფთიაქი მცირე რაოდენობის წამლებს ყიდდა.

კურორტების მოწყობაზე ძალზე მცირე სახსრები იხარჯებოდა. ცარიზმი ყურადღებას არ აქცევდა ქვეყნის საკურორტო ბუნების სიმდიდრის გამოყენებასა და კეთილმოწყობას.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის ხარჯებსაც ცარიზმი ჭრიდა, კლასობრივი პოლიტიკის შესაბამისად, ეს ხარჯები თუმცა შეზღუდულად, მაგრამ ობიექტურად მაინც ხელს უწყობდნენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

ყურადღებას იპყრობს ასევე ის გარემოებაც, რომ ჯანმრთელობის ხარჯთა ხვედრითი წონა ჩამოუვარდება მმართველობის

აპარატის, გაბატონებულ კლასთა დაწინაურებისა და რელიგიის ხარჯთა ხვედრწონებს. განათლება მისაწვდომი იყო მხოლოდ გაბატონებული კლასებისათვის, მედიცინის მიღწევებითაც ყველა კლასი თანაბრად ვერ სარგებლობდა. სოციალურ-კულტურული მიზნებისათვის ცარიზმი ცოტას ხარჯავდა.

რიცხობრივი მონაცემებიდან ჩანს, რომ მოცემული პერიოდის დასასრულს დასაწყისთან შედარებით, სოციალურ-კულტურულ ხარჯთა ხვედრიწონა შემცირებულია დაახლოებით ორჯერ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ პოლიციური აპარატისა და სხვა დამჩაგვრელი ხასიათის ხარჯები ისეთი დიდი რაოდენობით გაიზარდა ხარჯთა ნუსხაში, რომ დაჩრდილა სოციალურ-კულტურული ხარჯები და მისი ხვედრიწონა უმნიშვნელო ოდენობად დაიყვანა.

## 2. სახელმწიფოებრივი შემოსავალი

შემოსავლის დარგში მეფის რუსეთის მმართველობამ 1840-იან წლებამდე უცვლელად დატოვა სახელმწიფო შემოსავლის არსებული სისტემა. მასში შეიტანა მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები. მეფის მთავრობა ამ შემთხვევაში იძულებული იყო ანგარიში გაეწია არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებისათვის.

რუსეთთან შეერთების წინ სახელმწიფოებრივ შემოსავალთა სისტემა შედგებოდა გვიანფეოდალური სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელ შემოსავალთა სახეობათგან, რომლებიც ფეოდალიზმის დაშლის ნიშნებს ამჟღავნებდნენ. ეს იქიდან ჩანს, რომ იმხანად სახელმწიფო შემოსავალში დიმენების როლი შემცირებული იყო და გადასახადებისა გაზრდილი. არსებობდა ფულადი რენტა, ძლიერდებოდა ფულადი გადასახადები. გამოიყენებოდა იძულებითი სესხები, იზრდებოდა საქალაქო და სახელმწიფო ფინანსების მოწეს-

რიცხვის მისწრაფება, ძლიერდებოდა ფეოდალური ჩაგვრა ფეოდალური ბეგარა-გადასახადებით და იწყებოდა გლეხთა აჯანყებები.

ფეოდალიზმის რღვევა კიდევ უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა რუსეთთან შეერთების შემდეგ. რუსეთის მმართველობამ მოსპო შინაგანი ბაჟები, შემოიღო სააქციზო სისტემა, შეუდგა სულადობრივ და საადგილმამულო გადასახადების რეგულირებას, გაზარდა საგარეო ბაჟების როლი და ხელი შეუწყო ერთიანი ნაციონალური ბაზრის ჩამოყალიბებას.

სახელმწიფოებრივი გადასახადები 1840-იან წლებამდე სჭარბობდა ნატურალური, ხოლო ამ დროის შემდეგ სახელმწიფო და საქალაქო გამოსაღებები გახდა ფულადი. საერობო ფინანსების დარგში კი რეფორმამდელი პერიოდის მთელ მანძილზე დარჩა ნატურალური ბეგარა-გამოსაღებები ფულად გამოსაღებთან ერთად.

პირდაპირი გადასახადები იყო ნატურალური და ფულადი. ნატურალურ გადასახადებს ეკუთვნოდა სურსათი, მახტა, მალი, კულუხი, საბალახო, მთიულეთის გამოსაღებები/სააღდგომო, საშობაო, საკომლო, ყალანი, საშასპინძლო, საურმეები და ნაბადა/. სურსათი, მახტა და ყალანი ნატურალურიც იყო და ფულადიც.

იყო აგრეთვე საქირიო /უკანონო/, ხარჯი და 1840-იანი წლებიდან კომლობრივი გამოსაღები. რეფორმამდელი პერიოდის მეორე ნახევრიდან შინის გადასახადები შედგებოდა საკომლო გამოსაღების, საადგილმამულო გამოსაღებისა და სულადობრივი გამოსაღებისაგან.

გადასახადებისაგან თავისუფალ წოდებას ეკუთვნოდნენ: თავადაზნაურობა და სამღვდელოება.

გამომღებელთა წოდებას შეადგენდნენ გლეხები / სახა-

ბინო, საეკლესიო, საბატონო/, მადნის წარმოებები, გერმანელი კოლონისტები და მოქალაქენი.

სახელმწიფოებრივ შემოსავლის მიღების ფართო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა იჯარა-შესყიდვის წესი. აკრება-გადასახდელების ეს წესი გადამხდელებს მეტად ტვირთავდა, რადგან მოიჯარე-შემსყიდველთა მთელი გამორჩენა გადასახადის ემატებოდა და, მაშასადამე, დაბეგვრის სიმძიმეს ადიდებდა.

დაბეგვრის ერთეული იყო კომლი. ცარიზმი საგადასახადო შეღავათებს იშვიათად იმეტებდა. აკრება დიდი ნარჩენებით წარმოებდა. ცარიზმი უსასტიკეს ზომებს მიმართავდა ნარჩენთა ასაკრებად.

o

ფეოდალიზმის დაშლამ, ქალაქებისა და ვაჭრობის განვითარებამ პირდაპირი გადასახადების როლი შეამცირა, ხოლო არაპირდაპირი გადასახადების გაზარდა.

არაპირდაპირი გადასახადების ძირითად ფორმებს რეფორმამდე პერიოდში შეადგენდნენ შინაგანი ბაჟები /ზოგიერთი მათი სახეობის მაგიერ შემდეგში აქციზი იქნა შემოღებული/ და ბაჟები.

შინაგანი ბაჟები გაიყოფოდა: ვაჭრობის მოსაკრებლებად და შეზიდვა-გაზიდვის მოსაკრებლებად.

რუსეთთან შეერთების შემდეგ შინაგან ბაჟებიდან დარჩა მოსაკრებელთა შემდეგი სახეები: ღვინისა და არყის, მარილის, თევზის, თამბაქოს, შტემპელის, საპნის მოხარშვის, სამიწნაო, აწონის, მესაკლაოების, მტკვრით მოზიდული ხე-ტყის, ქიზიყის მოურავის შემოსავალი და შინაგანი ბაჟები კერძო პირთა სასარგებლოდ.

შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ამხანად

საქართველოში წარმოადგენდა ბაჟი. ქართული საბაჟო ტარიფი იყო ავტონომიური, სახელმწიფო საკანონმდებლო წესით დადგენილი.

ბაჟები იყო შემოსავლის, გასავლისა და ტრანზიტის. რუსეთთან შეერთების შემდეგ საგარეო ბაჟები გაფართოვდა რუსეთის გზით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობისა და ტრანზიტის ბაჟების გაფართოებასთან დაკავშირებით.

საბაჟო სისტემის განვითარებაში მე-19 საუკუნის საქართველოში გაირჩევა რამდენიმე ეტაპი: პირველი – შეღავათიანი ვაჭრობის შემოღებამდე /1801 წლიდან – 1821 წლამდე/ დროის ამ მონაკვეთის მიწურულში იმპორტი ექსპორტს 2-ჯერ აღემატებოდა. მიწევა დიდი რაოდენობით იზრდებოდა საზღვარგარეთ შემოზიდვა-გაზიდვის არახელსაყრელი ბალანსის გამო. ამ დროის საბაჟო შემოსავალი ძირითადად მიიღებოდა შემოზიდვის ბაჟებით.

მეორე – ბაჟები შეღავათიანი ვაჭრობის ათწლეულში /1821–1832 წწ./ ამ დროს გაფართოვდა ვაჭრობა, განსაკუთრებით სატრანზიტო. გულისტანის ხელშეკრულებით, ირანული ვაჭრებისადმი მინიჭებული უფლებები სხვა ვაჭრებმაც გამოიყენეს და ირანული საქონლის სახელით რუსეთში სხვა საქონელიც შემოზიდეს. ამიტომ ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა აღადგინა საბაჟო ზედამხედველობა კავკასიის საზღვარზე.

1828 წლამდე საექსპორტო და საიმპორტო ბაჟის განაკვეთი ერთნაირი იყო /5%/. 1828 წლიდან 1832 წლამდე შეღავათი მიენიჭა გაზიდვას.

1832 წლიდან, რეფორმამდელი პერიოდის დასასრულამდე, საბაჟო სისტემა აკრძალვითი ხასიათს ღებულობს. საქართველოსა და

რუსეთის ნაწარმის ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ გაზიდვა ნებადართული იყო უბაჟოდ. ამიერკავკასიიდან რუსეთში უცხოეთის საქონლის შეზიდვა აიკრძალა.

1832 წლიდან საბაჟო გადასახადებმა წინანდელზე უფრო მეტად უარყვეს ფისკალური ინტერესები და საბაჟო სისტემას სამრეწველო პროტექციონიზმის ხასიათი მისცეს.

საბაჟო შემოსავალი მოცემულ პერიოდში იზრდებოდა, რაც გამოწვეული იყო საბაჟო განაკვეთის ტარიფებში თვით საქონელთა შემოზიდვის ზრდით.

მე-19 საუკუნის საქართველოში შემოსავალი მიიღებოდა მისაღებელითაც. მისაღებელი როგორც შემოსავლის წყარო ფართოდ იყო გამოყენებული XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში. რუსეთთან შეერთების შემდეგ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული საჯარიმო შემოსავალი შეიცვალა რუსეთის სისხლის სამართლის კანონების მიხედვით. დიდი ცვლილებები განიცადა სამისაღებლო საქმემ. მისაღებლის პირდაპირი გადახდევინება შეიცვალა არაპირდაპირი გადახდევინებით. მის ძირითად სახეებს წარმოადგენდნენ: უბრალო საღერბო ქაღალდის მისაღებელი, ნასყიდობის საღერბოსი, სასესხო ხელწერილებისა, თამასუქებისა და საპასპორტო. მისაღებელი სპეციფიკური სახის გადასახადს წარმოადგენდა. ცარიზმი მისაღებლის, საერთოდ რუსეთში და კერძოდ საქართველოში ძირითადად ფისკალური მოსაზრებებით იყენებდა და ყველა საჭირო შემთხვევაში განაკვეთებს ზრდიდა. მაგრამ მისაღებლის შემოსავლის ზრდა აქ გამოწვეული იყო არა მარტო მისაღებლის განაკვეთების გადიდებით, არამედ ვაჭრობა-მრეწველობისა და საკრედიტო ურთიერთობის განვითარებითაც.

XIX საუკუნის საქართველოში სახელმწიფო შემოსავლის

ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი. ასეთში იყო სახელმწიფო ქარხანა - სახელოსნოთა შემოსავალი, წიაღის შემოსავალი, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შემოსავალი.

იმპერიის სამხედრო, ადმინისტრაციულმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა ხელი შეუწყეს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარებას. ეს დარგი რენტაბელური არ. საქართველოში გარკვეული მოცულობით გაფართოვდა და მისი შემოსავალიც გაიზარდა. რაც შეეხება სახელმწიფო საწარმოებს ფაბრიკა-ქარხნების სახით, ესენი ვერ განვითარდნენ, ვინაიდან ცარიზმის კოლონიურ ინტერესებს არ ეთანხმებოდა საქართველოში ფაბრიკა-ქარხნების მოწყობა-განვითარება. სახელმწიფო საწარმოთა შორის მთავარ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდნენ სამღებროები, რომელთა რიცხვი თანდათანობით შემცირდა, განსაკუთრებით რეფორმამდელი პერიოდის მეორე ნახევრიდან რუსეთის და საზღვარგარეთული სამრეწველო საქონლის დიდი რაოდენობით შემოზიდვასთან დაკავშირებით. ვერ განვითარდა სამთამადნო წარმოებაც. მეფის მთავრობამ არ შეიტანა მასში გაუმჯობესებული ტექნიკა და ხელი არ შეუწყო პროდუქციის რეალიზაციას.

სახელმწიფოებრივ შემოსავალთა ნუსხა ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონებათა შემოსავალსაც. სახელმწიფო ქონების შეადგენდნენ სახაზინო მიწის ნაკვეთები, სოფელ არუხლოს არხი, სათევზაო ადგილები და სახაზინო ტყეები.

სახაზინო მიწის ნაკვეთები შედგებოდა დასახლებული და დაუსახლებელი ადგილებიდან. ეს უკანასკნელი შეიცავდა სახნავ მიწებს, ბაღ-ვენახებს, ანაგზიან ნაკვეთებს.

რუსეთის მმართველობამ ტყის მფლობელობაზე 1840-იან წლებამდე დატოვა ვახტანგ VI კანონები, რომლის თანახმად ტყით სარგებლობა თავისუფალი და უსაფასურო იყო. ცხოვრების ახალმა ვითარებამ შემდეგში გამოიწვია ამ კანონებში რიგი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და ბოლოს მისი სრული უარყოფა. ტყე შემოსავლის წყაროდ იქცა.

შემოსავალი მიიღებოდა ამასთანავე ბეითალმანი ქონებისა და ქონების კონფისკაციის სახით.

სახელმწიფო ქონებიდან შემოსავლის მიღების ძირითადი წესი იყო ქონების იჯარა-მეურნეობით გაცემა. ამასთანავე წარმოებდა მიწათსარგებლობის უფლების გაცემა სამუდამოდ, ან სახელმწიფოს მიერ მიწის ექსპლოატაცია საკუთარი მეურნეობრივი მმართველობით. სახელმწიფო ქონება მთავრობის ხელში წარმოადგენდა კერძო მესაკუთრეთა /მათ შორის ეკლესიებისაც/ ნატურალური დაფინანსების საშუალებას.

სახელმწიფო საწარმოთა და ქონებათა შემოსავლის სიმცირე რეფორმამდელ საქართველოში გამოწვეული იყო ფეოდალიზმის დაშლითა და ქვეყნის კოლონიური დამოკიდებულებით.

სახელმწიფო ქონებათა შემოსავალი მიიღებოდა რენტის სახით, რამდენადაც სახელმწიფო ქონება გაცემული იყო იჯარა-მეურნეობის წესით და რენტისა და მოგების სახით, რამდენადაც სახელმწიფო ქონების ექსპლოატაციას თვით სახელმწიფო ეწეოდა. მაშასადამე, სახელმწიფო ქონებათა შემოსავალი წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ წარმოებული ფინანსური ექსპლოატაციისა და შემოწირულობის ერთ-ერთ საშუალებას, რაც ხდებოდა იმ დროისათვის

წარმოების მთავარი საშუალებისა და პირობის /მიწა-წყლის/ მისაკუთრების გზით[1]

## 3. საერობო ფინანსები

მე-19 საუკუნის საქართველოში, სახელმწიფო ფინანსების გვერდით არსებობდა ადგილობრივი ფინანსებიც. სახელმწიფო ფინანსებიდან ადგილობრივი ფინანსების გამოყოფა ცარიზმის პირობებში წარმოადგენდა მშრომელთა გადამეტებული ექსპლოატაციის მიჩქმალვის ერთ-ერთ საშუალებას. ადგილობრივი ფინანსების, ე.ი. საქალაქო ხარჯთა და შემოსავალთა და საერობო / ЗЕМСКИЙ / ხარჯთა, გამოსავლებთა და ბეგართა სახელმწიფო ფინანსებისაგან გამოცალკევება მეფის ტახტობას უადვილებდა დაემალა ხარჯთა არამწარმოებლური ხასიათი და გამოსავლებთა და ბეგართა დიდი წილი, რომლის მოსახლეობაზე დაკისრება თითქოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაში შედიოდა და არა ცენტრალური ხელისუფლებისა. ამით ეს უკანასკნელი ახერხებდა სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოედგინა შემცირებული სახით. მაგრამ ამ ორ დარგს შორის, სახელმწიფო და ადგილობრივ ფინანსებს შორის ცარიზმის პირობებში პრინციპული განსხვავება არ არსებობდა.

საერობო ფინანსები შემოღებულია საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. საერობო პოლიცია და საერობო ბეგარა იმთავითვე შემოიღო ცარიზმმა საქართველოში, მაგრამ თვით ერობა კი საქართველოსთვის ვერ გაიმეტა.

---

1. ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , ფინანსები რეფორმამდელ აღმ.საქართველოში/1801-1864 წწ./

საქართველოში საერობო ბეგარა იყო ნატურალური და ფულადი. ნატურალურ ბეგარას შეადგენდა: საგზაო ბეგარა, საზიდი ბეგარა, ბინებში ჩაყენების ბეგარა, გათბობისა და განათების ბეგარა, სურსათ-სანოვაგისა და ფურაჟით მომარაგების ბეგარა, ჯარის ნაწილებისათვის სადგომებისა და დასაბანაკებელი ადგილების გამოყოფა, საპატიმრო, საეტაპო ბეგარა და სამილიციო ბეგარა.

ფულადი საერობო ბეგარა აიღებოდა შემდეგი სახელწოდებით: დაწესებულ წილებათა გადაკვეთილი მოსაკრებელი, სასმელების სავაჭროების მოწმობის მოსაკრებლის 25%-იანი ანარიცხი, საბაჟო შემოსავლის 10%-იანი ანარიცხი, სხვადასხვა კერძო საერობო მოსაკრებელი, საერობო მცველთა შესანახი მოსაკრებელი.

საერობო ბეგარა რეფორმამდე საქართველოში ძირითადად სამხედრო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასა და ადმინისტრაციული აპარატის შენახვას ემსახურებოდა. ფოსტისა და საგზაო ბეგარაც უმთავრესად სამხედრო და ადმინისტრაციულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა და მხოლოდ უმნიშვნელო თანხები იხარჯებოდა სამოქალაქო დანიშნულებისათვის. საერობო სახსრებით არც სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებებს აფინანსებდნენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დროის ჭირისა და ყვავილის აცრის უმნიშვნელო ხარჯებს, რაც უფრო მეტად ისევ სამხედრო და ადმინისტრაციული მოთხოვნილებით იყო გამოწვეული. კეთილმოწყობისათვის საერობო სახსრები სრულებით არ გამოიყენებოდა. ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ადმინისტრაციული ზომებით წარმოებდა.

საერობო ბეგარა მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას. აღმ. საქართველოში, მაგალითად ნატურალური და ფულადი საერობო ბეგარა ერთად შეადგენდა კომლზე 11,40 მან. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მოჯამაგირე გლეხის თვიური სამუშაო ხელფასი იმხანად 3-4 მანეთს აღწევდა, მაშინ ადვილად წარმოსადგენია საერობო ბეგარის სიმძიმე გლეხობისათვის.

საერობო ბეგარა გლეხობის დამატებითი ექსპლოატაციის მძიმე ფორმა იყო, რაც აღრმავებდა სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას საქართველოში და ფინანსების სხვა დარგებთან შედარებით უფრო მეტად უწყობდა ხელს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გატარებასა და უფრო ნაკლებად ემსახურებოდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებას[1]

### 4. საქალაქო ფინანსები

#### ა. საქალაქო ხარჯები

1795 წელს აღა-მაჰმადხანის ჯარებმა უკანასკნელად დაანგრიეს თბილისი. ხალხის დაუძლეველი ნებისყოფით ექვსი წლის განმავლობაში თბილისი აღდგენილ იქნა, ისე, რომ მასში იყო 2300 სახლი. თბილისის შემდგომი ზრდა-განვითარება მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. რეფორმამდელ პერიოდში ქალაქი თბილისი სწრაფად გაიზარდა და გაფართოვდა, კიდევ უფრო სწრაფად განვითარდა ქალაქი რეფორმის შემდეგ, რასაც აპირობებდა საქონლურ-კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება ამ პერიოდში ხდებოდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ფართო მასშტაბით, მიწათმოქმედებას თანდათან ეთიშებო-

---

1 ე. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , ფინანსები რეფორმამდე აღმ. საქართველოში /1801-1854 წწ./, გვ. 424-461.

და ნედლეულის სხვადასხვაგვარი დამუშავება, წვრილი მრეწველობის დამოუკიდებელი დარგები მიწათმოქმედებაში, მანუფაქტურულ და ფაბრიკულ წარმოებაში. იზრდებოდა სამთამადნო მრეწველობა, რკინიგზებისა და გზატკეცილების მშენებლობა. ამასთანავე, თვით მიწათმოქმედებაც საქონლის ხასიათს იღებდა და სპეციალიზაციის პროცესი აქაც მიმდინარეობდა.

ქალაქ თბილისის ფართობი და მოსახლეობა განხილული პერიოდის მანძილზე გაიზარდა 12-ჯერ. მე-19 საუკუნის დასაწყისში ქალაქ თბილისის ფართობი შეადგენდა 250 ჰექტარს. რომელზედაც სახლობდა 2000-მდე მცხოვრები, 1917 წლისათვის თბილისის ფართობი აღემატებოდა 30 ჰექტარს და მოსახლეობა შეადგენდა 231 141 სულს.

რა მონაწილეობას ღებულობდა და როგორ ასახავდა თავისთავში ქალაქურ განვითარებას თბილისის საქალაქო ხარჯთა ნუსხა?

მოცემული პერიოდის თბილისის საქალაქო ხარჯთა ნუსხა თავისი შემადგენლობით, სახსართა მიმართულებით ძირითადად მოემსახურებოდა ჩაგვრის აპარატის შენახვას. 1840-იან წლებამდე იგი ითვალისწინებდა მხოლოდ მმართველობითი აპარატისა და სამხედრო ადმინისტრაციულ ღონისძიებათა ხარჯებს. რეფორმამდელი თბილისის საქალაქო ხარჯთა ნუსხაში გამოხატულებას ვერ პოვებდა ქვეყნის კულტურული ინტერესები. ცარიზმი უმეცრებაში ტოვებდა მასებს საერთოდ და, მით უფრო, განაპირა კუთხეებში. როგორც ვ.ი.ლენინი წერდა, არმიისა და საერთო, ჩაგვრის აპარატისათვის სახელმწიფო ხარჯავდა დიდ თანხებს /და კულტურული მიზნებისათვის კი გროშებს[1] რეფორმამდელი თბილი-

1 ვ.ი.ლ ე ნ ი ნ ი თხზ., ტ.13, 1950, გვ.450.

სის მმართველობის აპარატის ხარჯები ძირითადად შედგებოდა პოლიციის აპარატის ხარჯებისაგან. 1820-იან წლებამდე თბილისის საქალაქო ხარჯთა ნუსხა მხოლოდ პოლიციის შენახვას ითვალისწინებდა. ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის გაძლიერების გამო თბილისში პოლიციას თანდათანობით აძლიერებდნენ. მიუხედავად საქალაქო სახსრების ზრდისა და საქალაქო შემოსავლის ახალი წყაროების გამოძებნისა, პოლიციისა და, საერთოდ, ქალაქის მმართველობის აპარატის შესანახად სახსრები მაინც არ კმაროდა, რაც ხაზგასმით აღნიშნულია სენატორ განის მოხსენებაში. რეფორმამდელი პერიოდის დასასრულს დასაწყისთან შედარებით პოლიციის ხარჯი გადიდებულია 20-ჯერ. ამ სახის ხარჯი 1802 წელს შეადგენდა 2855 მან., 1862 წელს-57 855 მან.

ქალაქის მოსახლეობა ამავე პერიოდის მანძილზე გადიდებულია ოთხჯერ-ხუთჯერ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ პოლიციის ხარჯების ამ ზომით გადიდება გამოწვეული იყო ქალაქის მოსახლეობის და, საერთოდ, საქალაქო ცხოვრების ზრდით. ფეოდალიზმის დაშლა, ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისათვის წანამძღვრების შექმნა და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა იწვევდა მასების მღელვარებასა და აჯანყებებს ცარიზმის წინააღმდეგ; ეს გარემოება აუცილებლს ხდიდა გაეძლიერებინათ ბიუროკრატიული პოლიციური აპარატი[1]

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის მერმინდელ პერიოდში წინა პერიოდთან შედარებით გადიდებულია კომუნალური და სოციალურ-კულტურული ხარჯები, ამ უკანასკნელთა ხვედრითწონა საქალაქო

---

1 ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, საქალაქო ფინანსები რეფორმამდელ აღმ. საქართველოში /1801-1864 წწ./, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ.III, 1949, გვ. 239-244.

ნუსხაში მაინც დაბალია; წინა რიგში დგას მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯი, ისი გაიზარდა 23,6-ჯერ, რაც შემდეგ აბსოლუტურ რიცხვებში გამოიხატებოდა: 1862 წელს ამ კატეგორიის ხარჯი უდრიდა 92 978, 1917 წელს კი – 2 169 105 მან.

რეფორმისშემდგომი პერიოდი, რომელიც ხასიათდება საქართველოში კაპიტალიზმისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებით კიდევ უფრო მეტად უწყობდა ხელს კლასობრივი წინააღმდეგობების გაღრმავებას. ქალაქებში თავს იყრიდა მუშათა კლასი, ყალიბდებოდა მუშათა რაიონები, რაც მეფის მთავრობას აშინებდა და ყველა ღონეს ხმარობდა პოლიციის გასაძლიერებლად.

პოლიციის ხარჯები ძლიერ გაიზარდა მეფის რუსეთში მუშათა მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით და განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო საქართველოში, სადაც ცარიზმის მიერ წარმოებულ სოციალურ-კლასობრივ ჩაგვრას კოლონიური ჩაგვრაც ზედ ერთოდა.

თბილისის გუბერნატორები ახალ-ახალი მოთხოვნილებებს აყენებდნენ პოლიციის გასაძლიერებლად და მისთვის საჭირო ხარჯების გასადიდებლად. ჯერ კიდევ 1886 წლის თბილისის გუბერნატორის მოხსენებაში ნათქვამია, რომ "თბილისში 1878 წლიდან მოსახლეობა გაიზარდა 19 000 სულით... "მირზოევების ფაბრიკაში 1881 წლიდან "მუდამ იმყოფებოდა 400-დან 500-მდე მუშა, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ ფხიზელ მეთვალყურეობას პოლიციის მოხელეების მხრივ... 1883 წლამდე ძველი თბილისის რკინიგზის სადგურზე მხოლოდ ერთი პატარა სახელოსნო იყო, რომელშიც მუშაობდა 30-მდე კაცი. წელს გაიხსნა [illegible] სახელოსნო 600-მდე მუშით. თუმცა რიცხვს მცხოვრებთა ნაწილი

ნუშფაილის იქით გადასახლდა, მაგრამ მეთვალყურეობა ქალაქის ამ ნაწილზე სრულებითაც არ შემცირებულა, ვინაიდან სახლების რიცხვი აქ იგივე დარჩა. მცხოვრებთა რიცხვი იქნებ თუ შემცირდა. ვინაიდან აქ შეჯგუფებულია სასტუმრო ბაკების და ღამის დასათევე თავშესაფრების დიდი რიცხვი, სადაც მუდმივად ცხოვრობენ რუსი შავი მუშები და, საერთოდ, სხვადასხვა უსახლკარო ადამიანები"[1] /კურსივი ჩვენია - ე.ჩ./.

როდესაც ქალაქის სათათბირომ უსახსრობის გამო უარი უთქვა პოლიციის ხარჯების დაფარვაზე, მაშინ თბილისის გუბერნატორმა იერიში მიიტანა სოციალურ-კულტურისა და კომუნალურ ხარჯებზე. გუბერნატორი წერდა, რომ თუ საქალაქო გადასახადები შესამჩნევად მძიმეა და საქალაქო ნუსხა დაძაბულია ამის მიზეზი არის არა პოლიციის ხარჯების ზრდა, არამედ სოციალურ-კულტურული და კომუნალური ხარჯების გადიდება, რომლებიც „იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც სავალდებულო ხარჯები ქალაქის პოლიციის შესანახად"[2]. ძალზე აღშფოთებული გუბერნატორი მოითხოვდა მათ შეკვეცას, ზოგიერთის სრულიად ამოღებას ნუსხიდან და მის ანგარიშზე პოლიციის ხარჯების გადიდებას. ის წერდა: „სწავლაზე ქალაქმა 1880 წელს დახარჯა 12 465 მან. 1887 წელს აღნიშნული ხარჯების ოდენობამ მიაღწია სასწავლებლებზე 63 500 მან. ამასთანავე აღსანიშნავია 100 000 მან. ფონდის შექმნის ცდა თბილისის უნივერსიტეტის შენობის ასაგებად, რისთვისაც 1881 წლიდან ქალაქის შემოსავლიდან ყოველწლიურად გადაირიცხებოდა 10 000 მანეთი... გარდა ამისა, 1887 წლის ნუსხაში შეტანილია

- - - - - - - - - - - - -

1 ვ.ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , საქალაქო ფინანსები რეფორმამდელ აღმ.საქართველოში /1801-1864 წწ./, გვ.16.

2 ი ქ ვ ე , გვ.16.

57 200 მან. ქუჩების დასასუფთავებლად, მიუხედავად იმისა, რომ ეს დასუფთავება უნდა ხდებოდეს არა ქალაქის სახსრებით, არამედ სახლის პატრონთა ანგარიშით. ყველა შემთხვევაში საქალაქო მეურნეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ამცირებს პოლიციის შრომის ოდენობას ქალაქის წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვაში"[1] ... პოლიციის შესანახად საჭირო იყო პროექტით 206 030 მან.

გენერალ ადიუტანტი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი მიემხრო ამ წინადადებას. მისი აზრით, საქალაქო ნუსხიდან უნდა მოხსნილიყო ყოველწლიურად 10 000 მან. კავკასიის უნივერსიტეტის შენობის ასაგებ ფონდისათვის 55 000 მან. ქუჩების დასასუფთავებლად და 5 000 მან. სხვადასხვა აღშენებლობისათვის და ეს თანხები უნდა გამოყენებულიყო პოლიციის ხარჯების გასაძლიერებლად[2].

1892 წლის 18 ივნისს სახელმწიფო საბჭომ მიერ უმაღლესად დამტკიცდა თბილისის საქალაქო პოლიციის ხარჯი 179 000 მან. ოდენობით, საიდანაც ხაზინას ეკისრებოდა 100 000 მან[3].

საერთოდ პოლიციის ხარჯების სიდიდის გასათვალისწინებლად ამ თანხას უნდა დაემატოს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ხარჯი, რომელიც ნუსხით ცალკე იყო გათვალისწინებული, რაც ერთად შეადგენდა 209 130 მან.

თბილისის პოლიციის შესანახი ხარჯი რეფორმის შემდგომ-დელ პერიოდის მანძილზე მარტო თბილისის საქალაქო ნუსხით გა-

---

1 ე. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , საქართველოს ფინანსები რეფორმამდელ აღმ.საქართველოში /1801-1864 წწ./, გვ.16-17.
2 ი ქ ვ ე.
3 ი ქ ვ ე

დიდებულია 17-ჯერ. 1862 წელს იგი შეადგენდა 57 855 მან., 1917 წელს კი – 996 244 მან. მიუხედავად ასეთი დიდი თანხისა, რომლითაც ინახავდნენ პოლიციელთა უზარმაზარ რაზმს, ეს უკანასკნელი საკმარისი არ აღმოჩნდა და 1905 წლის მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით მეფის მთავრობამ პოლიციის დასახმარებლად გამოიყენა მეეზოვეებიც, რომელთაც მიენიჭა პოლიციური უფლებები. თბილისში შეადგინეს მეეზოვეთა 3 000 კაციანი რაზმი. ისინი აღჭურვეს ხელკეტებით და მათ სპეციალურად ავარჯიშებდნენ პოლიციელები. დემონსტრანტების წინააღმდეგ შეიარაღებული მეეზოვეები სცემდნენ ქუჩაში ყველას ბრალიანსა და უბრალოს, ქალებსა და ბავშვებსაც. არგუთინსკი-დოლგორუკოვი ქალაქის სათათბიროს მოახსენებდა, რომ "ჩვენმა მეეზოვეებმა უკანასკნელ ხანებში სისუფთავის უკანასკნელი იარაღი-ცოცხი შეცვალეს საზარი ხელკეტებით, რომლებითაც ვარჯიშობენ უდანაშაულო მცხოვრებთა ზურგებზე... ყოველ ნაბიჯზე ჩვენ უხედავთ დღისა და ღამის სხვადასხვა საათებში მეეზოვეთა მთელ ბატალიონებს, რომლებიც პოლიციის წარმომადგენელთა მეთაურობით ხელკეტებით შეიარაღებულნი ან ყველას დასანახად დასეირნობენ თბილისის ქუჩებში და მზადყოფნის მდგომარეობაში არიან ეომონ უიარაღო მოსახლეობას, ან დამალულნი არიან რომელიმე დაცულ ეზოში, რომ პირველი დაძახებისთანავე გამოხტნენ ამ საფარიდან მცხოვრებლებზე თავდასასხმელად"[1]

პოლიციის ხარჯის გადიდებული მოთხოვნილების დასაფარავად გაზრდილი იქნა შეფასებითი მოსაკრებელი, რომელმაც თბილ-

---

1 ე. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, რევოლუციამდელი თბილისის საქალაქო ხარჯთა ნუსხა, ჟურნალი: "საქართველოს ეკონომისტი", № 10, 1958.

ლისის საქალაქო ნუსხას 150 000 მან. მისცა. ეს თანხაც საქა-ლაქო ხარჯთა ნუსხით გათვალისწინებულ სხვა სახსრებთან ერთად მაინც ვერ აღმოჩნდა საკმარისი და როგორც ვნახეთ, მეფის მთავ-რობამ მეეზოვეთა პოლიციური ინსტიტუტიც შექმნა. მეეზოვეთა შენახვა მოსახლეობას უნდა წლიურად 750 000 მან. ამგვა-რად, პოლიციის შესანახად პირდაპირ გათვალისწინებულ თანხას

ეს თანხაც უნდა მიემატოს. ყველა ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ იმ ხანად ქუჩებში სისუფთავე იყო და ქურდობა-მძარცველობამ იმატა. დაამაყენებული მეეზოვენი დაცვას უკვე აღარ კარგულობდნენ. როდესაც მოქმედმა სახლის მფლობელ-მა მოვალეობის შეუსრულებლობისათვის მეეზოვე მოხსნა, პოლიცი-ელებმა მფლობელს სცემეს და მეეზოვე კვლავ აღადგინეს.

რეფორმამდელი თბილისის საქალაქო ხარჯთა ნუსხაში დიდი ადგილი ეჭირა ქალაქის სამხედრო-ადმინისტრაციულ ხარ-ჯებს. 1840 წელს მისი ხვედრი წონა იყო 61,7%, 1862 წელს–27%.

. ამ კატეგორიის ხარჯებს შეადგენდა თბილისის მცხოვრე-ბთა დაბინავება ნატურალურად /ბინის ბეგრით/ ან ფულად /ბინის გამოსაღებით/. თითეულ მოსახლეს ჩაუყენებდნენ ორ ჯარისკაცს. თუ საჭიროება მოითხოვდა ოთხსა და მეტსაც. რეფორმამდელი პერი-ოდის თბილისი მეტისმეტად გადატვირთული იყო ბინის ბეგრით. იმხანად მიმდინარეობდა ომები ირანთან, თურქეთთან და მთიელებ-თან, რაც გაგრძელდა 1864 წლამდე. ყოველივე ამის გამო თბილის-ში დაბინავებული იყო სამხედრო ნაწილები, მათი სამმართველოები და შტაბები. 1940-იანი წლებიდან ბინის ნატურალური ბეგარა შეიცვალა ბინის ფულადი გამოსაღებით. ამ სახის საქალაქო შე-მოსავალთა ზრდის მიუხედავად სამხედრო პირთა დაკმაყოფილება

მაინც ვერ ხერხდებოდა. ამ სახის ბეგრის სიმძიმე ვერ დამალა და აღნიშნა თავის ანგარიშგებაში თვით ნამესტნიკმა მ. ვორონცოვმა იქვე წერს: "არსად არ არის რუსეთში ქალაქი, რომელიც იმ ზომითაა დატვირთული საბინაო ბეგრით, როგორც თბილისი"[1]

რეფორმისმერმინდელ პერიოდში ქალაქის სამხედრო ადმინისტრაციული ხარჯები ძირითადად გაიღებოდა ბინის დაქირავებაზე. ქალაქი ქირაობდა ბინას სამსახურებრივი საქმიანობისათვის ჩამოსული გენერლებისათვის, შტაბისა და ობერ-ოფიცრებისათვის. გამვლელი რაზმების და ჟანდარმთა რაზმისათვის. სამხედრო პირებს ეძლეოდათ ბინის ფული, თბილისის კადეტთა კორპუსის მოწაფეებს-ბინით კმაყოფა.

თუ რამდენად დიდი იყო ამ კატეგორიის ხარჯები თბილისისათვის ამას გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, საიდანაც ჩანს, რომ თბილისში სამხედრო მოხელეები ყოველ 100 მცხოვრებზე სამჯერ მეტი იყო პეტერბურგთან შედარებით და ხუთჯერ მეტი მოსკოვთან შედარებით[2].

ქალაქის სამხედრო ადმინისტრაციული ხარჯები თბილისში რეფორმის მერმინდელი პერიოდის მანძილზე გაზრდილია ორნახევარჯერ.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის 1840-იან წლებამდე ქალაქის სახსრებიდან არც ერთი მანეთი არ იხარჯებოდა. ამ დარგის ღონისძიებათა ბიუჯეტური სახის დაფინანსება დაიწყო 1846 წლიდან უმნიშვნელო ოდენობით. 1862 წლისათვის

---

1 ე. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ფინანსები და კომუნალური მეურნეობა /კრებული "საქართველოს სახალხო მეურნეობა" 1921–1967; პ ა ა ტ ა გ უ გ უ შ ვ ი ლ ის რედაქციით/, 1967, გვ. 121

2. ი ქ ვ ე.

| | მამაკაც-თა საერ-თო რიცხ-ვი | მცხოვრე-ბთა საერ-თო რიც-ხვი | სამხედ-რო პირ-თა საე-რთო რი-ცხვი | 100 მა-მაკაცზე მოდის სამხედრო პირი | 100 მცხ-ოვრებზე მოდის სამხედ-რო პირი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მოსკოვი 1871 წ. | 354 047 | 601 969 | 13 459 | 3,8 | 2,2 |
| 2. პეტერბუ-რგი 1869 წ. | 337 380 | 667 207 | 28 492 | 7,5 | 4,3 |
| 3. კიევი 1874 წ. | 71 848 | 127 251 | 12 266 | 17,1 | 9,6 |
| 4. ტფილისი 1876 წ. | 66 147 | 104 024 | 12 356 | 18,7 | 11,2 |

ამ ღონისძიებებზე იხარჯებოდა 13 933 მან., რაც შეადგენდა საქალაქო ხარჯთა ნუსხის 5,5%. ამავე დროს ქალაქის მმართველობის აპარატი და სამხედრო ადმინისტრაციული ღონისძიებანი ნთქავდნენ საქალაქო ხარჯთა ნუსხის 87,2%.

რეფორმამდელ პერიოდში ქალაქი არ ინახავდა თავისი შემოსავლით არც ერთ სასწავლებელს, არ აფინანსებდა არც ერთ სტამბას, არც ჟურნალ-გაზეთებსა და ბიბლიოთეკას. ყველა ესენი, რამდენადაც არსებობდნენ, ფინანსდებოდნენ მხოლოდ ხაზინის ანგარიშით. მხოლოდ 1862 წელს გაითვალისწინა საქალაქო ხარჯთა ნუსხამ ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ხარჯი 1 061 მან. რაოდენობით[1].

---

1 ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , საქალაქო ფინანსები.../ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები/ ტ.III, 1949, გვ.264-265.

ერთადერთი ხარჯი რასაც ქალაქი ეწევდა თავისი შემოსავლიდან, ისიც რეფორმამდელი პერიოდის მეორე ნახევრიდან, იყო თეატრის დაფინანსება. რუსული და ქართული თეატრის დასაფინანსებლად ნამესტნიკ მ.ვორონცოვის შუამდგომლობით დანიშნულ იქნა 12 000 მანეთი, რომლის ნახევარი შეტანილი იყო საქალაქო ხარჯთა ნუსხაში[1]

რეფორმისშემდგომ პერიოდში წინა პერიოდთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა სოციალურ-კულტურული ხარჯები თბილისის საქალაქო ხარჯთა ნუსხაში.

კაპიტალისტური ვითარებით გართულებული ცხოვრების პირობები მოითხოვდა ამა თუ იმ ზომით განათლების ხარჯების გადიდებას. ეს საჭირო იყო მოსახლეობის ბურჟუაზიულად გარდაქმნის, გაბატონებული კლასის იდეოლოგიის გავრცელებისა და სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების მოსამზადებლად. განათლების საქმე მუდამ ექვემდებარებოდა გაბატონებული კლასების ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწეები მოითხოვდნენ სკოლების გარდაქმნას, მეფის ხელისუფლება ამის ნებას არ იძლეოდა. 1891 წლის ხმოსანმა ნ.ზ.ცხვედაძემ წარადგინა დასაბუთებული წერილი სკოლების გარდაქმნის გაუმჯობესების და ახალი სასწავლებლების გახსნის შესახებ. ქალაქის სათათბირომ იგი უყურადღებოდ დატოვა.

მიუხედავად მოწინავე ქართველი მოღვაწეების მრავალგზისი ცდისა, მეფის მთავრობამ არ დაირსა საქართველოს უმაღლესი სასწავლებელი.

- - - - - - - - - - - - - -

1 ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , საქალაქო ფინანსები... /ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები/, ტ.III, 1949, გვ.264-265.

დიდი ხანია ფიქრობდნენ თბილისში უმაღლესი სასწავლებლების გახსნას. ქალაქმა რამდენჯერმე იშუამდგომლა უმაღლესი მთავრობის წინაშე უმაღლესი სასწავლებლის გახსნის შესახებ. მაგრამ მეფის მთავრობა ყოველთვის უარს ამბობდა და ამას ასაბუთებდა იმით, რომ ხაზინას სახსრები არა აქვსო. 1898 წელს ქალაქმა მოინდომა თვითონ შეენახა სახსრები და ერთი წლის განმავლობაში ხელმწიფის ოფიციალური გამოცხადების გარეშე სხვადასხვა პირთა და დაწესებულებათაგან ერთი მილიონი მანეთის შეწირულობის დაპირება მიიღო. მაგრამ ამჯერად მთავრობამ პირდაპირი უარი მოახსენა.

აგრეთვე ქალაქმა გადაწყვიტა საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის გახსნა. მაგრამ მთავარმართებელმა ნება არ დართო იმ მოტივით, რომ ჯერ კიდევ ბევრი მოუკირწყლავი ქუჩები გვაქვსო.

მეფის მთავრობა ასე უწყობდა ხელს თბილისში განათლების საქმეს.

რეფორმისშემდგომი პერიოდის დასასრულს ქალაქი თავისი სახსრებით ინახავდა ერთკლასიან შერეულ სასწავლებელს. ერთკლასიან ქალთა სასწავლებელს, ქალთა ორ სასწავლებელს და ავლაბრის ვერისა და კუკიის სასწავლებლებს, აფინანსებდა აგრეთვე პროფესიულ სასწავლებელსა და დახმარებას უწევდა სახაზინო სასწავლებელს, აგრეთვე სასწავლებელს, რომელთაც კერძო და საზოგადოებრივი სახსრებით ინახავდნენ.

1880-იან წლებში თბილისის საქალაქო ხარჯით ფინანსდებოდა სახელოსნო სასწავლებელი. ქალთა პროფესიული სახელოსნო და შვიდი დაწყებითი სასწავლებელი, რომელნიც კონტინგენტს უმზადებდნენ 1882 წლის სახელოსნო სასწავლებელს.

1913 წელს ქალაქი თავისი სახსრებით ინახავდა 25 დაწყებით სკოლას, ერთ სახელოსნო სასწავლებელს, ქალთა ერთ პროფსკოლას და ვაჟთა ერთ კლასიკურ გიმნაზიას /მე-5 გიმნაზია ავლაბარში/[1] ქალაქი საჯარო ბიბლიოთეკას მცირე თანხებს აძლევდა, რაც ხელს უშლიდა მას გაეშალა მუშაობა, გაემდიდრებინა წიგნების ფონდი და სხვ. საქალაქო ნუსხა ბიბლიოთეკისათვის იმეყვებდა წლიურად 103 მან. 1905 წელს ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა საჯარო ბიბლიოთეკისათვის ეძლია წლიურად 240 მან. და ცალკე გაეხსნა ქალაქის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა.

- - - - - - - - - - - - - - - -

1 რევოლუციამდელი პერიოდის დასასრულს თბილისში იყო სასწავლებლები იმისაგან დამოუკიდებლად თუ ვის სახსრებით ფინანსდებოდა:

1/ ექვსი კლასიკური გიმნაზია - 3.251 მოსწავლით./პირველი დაარსებულია 1831 წელს. მეორე 1881 წ., მესამე - 1892 წელს, მეოთხე და მეხუთე 1905 წელს და მეექვსე-1912 წ., ამათგან მე-5-ს ინახავდა ქალაქი. დანარჩენს სახელმწიფო ხაზინა/; 2/ ერთი რეალური სასწავლებელი დაარსებული-1865 წელს; 3/ ხუთი ქალთა გიმნაზია და ერთი პროგიმნაზია- 3514 მოსწავლით. პირველი ქალთა გიმნაზია დაარსებულია 1865 წ. მეორე - -1877 წ., მესამე 1887 წ., მეოთხე- 1903 წ., მეხუთე-1905 წ., და პროგიმნაზია 1912 წელს/; 6/ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი 1872 წლიდან, 7/ სახელოსნო სასწავლებელი დაარსებულია 70-იან წლებში და გადაკეთებულია 1880 წელს; 8/ ქალთა პირველი სასწავლებელი.

გარდა ამისა, თბილისში იყო 4 საქალაქო სასწავლებელი, ქალწულთა ინსტიტუტი, სამეანო ინსტიტუტი, საფერშლო სკოლა, მებაღეობის სკოლა, რკინიგზის ტექნიკური სასწავლებელი, სამხედრო სასწავლებელი, კადეტთა კორპუსი, სამხედრო საფერშლო სკოლა, მუსიკალური სასწავ., 2 კომერციული სასწ. 5 ბუღალტ. კურსები, მართლმადიდებელი სას.სემინარია, ქალთა ეპარქიული სას. სახელოსნო სასწ., სომხური სას.სემინარია, ქართული სათავად.გიმნაზია, ქალთა უმაღ.კურსები, იყო კიდევ სხვა კერძო და საქალაქო სასწავ. თბილისში იყო მეცნიერული საგანმანათლებლო, საქველმოქმედო, თეატრალური, სპორტისა და სხვა საზოგადოებანი და დაწესებულებანი.

1870-იან წლებში საზამთრო და საზაფხულო თეატრი დახმარებას ღებულობდა ხაზინისაგან და ქალაქისაგანაც.

1905 წელს ძმებმა ზუბალაშვილებმა ქალაქს შესწირეს სახალხო სახლი. 30 000 მან. ღირებული./ ამჟამად კ.მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობა/. ქალაქის თვითმმართველობის დადგენილებით ამ სახლს მიენიჭა ზუბალაშვილების სახელი. ამ სახლში იყო მოთავსებული თეატრი და სამკითხველო, რომელსაც ქალაქი ინახავდა.

თბილისის საქალაქო თვითმმართველობის 35 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით ქალაქის სათათბიროს 1903 წლის 23/XII დადგენილებით 1910 წლიდან დაარსებინა ქალაქ თბილისის მუნიციპალური მუზეუმი. იგი პირველი იყო რუსეთში. ამჟამად ამ მუზეუმს ეწოდება კომუნალური მუზეუმი და იმყოფება კომკავშირის გორაზე[1].

დანახარჯების ზრდა რევოლუციამდელ თბილისის საქალაქო ნუსხაში გათვალისწინებული იყო შემდეგი ოდენობით:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1862 წელს | - 8 863 მან. | 1905 წ. | 159 980 მან. |
| 1882 " | 49 737 | 1917 | 586 839 |
| 1893 | 59 275 | | |

- - - - - - - - - - - - - - - -

1 თბილისში იყო აგრეთვე კავკასიის მუზეუმი, რომელიც გაიხსნა 1870 წლის 1 სექტემბერს; სამხედრო ისტორიული მუზეუმი დაარსებული დონდუკოვ-კორსაკოვის მთავარმართებლობის დროს; კავკასიის სასწავლო ოლქის ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი საქართველოს ეგზარქოსის სასულიერო პირთა საეკლესიო მუზეუმი; მეაბრეშუმეობის მუზეუმი და სადგური მუშტაიდის ბაღში, რომელიც გახსნილია 1880-იან წლების ბოლოს და სოფლის მეურნეობის მუზეუმი.

რევოლუციამდელ პერიოდის დასასრულს თბილისში იყო პერიოდული გამოცემანი 1/ რუსულ ენაზე 11 სახელწოდების, 2/ ქართულ ენაზე- 5 სახელწოდების, 3/სომხურ ენაზე- 9 სახელწოდების, 4/გერმანულ ენაზე-1 სახელწოდების, 5/თურქულ ენაზე- ერთი სახელწოდების.

თუ რამდენად უმნიშვნელო ადგილი ეჭირა განათლების ხარჯებს საქალაქო ხარჯთა ნუსხაში, სხვა ხარჯებთან შედარებით, ლაპარაკობს მათი ხვედრითი წონა, იგი იყო:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1862 წელს | - 3,5% | 1905 წელს | 10,1% |
| 1882 წელს | 8,0% | 1917 | 6,3% |
| 1893 " | 7,4% | | |

1840-იან წლებამდე ქალაქი თავისი სახსრებით არ აფინანსებდა ჯანმრთელობის დაცვის არც ერთ ღონისძიებას, რეფორმამდელი პერიოდის მეორე ნახევრიდან ამ საქმისათვის გათვალისწინებული იქნა მცირეოდენი თანხები, რაც დაპირობებული იყო კლასობრივი და არისტოკრატიულ-მმართველობითი ინტერესებით.

ქალაქის ქუჩებისა და ეზოების ანტისანიტარული მდგომარეობის, კანალიზაციის უსრულობის, წყალსადენის არადამაკმაყოფილებლობისა და სხვ. გამო რეფორმისშემდგომ თბილისში ხშირად მძვინვარებდა სხვადასხვა ეპიდემიური ავადმყოფობა, რომელსაც დიდი მსხვერპლი მიჰქონდა მოსახლეობისგან. დიფთერიის, ქუნთრუშას და ყვავილის სწრაფი გავრცელების გამო სკოლები თვეობით იხურებოდა. 1892 წლის ხოლერის ეპიდემიამ თბილისში გამოამჟღავნა ქალაქის ანტისანიტარული მდგომარეობა, განსაკუთრებით გარეუბნებში, მუშათა რაიონებში; გამოაშკარავდა ქალაქის მმართველობის მთელი უძლეობა. ღონისძიებათა უსუსურობა ჯანმრთელობის დაცვის ხაზით[1].

ყველა ეს გარემოება ხელისუფლებას აიძულებდა, კლასობ-

---

1 ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, რევოლუციამდელი თბილისის საქალაქო ხარჯთა ნუსხა, ჟურნ. "საქართველოს ეკონომისტი", №10, 1958.

რიგი ინტერესების თვალსაზრისით, სათანადო ზომები მიიღო გადამდებ ავადმყოფობათა წინააღმდეგ და ანტისანიტარიის შესამცირებლად. ქალაქის საავადმყოფო გაიხსნა 1876 წელს. იგი მოაწყვეს მოქალაქეთა სახსრებით.

რევოლუციამდელი პერიოდის დასასრულს ქალაქს ჰქონდა შემდეგი სამკურნალო დაწესებულებები: სულით ავადმყოფთა სახლი, ალექსანდრეს სახელობის საქალაქო საავადმყოფო, ქალაქის საავადმყოფო- ავლაბარში /ამჟამად გადამდებ ავადმყოფთა ბარაკი არამიანცის პავილიონში, ზუბალაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფო და სამშობიარო თავშესაფარი/.

ქალაქს ჰქონდა აგრეთვე ამბულატორიები, ინახავდა ქალაქის სამკურნალოს 4 განყოფილებით.

რევოლუციამდელი თბილისის საქალაქო ნუსხაში ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები შეადგენდა:

| | |
|---|---|
| 1862 წელს – 5070 მან. | 1905 წელს – 180 731 მან. |
| 1882 " – 10 260 " | 1917 " – 573 816 " |

განათლების ხარჯებთან შედარებით მათი ხვედრითწონაც მცირე იყო:

| | |
|---|---|
| 1862 წელს – 2,0% | 1905 წელს – 11,5% |
| 1882 " – 1,6% | 1917 " – 6,2% |

რევოლუციამდე თბილისში ქალაქის კეთილმოწყობაზე ძალიან ცოტას ზრუნავდა ცარიზმი, რომელსაც კომუნალური მეურნეობა, განსაკუთრებით ხსენებულ პერიოდში, არა თუ თბილისში, არამედ მთელ რუსეთის ქალაქებშიც კი დაბალ დონეზე ჰქონდა დაყენებული. მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო სახსრების მთავარი დანიშნულება კომუნალური ხარჯების დაფინანსება უნდა

ლოგიური. რეფორმამდელი პერიოდის თბილისში ამ საქმეს უმნიშ-ვნელო სახსრები ხმარდებოდა. როგორც ვნახეთ, საქალაქო სახს-რების უდიდეს ნაწილს ნთქავდა მმართველობის აპარატისა და სამ-ხედრო ადმინისტრაციული ხარჯები. ორივე ერთად 1862 წლის სა-ქალაქო ხარჯთა ნუსხის 64% შეადგენდა. თუ ამას დავუმატებთ ხარჯებს, რომლებიც სხვადასხვა ხარჯთა სახელწოდებით ტარდებოდა და რომელიც ამავე ნუსხით 23,2% უდრიდა, აგრეთვე, თუ გაანგარი-შებთ ვალის დაფარვის ხარჯებს, რაც 2,6% გამოიხატებოდა, მივი-ღებთ 88,9%-ს. ამის შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ კო-მუნალური ხარჯებისათვის ქალაქს თითქმის არაფერი რჩებოდა. 1962 წლის ხარჯთა ნუსხით კომუნალური ხარჯები უდრიდა 4,7 პროცენტს, ხოლო აბსოლუტურ მონაცემებში – 11,810 მან.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქალაქო სახსრებით ყველა სახის კომუნალურ ხარჯებს არ აფინანსებდნენ. რეფორმამ-დელი პერიოდის თბილისში საქალაქო შემოსავლიდან სრულიად უმნი-შვნელო თანხებით აფინანსებდნენ: მეხანძრეთა რაზმს, ქალაქის გარე განათებას, სასაკლაოს, სასაფლაოს, ხიდებს, ბარიერებს და ქუჩისა და წყალსადენი მილების გასუფთავებას. ზოგიერთი კო-მუნალური ღონისძიება ტარდებოდა მხოლოდ ადმინისტრირების ნე-სით, ფინანსური დახმარების გარეშე.

რეფორმის მერმინდელ თბილისში კაპიტალისტური ურთიერ-თობის განვითარებასთან დაკავშირებით ქალაქის კეთილმოწყობამ რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით ბევრად წაიწია წინ. შესაბა-მისად გაიზარდა საქალაქო ხარჯთა ნუსხაში კომუნალური ხარჯები: 1862 წელს იგი იყო 11 810 მან., 1862 წელს – 239 076 მანეთი, 1905 წელს – 586 347 მან. და 1917 წელს – 4 795 901 მან.

/ამ უკანასკნელი რიცხვის მიმართ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქალაქის ფულის დიდი გაუფასურება ამ დროისათვის/. ამ ხარჯების ხვედრითი წილი საქალაქო ხარჯთა ნუსხაში 1862 წლის იყო 4,7%, 1882 წლის - 38,7%, 1905 წლის - 38,4% და 1917 წლის - 51,4%.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ქალაქის კეთილმოწყობა მაინც დაბალ დონეზე იდგა და გაბატონებული კლასებისა და მათი დამცველი მეფის მთავრობის ინტერესებს ემსახურებოდა და მშრომლები აქაც ჩაგვრას განიცდიდნენ.

პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწეები აყენებდნენ თბილისის კომუნალური მეურნეობისა და კულტურული დაწესებულების მთელ რიგ პროექტებს, რომელთაც ცარიზმმა არ აღირსა განხორციელება.

ამ პროექტებს შორის აღსანიშნავია ნ.ნიკოლაძის პროექტი[1] გოგირდის აბანოების ექსპლოატაციის შესახებ. გოგირდის წყალი საზოგადოებრივ საკუთრებად უნდა გადაქცეულიყო და თბილისში ბალნეოლოგიური სადგური მოწყობილიყო.

იყო აგრეთვე სხვა პროექტებიც: ქალაქის წყალსადენის მოწყობის, გაუმჯობესებული განათების, ქალაქის გაუმჯობესებული ტრანსპორტის, გაზის ქარხნის, ელექტროსადგურის, ხიდების აგების, ბაზრების მოწყობის, მტკვრის მარჯვენა შტოს გადაგდების, რაც გაანთავისუფლებდა მიწის ზოლს, რომელიც წყალქვეშ იყო მოქცეული და სხვ.

მეფის მთავრობა უგულებელყოფდა ქალაქის გამგეობის

---

1 ე. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , რევოლუციამდელი თბილისის საქალაქო ხარჯთა ნუსხა, ჟურნალი "საქართველოს ეკონომისტი", N 10, 1958.

წინადადებებსაც. ასე, მაგალითად, 1900-იან წლებში ქალაქის გამგეობამ წამოაყენა წინადადება ქალაქის მიერ ცხენ-რკინიგზის გამოსყიდვის შესახებ. ამას შეეძლო ქალაქის შემოსავალი გაეზარდა ასი-ას ორმოცდაათი ათასი მანეთით და, უფრო მეტი, მოხერხებულობანი შეექმნა მოსახლეობისათვის. ის მოიწონა სათათბირომ, მოიწონა საზოგადოებამაც, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო და ბელგიელთა ანონიმური საზოგადოების სრულ სათარეშოდ დატოვა კომუნალური მეურნეობის ეს დარგი.

აულაბარში 1905 წლისათვისაც კი არ იყო ტრამვაი, კანალიზაცია, არ იყო მოკირწყლული ქუჩები და მოედნები, ძალზე სუსტად ან სულ არ იყო განათებული ქუჩები. დაღამების შემდეგ, ეს რაიონი კუნაპეტ სიბნელეში ეხვეოდა, ამ რაიონს არ ჰქონდა სასწავლებლები. წინათ იქ გახსნილი იმ დროისათვის სხვა რაიონებში იყო გადატანილი. მუშათა მოსახლეობა მეტისმეტად ანტისანიტარულ პირობებში ცხოვრობდა და იმის გამო, რომ მოწყვეტილი იყო ქალაქის ცენტრალურ ნაწილს, ვერ ღებულობდა სამკურნალო დახმარებას. რაიონში არ იყო ღამის გასათევი თავშესაფარი, რასაც იმ დროის აულაბრისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო განაპირა რაიონი, სადაც ცხოვრობდა ღარიბი ხალხი, იაფფასიანი ბინებით. ის იზიდავდა სოფლებიდან წამოსულ მრავალ ღარიბს, მუშას. ეს ღარიბები, სანამ სამუშაოს იშოვიდნენ, ღამეს ათევდნენ ცის ქვეშ, ან საპოლიციო უბანში. აქ ხშირი იყო შემთხვევა, რომ ერთ ბნელ ნესტიან ოთახში 10 სული ცხოვრობდა.

ამ რაიონში არ იყო ბაღები/იყო მხოლოდ ერთი პატარა სკვერი ვარდის მოედანზე/, არ იყო ქუჩის გამწვანება.

აღაბართა შუამდგომლობაში ქალაქის გამგეობის სახელზე, რომელსაც ხელს აწერდა 658 კაცი[1], ნათქვამი იყო, რომ ქალაქის რამდენიმე, მილიონიანი ბიუჯეტი სულ ცენტრალურ უბნებს ხმარდება და აღაბარსა და ნავთლუღისათვის არარაფერი რჩება. მოითხოვდნენ, რომ ქალაქის გამგეობას ყურადღება მიექცია ამ რაიონებისათვისაც.

მუშები ცხოვრობდნენ თბილისის ცუდი კვარტალების ნესტიან, ამყრალებულ სარდაფებში და ანტისანიტარიისა და ეპიდემიის მსხვერპლი ხდებოდნენ. ქალაქის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა და სარდაფის ფასიც მიუწვდომელი ხდებოდა ღარიბებისათვის. მეტად მძიმე საბინაო მდგომარეობამ მუშათა ერთ ნაწილი აიძულა მიემართა უკანასკნელი საშუალებებისათვის და დაეწყო თვითნებური დასახლება იმ რაიონში, რომელსაც უწოდეს ნაძალადევი /"ნახალოვკა"/. დასახლებამდე ეს რაიონი წარმოადგენდა ქვასაფენს და ქალაქს შემოსავალს აძლევდა წლიურად 200 მან.

ამ ადგილების საცხოვრებელ ადგილებად გადაქცევა დიდ შრომასა და ჯაფას მოითხოვდა. აქ იყო გორები, ღრეები, ტრანშეები და ხევები. მუშები სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ დაღლილ-დაქანცულნი საღამოობით და ღამით უწყობდნენ ამ ადგილების გაწმენდას, საცხოვრებელ ადგილებად გადაქცევის მძიმე შრომას. ქალაქის გამგეობა ამაში მათ ხელს უშლიდა და მრავალს დაუნგრია კიდევაც აშენებული ბინა, მაგრამ ენერგიული წინააღმდეგობით მუშებმა მაინც გაიმარჯვეს და ეს რაიონი გააშენეს. 1895 წელს ქალაქის გამგეობა იძულებული შეიქნა ისინი

- - - - - - - - - - - - -

1 ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , რევოლუციამდელი თბილისის საქალაქო ხარჯთა ნუსხა, ჟურნ. "საქართველოს ეკონომისტი", №10, 1958.

ეცნო და მათთან ხელშეკრულება დადო მიწის იჯარის შესახებ.

1905 წლისათვის ნაძალადევლები ითხოვდნენ, რომ ქალაქს მიეყიდა მათთვის ეს ნაკვეთები და ამგვარად გათავისუფლებულიყვნენ საიჯარო გადასახდელებისაგან. ქალაქის გამგეობას უკვე 100 000 მან. ქონდა ამოღებული ამ ადგილებიდან საიჯარო გადასახდელების სახით, რაშიაც წინათ მხოლოდ 200 მანეთს ღებულობდა წლიურად.

ქალაქის გამგეობამ უარი უთხრა ადგილის მიყიდვაზე. იგი ამტკიცებდა, რომ რენტა კიდევ უფრო გაიზრდებოდა და ქალაქის შემოსავალიც იმატებდა. იმჟამად კვ.საჟ.ღირდა ამ რაიონში 26 მანეთი, ცენტრალურ რაიონებში 80-დან 150 მანეთამდე.

როგორც ცნობილია, ქალაქის კეთილმოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის. მისი განვითარება ამცირებს დაავადებასა და სიკვდილიანობას. მაგრამ ქალაქების კეთილმოწყობის განვითარება დამოკიდებულია წარმოებით ურთიერთობით და გაბატონებული კლასების ინტერესებით. ამიტომ ის მცირედი სანიტარულ-ჰიგიენური და კომუნალური ღონისძიებანი, რასაც ცარიზმი ატარებდა ამ მიმართულებით, გამოწვეული იყო გაბატონებული კლასების ინტერესებით, რადგან ეპიდემია თავისუფლად ვრცელდებოდა არისტოკრატიულ უბნებშიაც და მსხვერპლი კეთილშობილთა რიგებიდანაც მიჰქონდა; გამოწვეული იყო აგრეთვე თვით მშრომელთა კლასებისა და მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ბრძოლითაც ქალაქის კეთილმოწყობისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისათვის.

## ბ. საქალაქო შემოსავალი

ქალაქ თბილისის შემოსავლის ძირითად სახეებს XIX საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისში /1801-1917 წწ/ წარმოადგენდნენ საქალაქო გადასახადები და მოსაკრებლები, საქალაქო კრედიტი, კომუნალური შემოსავალი და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა შემოსავალი.

1807 წლამდე თბილისში საქალაქო გადასახადები არ არსებობდა. ამ დროიდან კი 1860 წლამდე საქალაქო შემოსავალი თითქმის მხოლოდ გადასახადებისაგან შედგებოდა. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ეს გადასახადები, უმთავრესად არაპირდაპირი გადასახადები იყო, მაშასადამე, მასების დამატებითი ექსპლოატაციისა და ქალაქის მიერ სოფლების ეკონომიკური ექსპლოატაციის ერთ-ერთი მარჯვე საშუალება გახდა. ამ მდგომარეობას ამძიმებდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ გადასახადები გაიცემოდა იჯარა-შესყიდვის წესით. ასეთი წესის დროს მომხმარებლის დანაკარგი აღემატება გადასახადის ფისკალურ ეფექტს. სხვანაირად. რომ ვთქვათ, მოიჯარე შემსყიდველთა შემოსავალი და გამორჩენა წარმოადგენდა ფაქტობრივ გადამხდელთათვის დამატებით ტვირთს.

რეფორმამდელი თბილისის გადასახადებს ახასიათებდა აგრეთვე.სიმრავლე, იმდროინდელ გადასახადებს წარმოადგენდა: საპოლიციო გამოსაღები, უძრავი ქონების გადასახადი, ვაჭრობის უფლების გადასახადები, დაქირავებულთა გადასახადი, ქალაქის ფარგლებში მცკრით მოჭრილი ხე-ტყის გადასახადი, ქალაქის ტრანსპორტის გადასახადი, ქალაქის საყანთრისა და მიზა-

ნინის გადასახადი, ასარჩის ქული, აუქციონის მოსაკრებელი, სანახაობათა მოსაკრებელი; სახელმწიფო გადასახადის ანარიცხი ვაჭრობის მრეწველობის მოსაკრებლის 20% ანარიცხები/, სახელმწიფო გადასახადზე დანარიცხი /ბაჟზე დანარიცხი/, მოსაგებლები: თამასუქის გაპროტესტების მოსაკრებელი და სესხის წერილების ვადაზე წარმოდგენის მოსაკრებელი.

ჩამოთვლილ გადასახადებიდან რეფორმისშემდგომი პერიოდში მრავალი გაუქმდა და საგადასახადო სისტემა შედარებით გამარტივდა.

რეფორმისშემდგომ პერიოდში ძირითად საქალაქო გადასახადებს წარმოადგენდნენ უძრავი ქონების გადასახადი, ვაჭრობისა და მრეწველობის მოსაკრებელი, ტრანსპორტისა და პირუტყვის მოსაკრებელი და მოსაგებელი. გარდა ამისა, 1880-იან წლებამდე დარჩა აგრეთვე სასწორის მოსაკრებელი, მტკვრით მოზიდული ხე-ტყის და აუქციონის მოსაკრებელი.

რეფორმისშემდგომ პერიოდში საქალაქო გადასახადების ხვედრითი წილი საქალაქო შემოსავლის ნუსხაში კლებულობს: 1882 წელს ის შეადგენდა 54,6%, 1898 წელს – 42,7%, 1914 წელს – 35,9% და 1917 წელს – 22%. ეს აიხსნება არა იმით, რომ საქალაქო გადასახადების აბსოლუტური ოდენობა შემცირდა, პირიქით, ის გაიზარდა კიდევაც /1862 წ. ის შეადგენდა 216 114 მან. და 1917 წელს კი – 2 046 653 მან./, არამედ იმით, რომ ქალაქს გაუჩნდა შემოსავლის სხვა წყაროებიც, რომლებიც სწრაფად გაიზარდნენ.

რეფორმამდელ თბილისში გადასახადებს შორის აღსანიშნავია საპოლიციო გამოსაღები, რომელიც წარმოადგენდა პირველად შემოღებულ საქალაქო გადასახადს.

საპოლიციო გამოსაღების დაბეგვრის ობიექტი იყო თბილისის ფარდულებში არსებული ყოველი შენობა-ბინა, სავაჭრო და სახელოსნო. თითოეულ ბინას ეს გამოსაღები უნდა გაეღო - 80 კაპ. სავაჭროსა და სახელოსნოს - 1 მან. 50 კაპ. დაბეგვრის განაკვეთი მხედველობაში არ იღებდა შენობის შემოსავალს. ამიტომ შენობის ყველა პატრონი ერთნაირ გადასახადს იხდიდა იმისაგან დამოუკიდებლად, მისი შენობა წელიწადში მას 20 მან. შემოსავალს აძლევდა თუ 150 მან.

საპოლიციო გამოსაღების დაბეგვრის სუბიექტი იყო შენობის პატრონი.

მასრაპის მოსაკრებელი თბილისში არსებობდა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და მისი გადახდევინება დარჩა რუსეთთან შეერთების შემდეგაც. 1817 წლამდე მასრაპს ახდევინებდნენ თბილისის ყველა მცხოვრებს გარდა მოქალაქეთა დავთრებში ჩაწერილი [illegible]. მასრაპის სიდიდე განსაზღვრული არ იყო. ამკრებნი მას თვითნებურად ახდევინებდნენ საზოგადოებრივი საჭიროების სახელწოდებით და არადანიშნულებისამებრ ხარჯავდნენ.

1823 წლის უმაღლესად დამტკიცებული დებულების საფუძველზე განისაზღვრა ხარჯები, რომლის დასაკმაყოფილებლადაც უნდა შეგროვილიყო მასრაპი. ასეთები იყო: ქალაქის ხიდების შეკეთება, საზოგადოებრივ ადგილებში ფარნების შენახვა-შეკეთება, ქალაქის გარეგანათება, ილუმინაცია, ჯამაგირები ბაზრის ზედამხედველისა და ყარაულების, აგრეთვე უნდა გამოყენებულიყო საქმეების საჭიროებისათვის.

მასრაპის მოსაკრებელს თბილისში ახდევინებდნენ იმ მცხოვრებლებს, რომელნიც გამომდებულ წოდებას ეკუთვნოდნენ.

ამ გადასახადით იბეგრებოდნენ აგრეთვე მეთულუხჩეები, რომლებსაც ქალაქის სასარგებლოდ ახდევინებდნენ წლიწადში 1 მან.

ამ გადასახადის ხვედრითი წონა 1842 წელს იყო 8,2%, 1862 წელს-6,5%.

რეფორმამდე თბილისში ქალაქის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე მესაკლავეობის მოსაკრებელი. 1841 წელს მესაკლავეობის მოსაკრებელი უდრიდა თანხას 6 626 მან., ხოლო 1862 წელს-18 150 მან. მისი ხვედრითი წონა ამ წლის საქალაქო შემოსავალში 8,1% შეადგენდა. შემოსავლის ეს წყარო ქალაქს გაცემული ჰქონდა იჯარა-მესყიდვის წესით[1]

მოიჯარე მესყიდველს უფლება ენიჭებოდა თბილისში გასასყიდად ან დასაკლავად ჩამორეკილ პირუტყვებზე გადაეხდევინებინა გადასახადი.

მოიჯარე-მესყიდველს ჰყავდა თავისი მზვერავები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ, რომ მალულად არავის შემოერეკა პირუტყვი ქალაქში. დაჭერის შემთხვევაში პირუტყვი ჩამორთმეოდა და გადაეცემოდა პოლიციას. პირუტყვს გაჰყიდდნენ საჯარო ვაჭრობით და ამოღებული ფულის ნახევარს იღებდა მოიჯარე-მესყიდველი, ნახევარი კი შედიოდა ქალაქის შემოსავალში.

საძოვრად გადაყვანილ პირუტყვს ქალაქში დაბრუნებისას გადასახადს არ ახდევინებდნენ. გადასახადისაგან თავისუფალი იყო ქალაქის შიგნით პირუტყვის ყიდვა-გაყიდვა.

ბორჯომიდან, გორიდან და სხვა ადგილებიდან თბილის-

---

1 ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, ფინანსები რეფორმამდე აღმ. საქართველოში /1801-1864 წწ/, გვ.189-190,400.

ში ტივით ჩამოჰქონდათ ხე-ტყე საამშენებლო მასალად. ქალაქს იგი დაბეგრილი ჰქონდა საბაჟის მოსაკრებლით.

1850 წლამდე ტივის მეპატრონე წლიურად გამოიზიდებოდა 75 ათასიდან 120 ათასამდე მორი. მოიჯარე შემსყიდველი შემოსავალს იღებულობდა 6 ათას მანეთამდე. ქალაქს უხდიდა 3 200 მანეთს[1].

ვაჭრობის უფლების მოსაკრებლით დაბეგრილნი იყვნენ ადგილობრივი, სხვა ქალაქისა და უცხოელი ვაჭრები. მოსაკრებლის სიდიდეს განსაზღვრავდნენ გადასახადების გამწერნი სავაჭრო ბრუნვის მიხედვით. ამგვარად თბილისელი მოქალაქენი ერთსა და იმავე საქმისათვის იხდიდნენ მასრაჯის მოსაკრებელსაც და ვაჭრობის უფლების მოსაკრებელსაც. ამ უკანასკნელი მოსაკრებლის ფისკალური ეფექტი 1862 წელს შეადგენდა 6 500 მან.[2]

რეფორმამდელი პერიოდის უკანასკნელ დრომდე თბილისში გილდიები არ ჩამოყალიბებულა. თბილისელ ვაჭრებს გილდიებში ჩაწერა არ უნდოდათ, იმიტომ რომ არ გამოაშკარავებულიყო მათი კაპიტალების სიმცირე და არ წართმეოდათ საზღვარგარეთ სავაჭროდ გასვლის უფლება.

რუსეთის ქალაქებში მიმავალ თბილისელ ვაჭრებს ახდევინებდნენ წლიურ პასპორტში 1 მან., ორ წლიანში – 5 მან და სამწლიანში – 10 მან. ვერცხლს.

მხოლოდ 1850-იანი წლების შემდეგ ებმებიან საქალაქო შემოსავალთა ნუსხაში გილდიის ვაჭართა დაბეგვრას.

---

1 ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე , ფინანსები რეფორმ.ამდ.საქართველოში, გვ.402.

2 ი ქ ვ ე , გვ. 393-398.

რეფორმამდელი პერიოდის დასასრულისათვის ადგილობრივი გილდიის მოსაკრებლით დაბეგრილი იყო 2 ვაჭარი. ისინი ეკუთვნოდნენ მესამე ხარისხის გილდიის ვაჭრებს.

დროებით ჩამოსულ სხვა ქალაქის ვაჭრებს და უცხოელ ვაჭრებს, ბითუმად მოვაჭრეებს, რომლებიც სახელოსნოებს არ ხსნიდნენ, გალანტერიისა და ფართლეულის გამყიდველ მეწვრილმანეებს, აგრეთვე,ხელოსნებსა და მრეწველებს ახდევინებდნენ გადასახადს,მოზიდული საქონლის ფასის მიხედვით,პროცენტულად. 1860 წლამდე მოსაკრებლის განაკვეთი იყო 1/4% შემდეგ კი კავკასიის ნამესტნიკის 1860 წლის 14/VI ნებართვით დაწესებულ იქნა 1/2%. ეს მოსაკრებელი ქალაქის მმართველობას გაცემული კონტრა იჯარა-შესყიდვის წესით. 1862 წელს იგი ქალაქს 13 825 მან. ვერცხ. შემოსავალს აძლევდა.

გარდა ვაჭრობის მოწმობის მოსაკრებლისა,სასმელების გასაყიდად მკვიდრ ვაჭრებს თბილისში აძლევდნენ მოწმობებს,ანუ ბილეთებს სავაჭროების გასახსნელად. ამ მოწმობათა გაცემას აწარმოებდა თვით ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობა.

რეფორმისშემდინდელ პერიოდში სავაჭროები და სარეწაოები დაბეგრილი იყო ვაჭრობისა და რეწვის მოწმობის მოსაკრებლით ან ქალაქის სავაჭროთა, სარეწავთა ბილეთების მოსაკრებლით. ქალაქად მყოფ სასმელების სავაჭროებს უნდა ეღოთ აგრეთვე პატენტი. ამასთანავე არსებობდა სახამროების /სამიკიტნოების/ მოსაკრებელი და სასტუმრო ბაკებისა და სანოვაგის დუქნების მოსაკრებელი.

საქალაქო დებულებისა და ქალაქის სათათბიროს 1875 წლის 23 ივნისის დადგენილების მიხედვით სახელმწიფო გადასახადებიდან საქალაქო შემოსავალში გადაირიცხებოდა პირველი და

მეორე გილდიის მოქმედებზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადების 25%. მეტყველებს იმის შესახებ, რომ საქართველო ფინანსური მხრით საზიარო იყო რუსეთისათვის, მხედველობის გარეშე რჩება დიდი ოდენობის ფულადი და ნატურალური სახეობის ბეგარას, რომელსაც ძირითად სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. მხედველობაში არ ღებულობდა აგრეთვე იმ გარემოებას, რომ არმ. საქართველოს ტერიტორიაზე, სახელდობ, თბილისში, იმყოფებოდა ორგანოები და აქ ტარდებოდა ღონისძიებანი, რომლებიც მთელ ამიერკავკასიას და ნაწილობრივ ჩრდილოეთ მხრივ რუსეთსაც მოემსახურებოდა და, მაშასადამე, მათზე დახარჯული სახსრები საქართველოს არ ეკუთვნოდა მთლიანად. მეორე მხრივ ისიც აღსანიშნავია, რომ სამხედრო ხარჯები იმპერიის სახელმწიფო ფინანსების ანგარიშით ტარდებოდა და ამიერკავკასიის ხარჯთა წუსხაში შეტანილი არ იყო. სამხედრო ხარჯების ერთი ნაწილი მოდიოდა ამიერკავკასიაზე და მისი ერთი ნაწილი კერძოდ საქართველოზე. მაგრამ ამ ბალანსს ანალიზს თუ გავუკეთებთ არა მარტო სახელმწიფო ფინანსების, არამედ ყველა სახეობის ფინანსების მხრივ, ფინანსური ბალანსი დარღვეული არ აღმოჩნდება საქართველოს სასარგებლოდ.

გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით გაანგარიშებული სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი საქართველოში გარდამეტს იძლეოდა ამიერკავკასიის სასარგებლოდ.

ყოველივე ამასთან ერთად აღსანიშნავია ამ ფინანსების მნიშვნელობა იმ პროგრესული როლის შესრულებაში, რაც მეფის რუსეთმა ობიექტურად ითამაშა საქართველოს მიმართ მოცემულ ისტორიულ პირობებში. მან ხელი შეუწყო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანებას, საქართველო იხსნა ირან-თურქეთის და ლეკთა საუკუ-

ნებრივი ძალადობა- თარეშობისაგან, დააჩქარა საქართველოში ფეოდალიზმის დაშლისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესი და გააძლიერა რუსეთისა და საქართველოს ხალხთა პროგრესული ძალების იდეური კავშირი.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953,
2. კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნ.2, 1959,
3. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1932,
4. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში; თხზ., ტ. 3. გამოცემა მეოთხე, თბ., 1948,
5. მ. ს. გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, 1986 წლის 25 თებერვალი,
6. Речь товарища Горбачева М.С. "Воспитывать идейную убежденность" на Всесоюзном совещании заведующих кафедрами и общественных наук. (Экономическая газета. Октябрь, 1986 г., № 41).
7. ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973,
8. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი ლ., სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი ქართული პროზა, წიგნი VII, 1984,
9. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, თბ., 1938;
10. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში, თსუ შრომები, ტ.21,
11. გეორგიკა, ბიზანტიური მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961,
12. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., ფულის ნიშნები და ფულის მიმოქ-

ცევა. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკუ-
რი განვითარება XIX-XX საუკუნეებში, მონოგრა-
ფიები, ტომი II, 1956; ტ. V, 1962.

13. დასტურლამალი, მეფის ვახტანგის მეექვსისა. რედაქტო-
რობით პეტრე უმიკაშვილისა, ტფ., 1886.

14. დ ო ლ ი ძ ე ი., ძველი ქართული სამართალი, 1953.

15. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, დ.ბაქრაძის გამოცემა
თბ., 1885.

16. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა
ქართველთა შორის, თბ., 1902.

17. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., საქართველოს სიძველენი, ტ. II,
1909, გვ. 323.

18. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., სათასის ისტორიისათვის საქართვე-
ლოში. საისტორიო მოამბე, ტ. I, 1925.

19. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ა., ყვავილის მკურნალობა საქართვე-
ლოში, კრებული მიძღვნილი აკად. ი.ჯავახიშვილის
დაბადების 100 წლისთავისადმი, 1977.

20. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული
საფას-საზომების მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა, სა-
ისტორიო მოამბე, ტ. II, 1924.

21. კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, 1950.

22. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია,
თბ., 1960.

23. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ადრინდელი ფეოდალური ქართული
ლიტერატურა, თბ., 1935.

24. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., სტრაბონის ცნობა იბერიის

პირველი "ქენესის" შესახებ. "საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", XVIII, 1957, №3.

25. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი პ ა პ უ ნ ა, ამბავი ქართლისანი, საქართველოს ცხოვრება, მე-2 გამოცემა ჭიჭინაძის მი- ერ, თბ., 1913.

26. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა, ლექსი- კონი ქართული, თხზ. IV₁, 1965, IV₂, 1966.

27. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა, თხზ., ტ. I, თბ., 1959; ტ. III, 1963.

28. ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქარ- თველოს ისტორიის. წიგნი პირველი, 1892; წიგნი მე- ორე, 1897, წიგნი მესამე, 1967.

29. ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., შიო მღვიმის მონასტრის დოკუმენ- ტები, თბ., 1896.

30. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი შ ო თ ა, ვეფხისტყაოსანი, თსუ, გამომცემლობა, 1937.

31. საქართველოს ძველი, მარჯის იდ. დეკეს ჩვით ველს, 2, 3, 4.

32. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, II, III, IV, V, რედაქტორი გ ი ო რ გ ი მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, 1970.

33. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955; ტ. II, 1959; ტ. III, 1969; ტ. IV, 1973.

34. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, 1965; ტ. V, 1974.

35. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე რ., საქართველოში ვენეციური ოქროს დუ- კატების მიმოქცევის საკითხისათვის, "მაცნე", საქ.

სსრ მეცნიერებათა აკადემია, №4, 1965,

36. ქ ო ი ა ვ ა  ნ., ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ., 1963,

37. ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961,

38. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი  თ., ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951,

39. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი  თ., ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960,

40. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი  თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, 1957,

41. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი  ს., ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1936,

42. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე  ვ., "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაგანი"-ის ერთი ადგილის გაგებისათვის /ჟურნ, "ცისკარი", №5, 1968 წ./,

43. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე  ვ., ქართული ეკონომიკური აზრი "ვეფხისტყაოსანში" /ჟურნ, "ცისკარი", №8, 1969/,

44. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე  ვ., იაკობ ცურტაველი და ეკონომიკურ-სოციალური ტერმინების სათავეები მის ნაწარმოებებში, ჟურნ. "ეკონომისტი", №11, 1978.

45. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე  ვ., აკად, ივ. ჯავახიშვილი ქართული საფასმცოდნეობისა და კრედიტის შესახებ/ თბილისის უნივერსიტეტის შრომები/, 162, ეკონომიკა/, თბ., 1977,

46. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე  ვ., აკად. ივანე ჯავახიშვილი საქართველოს სახელმწიფოებრივი ფინანსების შესახებ/ ეკო-

ნიშიკა VII/, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-
დემია, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი, 1976,

47. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე ვ., XVII-XVIII სს. ქართული ფულის ერთეულის საკითხისათვის, „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის..., ტ.I, 1983,

48. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე ვ., სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები, 1959, შესავალი.

49. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე ვ., ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში /1801-1864 წწ./, 1975,

50. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე ვ., რევოლუციამდელი თბილისის საქალაქო ხარჯთა ნუსხა,/ჟურნ. "საქართველოს ეკონომისტი", №10, 1958 წ./,

51. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე ვ., რევოლუციამდელი თბილისის საქალაქო რაიონების განაწილების კლასობრივი ხასიათი / გაზ. "თბილისი", №174, 8 აგვისტო, 1958 წ./,

52. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე ვ., როგორ იმართებოდა დედაქალაქი თბილისი გაზ. „თბილისი" №180, 15 აგვისტო, 1958 წ,

53. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, II, 1967,

54. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.I; 1979; ტ.II, 1983; ტ. III, 1982; ტ.VIII, 1977,

55. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ.III; 1960; ტ.IV, 1967,

56. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ.I, 1930,

57. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1907.

58. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, 1929.

59. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1925.

60. ჯ ა ნ ა შ ი ა ს., შრომები, ტ. I, 1949.

61. Архив Маркса и Энгельса, т.IУ. Под ред. В.Адоратского., 1935.

62. Акты Кавказской Археографической комиссии. Под ред. А.Берже, т.I,П,IУ,У,УI, ч.I,т УШ,Х,ХП.

63. Б а р а т а е в М.П. Нумизматические факты грузинского царства, СПб, 1844.

64. Б у т к о в П. Материалы по новой истории Кавказа с 1722 по 1803 г.,ч.I, СПб, 1869.

65. Г е о р г и й М и х а й л о в и ч. Русские монеты, чеканные для Пруссии, Грузии, Польши и Финляндии, СПб, 1863.

66. Г и л ь д е н ш т е д т И.А. Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, СПб,1809.

67. Г р и б о е д о в А. Записки о лучших способах вновь построить город Тифлис. Июль 1827.

68. Г у л и ш а м б а р о в Ст. Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии.Т.,1888.

69. З у б о в П л а т о н. Картина Кавказского края, 1885.

70. Кавказский календарь на 1846, 1853,1855,1856,1859,1860 годы.

71. К а у ф м а н И.И. Русский вес,его развитие и происхождение в связи с историей русских денежных систем с древнейших времен, СПб, 1906.

72. К а у ф м а н И.И. Теория и методы статистики, 1922.
73. М а к с и м о в М.М. Очерк о серебре, М.,1974.
74. М е л и к и ш в и л и Г.А. К истории древней Грузии, Тб.,1959.
75. М а н у и л о в А.А. Пособие к лекциям по политической экономии, Вып.I. М.,1907.
76. Министерство финансов 1802-1902, ч.I, СПб, 1902, ч.2,1902.
77. М у ш е г я н Х.А. Денежное обращение Двина по нумизматическим данным. Ереван,1962.
78. Обозрение Российских владений за Кавказом, ч.I,1936.
79. П а х о м о в Е.А. Монеты Грузии, т.I, Домонгольский период. СПб,1910.
80. П а х о м о в Е.А. Вес и достоинство Тифлисской медной монеты ХУП-ХУШ вв.,Баку,1927.
81. П у р ц е л а д з е Д. Грузинские крестьянские грамоты, 1887.
82. П у р ц е л а д з е Д. Грузинские церковные гуджари,Ш., 1881.
83. Свод законов РИ. т.1857.
84. Финансовая энциклопедия. Гл.ред. В.П.Дьяченко, т.I,1961, т.П.,1964.
85. Х о д с к и й Л.В. Основы государственного хозяйства, 1901.
86. Центральный государственный исторический архив ГССР (ЦГИА ГССР) ф.4,д.78,ф.254,оп.2,д.18974,18998,д.234, 362,570,618,619,1558,ф.225,д.529,570,681,703,717, ф.192,оп.I.
87. Ш о д у а р М. Обозрение русских и иностранных монет,

употреб. в России с древн.времен, 1837-1842,СПб, I-III.

88. Я н ж у л И. Основные начала финансовой науки, СПб,1890.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ლექცია მეცხრამეტე

ფული და კრედიტი საქართველოში რუსეთთან შეერთებიდან ოქტომბრის რევოლუციამდე /1801-1917 წწ./ . 3

1. ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში 1801-1917 წწ. . 3

2. ფულადი მიმოქცევა . 12

3. კრედიტი 30

ლექცია მეოცე

ფინანსები საქართველოში რუსეთთან შეერთებიდან ოქტომბრის რევოლუციამდე /1801-1917 წწ./ . 46

1. სახელმწიფო ხარჯები 46

2. სახელმწიფოებრივი შემოსავალი . 59

3. საერობო ფინანსები 66

4. საქალაქო ფინანსები 68

ლიტერატურა . 97

გამომცემლობის რედაქტორი მ. ქიორგაძე

კორექტორი ე. ხურცია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.07. 87.

უე 09070 საბეჭდი ქაღალდი 60X84. პირობითი

ნაბეჭდი თაბახი 6,75. სააღრ.-საგამომც. თაბახი 3,93.

ტირაჟი 300. შეკვეთის № 1066

ფასი 13 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

თბილისი, 380028 ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14

Издательство Тбилисского университета,

Тбилиси, 380028, пр. И.Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1,

Типография Тбилисского университета,

Тбилиси, 380028, пр. И.Чавчавадзе, 1.

ЧАНТЛАДЗЕ Василий Георгиевич

История денег, кредита и финансов в Грузии

(Выпуск IУ)

Часть III

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 19[illegible]